




ევროკავშირი  
საქართველოსთვის  
EU4Justice



# არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის მონიტორინგისა და შეფასების მეთოდური სახელმძღვანელო

თბილისი  
2020

პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის საქართველოს ცენტრი (GCRT) და არ ნიშნავს, რომ იგი ასახავს ევროკავშირის შეხედულებებს.

სახელმძღვანელო მოამზადა მზია ტაბატაძემ

## სარჩევი

შემოკლებები/აბრევიატურა/განმარტებები.....	7
შესავალი .....	8
სახელმძღვანელოს სტრუქტურა .....	9
არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის მონიტორინგი და შეფასება .	11
მონაცემების შეგროვება, ანალიზი და სტატისტიკური ანგარიშები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში .....	12
არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების გლობალური ინდიკატორები .....	13
პოლიტიკის შეფასების გლობალური ინდიკატორი.....	15
ზოგადი მეთოდოლოგიური რეკომენდაციები .....	17
შერჩევის მეთოდოლოგია .....	18
ტერმინთა განმარტებები .....	19
მონაცემთა დისაგრეგაციის რეკომენდებული კატეგორიები .....	19
დანაშაულის მიხედვით კლასიფიკაცია.....	21
მონაცემების დისაგრეგაცია ეთნიკურობისა და გეოგრაფიული რეგიონების მიხედვით.....	24
საქართველოში არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმის შეფასების ეროვნული ინდიკატორები (NI).....	25
შესატყვისობა და/ან მსგავსება გლობალურ და ეროვნულ ინდიკატორებს შორის .....	29
დამატებითი ეროვნული ინდიკატორები (AI).....	30
ზოგადი რეკომენდაციები შეფასების ინდიკატორების შესამუშავებლად.....	31
ფინანსური ინდიკატორები.....	32
პოლიტიკის ანალიზის კვლევა.....	34
რეციდივიზმის ინდიკატორები .....	35
ზოგადი რეკომენდაციები პრევენციული ინტერვენციების დაგეგმვისთვის .....	36
ზოგადი რეკომენდაციები პრევენციული ინტერვენციების შეფასების ინდიკატორების შესამუშავებლად .....	38
არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმის სამოქმედო გეგმაში მოწოდებული ინდიკატორების მიმოხილვა.....	39
შეჯამება .....	49
დამატებითი ინდიკატორები (AI) დანაშაულის პრევენციის მიმართულების შეფასებისათვის .....	51

პრევენციული პროგრამების შეფასების გამოწვევები .....	54
პრევენციული პროგრამების შეფასება: არტთერაპია .....	56
რესოციალიზაცია - რეაბილიტაცია.....	58
რესოციალიზაციის პოლიტიკის ინდიკატორები .....	66
კვლევის მეთოდოლოგია:.....	67
I: არსებული ლიტერატურის სამაგიდო მიმოხილვა.....	67
II: სთეიქჰოლდერების გამოკითხვა.....	67
დაფინანსების ინდიკატორები რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის მიმართულების შეფასებისათვის.....	68
ადამიანური რესურსი: პროფესიული კომპეტენციებისა და კვალიფიკაციის კრიტერიუმები და მათი მონიტორინგი .....	69
პროფესიული გადამზადება/ტრენინგების შეფასების ინდიკატორები.....	73
რეკომენდებული დამატებითი კვლევები .....	76
ქუჩაში მცხოვრები/მომუშავე ბავშვების პოპულაციის ზომისა და საჭიროებების კვლევა... 76	
მიუსაფარ ბავშვებთან დაკავშირებული სახელმწიფო პოლიტიკის შეფასების კვლევა .....	78
ვიქტიმიზაციის კვლევა.....	79
მ&შ ინფორმაციით უზრუნველყოფს პოლიტიკის დოკუმენტებზე მუშაობის პროცესს.....	79
სამოქალაქო მონიტორინგი .....	80
უნივერსიტეტების სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებთან თანამშრომლობა.....	81
კვლევის ბიოეთიკა.....	82
რეკომენდაციები სახელმძღვანელოს პრაქტიკაში გამოყენების პროცესის შესახებ .....	84

**ცხრილების სარჩევი**

ცხრილი 1: არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის 15 გლობალური ინდიკატორი .....	13
ცხრილი 2: მონაცემთა დისაგრეგაციის კატეგორიების სტანდარტიზაცია – სქესი .....	20
ცხრილი 3: მონაცემთა დისაგრეგაციის კატეგორიების სტანდარტიზაცია – ასაკი.....	20
ცხრილი 4: მონაცემთა დისაგრეგაციის კატეგორიების სტანდარტიზაცია – დანაშაულის კლასიფიკაცია .....	21
ცხრილი 5: სექცია 1: დანაშაულის შედეგად დაზარალებული ბავშვები.....	26
ცხრილი 6: სექცია 2. პრევენცია – ინდიკატორები .....	26
ცხრილი 7: სექცია 3. დანაშაულის ჩადენა არასრულწლოვნებისა და ახალგაზრდების მიერ..	27
ცხრილი 8: სექცია 4. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება.....	27
ცხრილი 9: სექცია 5: თავისუფლებაზეზღუდული არასრულწლოვნები და ახალგაზრდები ...	28
ცხრილი 10: სექცია 6: პრობაციონერი და სხვა ალტერნატიულ ღონისძიებაში მონაწილე არასრულწლოვნები .....	29
ცხრილი 11: ფინანსური ინდიკატორები .....	33
ცხრილი 12: აქტივობისა და SMART ინდიკატორის ნიმუში.....	39
ცხრილი 13: პრევენციის მიმართულების ინდიკატორის შეფასება: მაგალითი 1 .....	40
ცხრილი 14: პრევენციის მიმართულების ინდიკატორის შეფასება: მაგალითი 2 .....	41
ცხრილი 15: პრევენციის მიმართულების ინდიკატორის შეფასება: მაგალითი 3 .....	42
ცხრილი 16: პრევენციის მიმართულების ინდიკატორის შეფასება: მაგალითი 4 .....	43
ცხრილი 17: პრევენციის მიმართულების ინდიკატორის შეფასება: მაგალითი 5 .....	44
ცხრილი 18: პრევენციის მიმართულების ინდიკატორის შეფასება: მაგალითი 6 .....	46
ცხრილი 19: პრევენციის მიმართულების ინდიკატორის შეფასება: მაგალითი 7 .....	47
ცხრილი 20: პრევენციის მიმართულების ინდიკატორის შეფასება: მაგალითი 8 .....	48
ცხრილი 21: აქტივობებისა და ინდიკატორების ნიმუშები .....	51
ცხრილი 22: დამატებითი ინდიკატორები: დანაშაულის პრევენციის მიმართულება.....	52
ცხრილი 23: არტთერაპიის პროგრამების შეფასების ინდიკატორები .....	57
ცხრილი 24: პრევენცია, რესოციალიზაცია და რეინტეგრაცია: პროგრამების მოცვის ინდიკატორები .....	59
ცხრილი 25: პრევენცია, რესოციალიზაცია და რეინტეგრაცია: რეინტეგრაციის გამოსავლის ინდიკატორები .....	60

ცხრილი 26: პრევენცია, რესოციალიზაცია-რეინტეგრაცია: არასრულწლოვანთა რესოციალიზაცია: ბავშვზე მორგებული სერვისები..... 62

ცხრილი 27: განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვებზე მორგებული სერვისები..... 64

ცხრილი 28: არასრულწლოვნებზე ორიენტირებული მართლმსაჯულება..... 65

ცხრილი 29: საორიენტაციო კითხვები პოლიტიკის ინდიკატორისათვის..... 66

ცხრილი 30: ფინანსური ინდიკატორები: რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის შეფასებისათვის ..... 69

ცხრილი 31: კვალიფიციური კადრის უზრუნველყოფა. ინდიკატორების გაზომვის გზები.... 70

ცხრილი 32: ტრენინგები/პროფესიული გადამზადება: გამოსავლის ინდიკატორი (ა) ..... 73

ცხრილი 33: ტრენინგები/პროფესიული გადამზადება: გამოსავლის ინდიკატორი (ბ) ..... 74

ცხრილი 34: ცოდნის გაუმჯობესების ინდიკატორი..... 75

ცხრილი 35: მიუსაფარ ბავშვებზე ორიენტირებული ინდიკატორები..... 76

შემოკლებები/აბრევიატურა/განმარტებები

მ&შ	მონიტორინგი და შეფასება.
სსკ	სისხლის სამართლის კოდექსი.
AI	მეთოდურ სახელმძღვანელოში მოწოდებული დამატებითი ინდიკატორები.
GCRT	წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრი.
GI	გლობალური ინდიკატორები (UNODC/UNICEF).
IRB	Institutional Review Board/ბიოეთიკის კომისია.
NI	ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული ეროვნული ინდიკატორები.
RIVG	Rehabilitation Initiative for Vulnerable Groups/ინიციატივა მოწყვლადი ჯგუფების რეაბილიტაციისთვის.
SMART	ინდიკატორის მახასიათებლები: სპეციფიკური, გაზომვადი, მიღწევადი, რეალისტური და დროში გაწერილი.
UNODC	გაეროს ოფისი ნარკოტიკებისა და ნარკოდანაშაულის შესახებ.
UNICEF	გაეროს ბავშვთა ფონდი.

### შესავალი

სახელმძღვანელო შექმნილია, როგორც დამხმარე ინსტრუმენტი სხვადასხვა დაინტერესებული მხარისთვის, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის მონიტორინგისა და შეფასებისას. სახელმძღვანელო ეფუძნება სტრატეგიას და სამოქმედო გეგმას, რომელიც შემუშავდა საქართველოს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის ფარგლებში და პასუხობს საქართველოს მთავრობის ძირითად პრიორიტეტებს<sup>1</sup>.

რეფორმა გამოყოფს 11 სტრატეგიულ მიმართულებას:

1. სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კანონმდებლობა;
2. პოლიციის რეფორმა;
3. პროკურატურის რეფორმა;
4. იურიდიული დახმარება;
5. სასამართლოს რეფორმა;
6. პენიტენციური სისტემის რეფორმა;
7. პრობაციის რეფორმა;
8. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმა;
9. იურიდიული განათლების რეფორმა;
10. ეფექტიანი სახალხო დამცველი;
11. სისხლის სამართლის სისტემაში რესოციალიზაცია/რეაბილიტაცია.

წინამდებარე სახელმძღვანელო ფოკუსირებულია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმის, კერძოდ პრევენციისა და რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის მიმართულებების მონიტორინგისა და შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებაზე.

სახელმძღვანელო მომზადებულია ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმის განხორციელების ხელშეწყობა“ ფარგლებში, რომელსაც წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრი (GCRT) არასამთავრობო ორგანიზაციებთან – ინიციატივა მოწყვლადი ჯგუფების რეაბილიტაციისთვის (RIVG), სამოქალაქო განვითარების სააგენტო (CiDA) და გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში – თბილისი (გიფ-თბილისი) – ერთად ახორციელებს.

სახელმძღვანელოს შემუშავება შეუძლებელი გახდებოდა დარგში დასაქმებული პროფესიონალების და GCRT-ისა და RIVG-ის გუნდის მხარდაჭერის გარეშე, რომლებიც

<sup>1</sup> სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სტრატეგია. 2018, 2019 წელი.

აქტიურად მონაწილეობდნენ კონსულტაციებში, სამაგიდო მიმოხილვის ეტაპზე კონსულტანტს მიაწოდეს ქვეყანაში არსებული რელევანტური ლიტერატურა, სახელმძღვანელოს მომზადების დასკვნით ეტაპზე კი – უკუკავშირი და ექსპერტული შეთავაზებები, რომლებიც უცვლელად არის სისტემატიზებული სახელმძღვანელოს საბოლოო ვერსიაში. სახელმძღვანელოს ავტორი, GCRT და RIVG იმედოვნებენ, რომ წინამდებარე დოკუმენტი აღმოჩნდება ღირებული და, რაც მთავარია, პრაქტიკული მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო ყველა იმ პირისათვის, ვინც დაინტერესებულია და/ან ჩართულია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის მონიტორინგისა და შეფასების გაუმჯობესების ინიციატივაში.

### სახელმძღვანელოს სტრუქტურა

წინამდებარე სახელმძღვანელოში განხილულია როგორც გლობალური, ასევე, ეროვნულ დონეზე შემუშავებული ინდიკატორები. გარდა ამისა, შემოთავაზებულია რამდენიმე ათეული ინდიკატორი, რომელთა გამოყენება ასევე რეკომენდებულია, როგორც დამხმარე საზომები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმის, კერძოდ, დანაშაულის პრევენციისა და რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის მიმართულებების მონიტორინგისა და შეფასებისათვის.

სახელმძღვანელოში მოკლედ არის მიმოხილული უკვე არსებული მმშ სისტემა, თუმცა დუბლირების თავიდან აცილების მიზნით, არ მეორდება სექციები<sup>2,3</sup> რომელიც უკვე დეტალურად და სრულფასოვნად არის შემუშავებული და გაწერილი პროფესიონალთა გუნდის მიერ. 2016 წელს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმის სამუშაო ჯგუფის ფარგლებში ჩამოყალიბდა ქვეჯგუფი, რომელმაც მნიშვნელოვანი ძალისხმევა გასწია, რათა შეექმნა მნიშვნელოვანი რესურსები რეფორმის მონიტორინგისა და შეფასების სისტემის შესასწავლად და მის გასაუმჯობესებლად.

2017 წელს ამ ქვეჯგუფმა მოამზადა *სისხლის სამართალწარმოების პროცესის მონაწილე არასრულწლოვნებთან დაკავშირებულ მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის სისტემის კონცეფცია*, რომელიც შემუშავებულია ევროკავშირისა და გაეროს ერთობლივი პროგრამის – „ხელმისაწვდომი მართლმსაჯულება და ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების სისტემის განვითარება საქართველოში“ – ფარგლებში.

მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის სისტემის კონცეფციის დოკუმენტი მიმოხილავს მონაცემებს, რომლებიც გროვდება სისტემის მიერ და განსაზღვრავს იმ მონაწილე და

<sup>2</sup> სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში ბავშვებთან დაკავშირებულ მონაცემთა შეგროვების და ანალიზის კონცეფცია. გაეროს ბავშვთა ფონდი. თებერვალი, 2017

<sup>3</sup> არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ინდიკატორები და მათი განმარტებები. 2018 (UNICEF)

პასუხისმგებელ უწყებებს, რომლებიც ჩართულნი არიან მონაცემების შეგროვებასა და ანალიზში. კონცეფცია აღწერს სისტემაში არსებულ ხარვეზებს და დაინტერესებულ მხარეებს სთავაზობს რეკომენდაციებს. სწორედ ამიტომ, ეს დოკუმენტი უნდა გამოიყენებოდეს, როგორც რეფერენსსახელმძღვანელო, როდესაც ნებისმიერი დაინტერესებული მხარე/ექსპერტთა გუნდი დაიწყებს მმშ-ის ინდიკატორების მომზადებაზე მუშაობას.

მეორე მნიშვნელოვანი სახელმძღვანელო, რომელიც ასევე უნდა განიხილებოდეს, როგორც დამხმარე რეფერენსწყარო, არის *არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ინდიკატორები და მათი განმარტებები* Error! Bookmark not defined.. 2017-2018 წლებში, ზემოთ დასახელებული ონცეფციის დოკუმენტზე დაყრდნობით, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმის სამუშაო ქვეჯგუფმა შეიმუშავა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმის მონიტორინგისა და შეფასების ეროვნული ინდიკატორები, რომლებზეც წინასწარი შეთანხმება უკვე არსებობს ქვეყნის ექსპერტებსა და რელევანტურ უწყებებს შორის. ამ ინდიკატორთა გარკვეული ნაწილი შესაბამისობაშია გლობალურ ინდიკატორებთან, ნაწილი კი მოწოდებულია ეროვნული საჭიროებებისა და სპეციფიკის გათვალისწინებით. ადგილობრივი ექსპერტების ქვეჯგუფის მიერ მომზადებულ დოკუმენტში წარმოდგენილია ეროვნული ინდიკატორები და მოცემულია განმარტება მათი მნიშვნელობის, კალკულაციის მეთოდებისა და მონაცემების დისაგრეგაციის სასურველი კატეგორიების შესახებ.

წინამდებარე დოკუმენტზე მუშაობის პროცესში უფრო მეტი მოხერხებულობისათვის ინდიკატორების ჯგუფი, რომელიც მოწოდებულია UNODC/UNICEF სახელმძღვანელოში,<sup>4</sup> პირობითად წარმოდგენილია სპეციფიკური *აბრევიატურით-GI (Global Indicators)*; მაგ., GI.1, GI.2 და ა.შ.

ადგილობრივი ექსპერტების ჯგუფის მიერ მოწოდებული ეროვნული ინდიკატორები, რომელთა რაოდენობა 42-ს აღწევს, პირობითად წარმოდგენილია აბრევიატურით NI (National Indicators); მაგ., NI.1, NI.2 და ა.შ.

წინამდებარე სახელმძღვანელო დაინტერესებულ მკითხველს სთავაზობს ზოგად რეკომენდაციებს მონიტორინგისა და შეფასების სისტემის გაძლიერებისთვის; მოკლედ აღწერს ინდიკატორების შემუშავების დადგენილ სტანდარტებს; ასევე, მიმოიხილავს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმის სამოქმედო გეგმაში არსებულ რამდენიმე აქტივობას და მათი შეფასებისთვის/მათ შესაფასებლად მოწოდებულ ინდიკატორებს. სახელმძღვანელო რეკომენდაციას უწევს გლობალური და უკვე შეთანხმებული ეროვნული ინდიკატორების გამოყენებას და ამასთან, გვთავაზობს დამატებით ინდიკატორებს, რომლებიც დოკუმენტში წარმოდგენილია აბრევიატურით – AI (Additional Indicators); მაგალითად, AI.1, AI.2 და ა.შ.


<sup>4</sup> Manual for the measurement of juvenile justice indicators. UNODC, UNICEF. UN New York 2006

სახელმძღვანელო ცალკე თავების სახით წარმოადგენს მმშ-ის მეთოდურ რეკომენდაციებს სხვადასხვა თემის ირგვლივ: პოლიტიკის შეფასების ინდიკატორები; ფინანსური ინდიკატორები; არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში ადამიანური რესურსის გაძლიერებაზე მიმართული ღონისძიებების მმშ; ტრენინგების მმშ-ის ინსტრუმენტები და სხვ.

### არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის მონიტორინგი და შეფასება

არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის მაკოორდინირებელი უწყება საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა, რომელიც ქვეყანაში განსაზღვრავს სისხლის სამართლის პოლიტიკას. სტრატეგიის შესრულების მონიტორინგსა და ზედამხედველობას უზრუნველყოფს/ეწევა სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის გამტარებელი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო (შემდგომში – საბჭო). რეფორმის მონიტორინგსა და შეფასების სისტემის ფუნქციონირებაში/ წახალისებულა *სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა და საერთაშორისო პარტნიორების მხარდაჭერა*.

გრაფიკი 1: სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის მონიტორინგისა და შეფასების სტრუქტურა



საბჭოს ფარგლებში საქართველოს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის 9 სტრატეგიულ მიმართულებაზე (იურიდიული განათლებისა და სახალხო დამცველის გარდა) 9 სამუშაო ჯგუფია შექმნილი. იუსტიციის სამინისტროს ფარგლებში

მუშაობს საბჭოს სამდივნო (იუსტიციის სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტი), რომელიც უზრუნველყოფს ან ხელს უწყობს მონაცემების შეგროვებასა და ანალიზს. ასევე წელიწადში ორჯერ ახორციელებს მონიტორინგს პასუხისმგებელი უწყებების მიერ მონიტორინგის ინსტრუმენტებისა და წლიური ანგარიშისთვის გამოქვეყნებაზე.

**მონაცემების შეგროვება, ანალიზი და სტატისტიკური ანგარიშები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში<sup>5,6,7</sup>**

საქართველოს პროკურატურა აგროვებს სხვადასხვა სახის ინფორმაციას არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში ჩართულ არასრულწლოვან პირებთან დაკავშირებით: ძირითადი მონაცემები აღწერილობითი სტატისტიკაა და იძლევა მონაცემებს კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების რაოდენობის, ასაკის, სქესისა და დანაშაულების კატეგორიების მიხედვით. სისხლის სამართლის სტატისტიკის ერთიანი ანგარიში ყოველთვიურად ქვეყნდება საქსტატის (<https://www.geostat.ge>) ვებგვერდზე, სადაც მონაცემების დისაგრეგაცია ხდება არასრულწლოვანი პირების ჭრილში.

2014 წელს არასრულწლოვანთა დანაშაულების შესახებ სტატისტიკური მონაცემების სრულყოფის მიზნით, მთავარი პროკურორის ბრძანებით, განისაზღვრა პროკურორების მიერ მთავარი პროკურატურის ანალიტიკური სამმართველოსთვის სრულყოფილი და დეტალური სტატისტიკის მიწოდების ვალდებულება.

პროკურატურა ამზადებს ყოველწლიურ სტატისტიკურ ანგარიშს, რომელშიც მოცემულია მონაცემები არასრულწლოვანთა მიმართ დევნის დაწყების, განრიდების გამოყენებისა და არასრულწლოვანების დაზარალებულად ცნობის შესახებ. პროკურატურის მიერ არის მომზადებული ასევე 2016 წელს არასრულწლოვანთა დანაშაულის გამომწვევი მიზეზების კრიმინოლოგიური ანალიზი.

სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრი“ აგროვებს და 6 თვეში ერთხელ ანგარიშის სახით აქვეყნებს განრიდების პროგრამების დეტალურ სტატისტიკას. ცენტრი ასევე აგროვებს მედიაციის კომპონენტის დეტალურ მაჩვენებლებს.

დეტალებისათვის მიმართეთ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში ბავშვებთან დაკავშირებულ მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის კონცეფციას<sup>12</sup>.

<sup>5</sup> სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სტრატეგია. 2018 წელი  
<sup>6</sup> სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის უწყებათაშორისი საბჭოს წლიური ანგარიში 2016 წ.  
<sup>7</sup> სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში ბავშვებთან დაკავშირებულ მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის კონცეფცია. გაეროს ბავშვთა ფონდი. თებერვალი, 2017 წ.

**არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების გლობალური ინდიკატორები**

UNODC და გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ მომზადებული სახელმძღვანელო<sup>8</sup> არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების შეფასებისათვის გეთავაზობს 15 ინდიკატორს, რომლებიც აფასებს სისტემის მუშაობას. მოწოდებული 15 გლობალური ინდიკატორი ოპერაციულ განმარტებებთან ერთად მოცემულია UNODC/UNICEF-ის სახელმძღვანელოში. გლობალური ინდიკატორების დიდი მნიშვნელობიდან გამომდინარე, განისაზღვრა 5 უმთავრესი (ე.წ. CORE) ინდიკატორი, რომელთა შესახებ მონაცემების რეგულარულად მოგროვების რეკომენდაცია განსაკუთრებით არის ხაზგასმული გაეროს სახელმძღვანელო დოკუმენტში.

ცხრილი 1: არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის 15 გლობალური ინდიკატორი

	ინდიკატორი	განმარტება
GI.1	კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვები	12-თვიანი პერიოდის განმავლობაში დაკავებულ არასრულწლოვანთა რაოდენობის თანაფარდობა 100000 არასრულწლოვან მოსახლეობასთან.
GI.2	არასრულწლოვნები სასჯელაღსრულებაში (CORE)	დაკავებულ არასრულწლოვანთა რაოდენობის თანაფარდობა 100000 არასრულწლოვან მოსახლეობასთან
GI.3	არასრულწლოვნები წინასწარი დაკავების დაწესებულებაში (CORE)	წინასწარი დაკავების დაწესებულებაში მყოფ არასრულწლოვანთა რაოდენობის თანაფარდობა 100 000 არასრულწლოვან მოსახლეობასთან.
GI.4	წინასწარი დაკავების დაწესებულებაში დაყოვნების ხანგრძლივობა	დრო, რომელსაც ატარებს არასრულწლოვანი წინასწარი დაკავების დაწესებულებაში, განაჩენის გამოტანამდე.
GI.5	საპატიმრო განაჩენის ხანგრძლივობა	დრო, რომელსაც ატარებს არასრულწლოვანი ციხეში სასჯელის მოხდის მიზნით.
GI.6	თავისუფლების აღკვეთის ადგილებში არასრულწლოვანთა სიკვდილი	დაკავებული არასრულწლოვნის სიკვდილის შემთხვევათა რაოდენობა 12 თვის განმავლობაში, შეფარდებული 1000 დაკავებულ არასრულწლოვანთან.
GI.7	არასრულწლოვანთა სრული განცალკევება მოზრდილი პატიმრებისგან	იმ არასრულწლოვანთა პროპორცია, რომლებიც სრულად არ არიან განცალკევებულნი მოზრდილი პატიმრებისგან.

<sup>8</sup> Manual for the measurement of juvenile justice indicators. UNODC, UNICEF. UN New York 2006

GI.8	მშობლებსა და ოჯახთან კონტაქტის შენარჩუნება	თავისუფლების აღკვეთის ადგილებში არასრულწლოვანთა პროპორცია, რომლებიც ბოლო 3 თვის განმავლობაში ერთხელ მაინც მოინახულა მშობელმა/მეურვემ ან ოჯახის სხვა მოზრდილმა წევრმა.
GI.9	თავისუფლების აღკვეთის განაჩენი არასრულწლოვანთა შორის (CORE)	არასრულწლოვანთა პროპორცია, რომელთაც თავისუფლების აღკვეთის განაჩენი გამოუტანეს, შეფარდებული გასამართლებულ არასრულწლოვანთა მთლიან რაოდენობასთან.
GI.10	არასრულწლოვანთა განრიდება (CORE)	იმ არასრულწლოვანთა პროპორცია, რომლებიც იყვნენ განრიდებულნი არასრულწლოვანთა მთლიანი ჯგუფიდან (ჯამურად – განრიდებული + გასამართლებული პირები).
GI.11	გათავისუფლების შემდგომი ზრუნვა	გათავისუფლებული არასრულწლოვანების წილი, რომლებიც იღებენ შემდგომი ზრუნვის სერვისებს.
<b>პოლიტიკის შეფასების ინდიკატორები</b>		
GI.12	რეგულარული და დამოუკიდებელი ინსპექტირება	<ul style="list-style-type: none"> <li>• თავისუფლების აღკვეთის ადგილებზე რეგულარული და დამოუკიდებელი ინსპექტირების სისტემის არსებობა.</li> <li>• თავისუფლების აღკვეთის ადგილების პროცენტული წილი, სადაც დამოუკიდებელი ინსპექცია განხორციელდა ბოლო 12 თვის განმავლობაში.</li> </ul>
GI.13	გასაჩივრების მექანიზმები	<ul style="list-style-type: none"> <li>• თავისუფლების აღკვეთის ადგილებში მყოფი ბავშვებისათვის გასაჩივრების სისტემის არსებობა.</li> <li>• თავისუფლების აღკვეთის ადგილების პროცენტული წილი, სადაც მოქმედებს გასაჩივრების სისტემა.</li> </ul>
GI.14	არასრულწლოვანთა სამართლის სპეციალიზებული სისტემა (CORE)	არასრულწლოვანთა სამართლის სპეციალიზებული სისტემის არსებობა ქვეყანაში.
GI.15	პრევენცია	არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის ეროვნული გეგმის არსებობა.

მოცემული ინდიკატორები ძირითადად აფასებს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის მუშაობის საბოლოო შედეგებს და სწორედ ამიტომ ისინი ძირითადად წარმოადგენენ ე.წ. ზეგავლენის (impact) ან გამოსავლის (outcome) ინდიკატორებს. გლობალური ინდიკატორების გამოყენების მთავარი უპირატესობაა მათი შედარებითობა გლობალურად, სხვა ქვეყნების მიერ სისტემის შეფასების ინდიკატორებთან, რაც საშუალებას მისცემს ქვეყანას, განსაზღვროს, რამდენად წარმატებულია სისტემის რეფორმა სხვა მსგავსი მონაცემების მქონე ქვეყნებთან შედარებით. თუმცა სახელმძღვანელოში გაცნობიერებულია, რომ განსხვავებული კონტექსტიდან გამომდინარე, ცალკეულ ქვეყნებს შესაძლოა, დასჭირდეთ ინდიკატორების ადაპტირება, თუ ობიექტურად ინდიკატორისთვის საჭირო სანდო მონაცემების მოგროვების სისტემა ჯერ გამართული არაა.

შეზღუდული რესურსების პირობებში კი, სასურველია, ქვეყანამ შეძლოს გლობალური ინდიკატორების გაანალიზება. ამის მცდელობა უნდა დაიწყოს დაუყოვნებლივ. თითოეულ ამ ინდიკატორს აქვს დეტალური განმარტება, როგორ უნდა მოხდეს მისი გამოთვლა. მონაცემების მოძიების პერიოდში, მშშ მომუშავე პირები აღმოაჩენენ, რამდენად არის მონაცემები ხელმისაწვდომი იმ ფორმატით, რომელიც ინდიკატორების ასეთი სტანდარტული წესით გამოთვლის საშუალებას იძლევა. სწორედ ამიტომ, პროცესის ინიცირება უმნიშვნელოვანესი ეტაპი იქნება იმისათვის, რომ მოხდეს მონაცემების მოგროვებაში არსებული ხარვეზების იდენტიფიცირება, შემუშავდეს პრაქტიკული რეკომენდაციები და დაიგეგმოს სისტემის გაუმჯობესების ეფექტიანი გზები.

### პოლიტიკის შეფასების გლობალური ინდიკატორი

არ არსებობს სრულფასოვანი ინდიკატორი, რომელიც სწორხაზოვნად შეაფასებს მართლმსაჯულების რეფორმას და გაზომავს რეფორმისგან მიღებულ საზოგადოებრივ სარგებელს. ხშირად ამიტომაც არის შემოთავაზება, გამოვიყენოთ კომპოზიციური ინდიკატორები – ინდიკატორები, რომლებიც რამდენიმე ინდიკატორისგან მიღებული მნიშვნელობების დაჯამებას გულისხმობს.

პოლიტიკის ინდიკატორები აფასებს სახელმწიფოს მიდგომებს, არსებულ სამართლებრივ ბაზას, სტანდარტებსა და გაიდლაინებს. პოლიტიკის შეფასების ინდიკატორი კომპოზიციურია და შედგება 4 ინდიკატორისაგან:



- **ინდიკატორი 12:** სისტემის არსებობა, რომელიც უზრუნველყოფს არასრულწლოვანთა დაკავების ადგილების ინსპექტირებას დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ;
- **ინდიკატორი 13:** სისტემის არსებობა, რომელიც უზრუნველყოფს დაკავების ადგილას მყოფი არასრულწლოვნების მიერ საჩივრის ჩაბარებისა და მათი განხილვის ინსტიტუციური მექანიზმების არსებობას;
- **ინდიკატორი 14:** არასრულწლოვანთათვის სპეციალიზებული დაწესებულებებისა და სერვისების არსებობა;
- **ინდიკატორი 15:** დანაშაულის პრევენციის ეროვნული სამოქმედო გეგმის არსებობა.

პოლიტიკის ინდიკატორებისათვის მოწოდებულია შერეული მეთოდოლოგიის გამოყენება: სამაგიდო მიმოხილვა და სთეიქჰოლდერთა გამოკითხვა. ამრიგად, ამ ინდიკატორებისათვის ძირითადი საინფორმაციო წყაროებია: არსებული საკანონმდებლო ბაზები, ანგარიშების მიმოხილვა, სამთავრობო ინსტიტუტების, მათ შორის, რელევანტური სამინისტროებისგან ინფორმაციის გამოთხოვა ან ოფიციალური პირებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების გამოკითხვა. ქვემოთ, რეკომენდაციის სახით, მოწოდებულია ამ ინდიკატორების შეფასების დონეები, რომელიც მიანიშნებს, რომ პოლიტიკის შეფასებისათვის არ არის საკმარისი დიქტომიური პასუხების გაცემა (მაგ., პრევენციის გეგმა არსებობს; ან არ არსებობს). არამედ, არსებული კანონების/პოლიტიკის შესაფასებლად გათვალისწინებული უნდა იყოს სთეიქჰოლდერთა მოსაზრებები/აღქმა, რამდენად სრულფასოვნად უზრუნველყოფს არსებული სისტემა საკითხის დაცვას.

პოლიტიკის ინდიკატორების შემუშავებისათვის მოწოდებულია ინსტრუმენტი, რომელიც შეფასების სტანდარტიზაციისათვის გთავაზობს შემდეგი დონეების გამოყენებას (მეტი დეტალისათვის იხილეთ UNODC/UNICEF სახელმძღვანელო<sup>8</sup>):

- დონე 1: არ არსებობს შესაბამისი კანონები ან პოლიტიკა;
- დონე 2: არსებული საკანონმდებლო ბაზა ან სახელმწიფოს პოლიტიკა მხოლოდ სუსტად იცავს ამ მოთხოვნას;
- დონე 3: არსებული საკანონმდებლო ბაზა ან სახელმწიფოს პოლიტიკა ზომიერად იცავს ამ მოთხოვნას;
- დონე 4: არსებული საკანონმდებლო ბაზა ან სახელმწიფოს პოლიტიკა სრულფასოვნად იცავს ამ მოთხოვნას.

შეფასების სტანდარტული დეფინიციების/მოწოდებული დონეების გამოყენება გაამარტივებს პოლიტიკის ინდიკატორების გაანალიზებას, და აქედან გამომდინარე, რეკომენდებულია ამ სისტემის მიღება.

## ზოგადი მეთოდოლოგიური რეკომენდაციები

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის შეფასებისთვის მთავარი მეთოდი არის ინფორმაციის შეგროვება, კომპილაცია და ანალიზი. ინფორმაცია გროვდება როგორც ადგილობრივ (სოფლის, ქალაქის, რაიონის და ა.შ.), ასევე ცენტრალურ დონეზე. შეგროვებული მონაცემების კომპილაცია შესაძლებელია განხორციელდეს ინსტიტუციურ დონეზე და ასევე გეოგრაფიულად – ქალაქის/რეგიონების დონეებზე.

ინდიკატორების მომზადება ხდება ცენტრალურ დონეზე და ანალიზი ითვალისწინებს მათ დისაგრეგაციას სხვადასხვა ცვლადის მიხედვით (მაგ., სქესის, ასაკობრივი ჯგუფის, სოციალური სტატუსის, გეოგრაფიული არეალისა და სხვ.).

ინდიკატორები, რომლებიც აფასებენ ქვეყნის პოლიტიკას და რეფორმის სისტემას ზოგადად (მაგ., როგორცაა კანონების რევიზია, პროგრამების ინსტიტუციონალიზაცია, ადეკვატური დაფინანსების უზრუნველყოფა და სხვ.), მზადდება ცენტრალურ დონეზე. ამ ინდიკატორებისთვის ინფორმაციის შეგროვებაც ცენტრალურ დონეზე იგეგმება და ხორციელდება, თუმცა ეს პროცესი ასევე უნდა მოიცავდეს ადგილობრივ დონეზე, არაცენტრალურად, დაინტერესებული მხარეების ჩართულობას და მონაწილეობას (მაგ., რეკომენდებულია, პოლიტიკის შეფასების დროს გამოკითხვაში მონაწილეობდნენ არა მარტო ცენტრალურ დონეზე მომუშავე ინსტიტუციებში დასაქმებული ოფიციალური პირები ან სხვა თანამშრომლები, არამედ რეგიონებში მომუშავე ადგილობრივი კადრები).

ინფორმაციული სისტემის ეფექტიანად მუშაობისთვის აუცილებელია შემდეგი აქტივობები:

1. **არსებული საინფორმაციო სისტემის შეფასება:** მშმ ჩარჩოს, ასევე გლობალური და ეროვნული ინდიკატორების შესახებ კონსენსუსის მიღწევის შემდეგ ექსპერტულად უნდა შეფასდეს არსებული სისტემა. ამ შეფასების მიზანია:
  - ✓ განსაზღვროს, რა ტიპის ინფორმაცია რომელ დონეზე, რა ინსტრუმენტებით, ვის მიერ და როგორი პერიოდულობით გროვდება;
  - ✓ შეაფასოს არსებული ინფორმაციის სიზუსტე და სისრულე;
  - ✓ განსაზღვროს, როგორია შეგროვებული ინფორმაციის გაზიარების ნაკადი სხვადასხვა დონეზე ან სხვადასხვა უწყების მიერ. შეისწავლოს, რა ტიპის ინფორმაცია ტარდება ქალაქებზე და რა ინფორმაციაა ხელმისაწვდომი ელექტრონულად. ეს მნიშვნელოვანია, რადგან ინფორმაციის მოგროვება უნდა ითვალისწინებდეს თითოეული ინდივიდუალური პირის (არასრულწლოვნის) შესახებ კომპლექსური ინფორმაციების თავმოყრას ყველა იმ დონეზე, სადაც არასრულწლოვანი ხვდება.
  - ✓ სისტემის ექსპერტული შეფასების ანგარიში განსაზღვრავს, რა ტიპის ინფორმაციის დეფიციტი არსებობს სისტემაში, რომელიც აფერხებს

ინდიკატორების გამოთვლას; რა აქტივობები უნდა დაიგეგმოს და ჩატარდეს საინფორმაციო სისტემის სრულყოფისა და სტანდარტიზაციისთვის.

როგორც ზემოთ აღინიშნა, საქართველოში უკვე შემუშავებულია მონაცემების შეგროვებისა და ანალიზის კონცეფცია, რომელიც დამატებით სასარგებლო ინფორმაციას სთავაზობს დაინტერესებულ პირებს.

### შერჩევის მეთოდოლოგია

იდეალურ შემთხვევაში ინფორმაცია უნდა შეგროვდეს თითოეული არასრულწლოვნის შესახებ, მაგრამ, ქვეყნის სპეციფიკიდან გამომდინარე და საინფორმაციო სისტემაში არსებული ხარვეზების პირობებში, თუ ვერ ხერხდება სისტემის სრულყოფა გონივრულად მოკლე ვადებში, აუცილებელი ხდება მონაცემების შეგროვება გარკვეული შერჩევის პრინციპით. შერჩევის გამოყენება საჭირო ხდება, როდესაც შეფასება ითვალისწინებს გამოკითხვას, მაგ., დაინტერესებული მხარეების (ე.წ. „სთეიქჰოლდერების“), ბენეფიციარების ან ოფიციალური პირების. ასეთ შემთხვევაში, კონკრეტული კვლევისა და საკვლევი საკითხების შესაბამისად, სტატისტიკოსმა უნდა გადაწყვიტოს შერჩევის ზომა და მეთოდი.

რაოდენობრივი კვლევა მნიშვნელოვან რესურსებთანაა დაკავშირებული, თუმცა საწყის ეტაპზე შეგვიძლია, ვაწარმოთ თვისებრივი კვლევა, რომელიც გამოკითხვისას გაითვალისწინებს შემდეგ მეთოდებს:

- ✓ ინდივიდუალურ – პირისპირ ინტერვიუებს;
- ✓ გამოკითხვას თვითადმინისტრირებადი სტრუქტურირებული კითხვარების გზით. ამ მეთოდის გამოყენებით კითხვარები შესაძლოა, დარიგდეს, გაიგზავნოს ელექტრონულად რესპონდენტებთან. ეს გზა საკმაოდ მოხერხებულია, იაფი, რადგან მოითხოვს ნაკლებ რესურსებს. ძირითადად, აგროვებს რაოდენობრივ ინფორმაციას, თუმცა შესაძლოა, შეიცავდეს რამდენიმე ღია კითხვასაც, რომელთა საშუალებითაც რესპონდენტისგან თვისობრივად საინტერესო ინფორმაციას ვაგროვებთ. თუმცა ამ მეთოდის ნაკლოვანებებია: არასრულად შევსებული კითხვარები; არარელევანტური/არავალიდური პასუხები; ტენდენცია, რომ კითხვარის თვითადმინისტრირების დროს დატოვონ ღია კითხვები პასუხის გარეშე.
- ✓ ფოკუს-ჯგუფებს სამიზნე ჯგუფებში. სამიზნე ჯგუფი შესაძლოა, მრავალფეროვანი იყოს; მაგ., პოლიტიკის განმსაზღვრელები, სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციები, სამოქალაქო საზოგადოების აქტიური წევრები/უფლებადამცველები, თავად კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნები, და/ან მათი მშობლები/მეურვეები და სხვ.

### ტერმინთა განმარტებები

მმშ-ის მეთოდურ სახელმძღვანელოში აუცილებელია, არსებობდეს ტერმინების განმარტება, თუმცა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში გამოყენებული ტერმინების განმარტება უკვე გაწერილია დოკუმენტში: *არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ინდიკატორები და მათი განმარტებები. გაეროს ბავშვთა ფონდი. 2018.*

წინამდებარე დოკუმენტი ითვალისწინებს უკვე არსებულ რესურსებს და რეკომენდაციას იძლევა, რომ ზოგადი განმარტებები, რომლებიც მოცემულია ზემოაღნიშნულ დოკუმენტში, უცვლელად იქნას გამოყენებული.

- I. ბავშვი;
- II. ასაკობრივი ჯგუფები;
- III. დანაშაული, სამართალდარღვევა და დანაშაულის ტიპები;
- IV. გეოგრაფიული მდებარეობა;
- V. მოქალაქეობა;
- VI. თავისუფლების შეზღუდვა;
- VII. პატიმარი;
- VIII. სპეციალური მზრუნველობის საჭიროების მქონე პირები;
- IX. დროის მონაკვეთი, რომელშიც ხდება მონაცემთა შეგროვება.

აქედან გამომდინარე, წინამდებარე სახელმძღვანელოში გამოყენებული ტერმინები სრულ თანხვედრაში იქნება არსებულ განმარტებებთან. თუ შემოთავაზებული კონკრეტული ინდიკატორისთვის რეკომენდებულია განსხვავებული განმარტება, ინდიკატორების ე.წ. პასპორტში იქნება შესაბამისი მითითება.

### მონაცემთა დისაგრეგაციის რეკომენდებული კატეგორიები

თითოეული ინდიკატორის პასპორტი გვთავაზობს რეკომენდაციას, რომელიც ცვლადების მიხედვით უნდა მოხდეს მონაცემების დისაგრეგაცია/დანაწევრება. სტანდარტულად, რეფორმის მმშ მონაცემები უნდა იყოს დისაგრეგირებული/დანაწევრებული შემდეგი კატეგორიების მიხედვით:

- სქესი
- ასაკი
- ეთნიკურობა
- გეოგრაფიული (რეგიონი)
- დანაშაულის კატეგორიები

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია დისაგრეგაციის ძირითადი კატეგორიები და იგი წარმოადგენს პრაქტიკულ ინსტრუმენტს, თითოეული უწყებისთვის, რომელიც პასუხისმგებელია კონკრეტული ინდიკატორების მომზადებაზე. აქვე აღვნიშნავთ, რომ ეს კატეგორიები სრულად შეესაბამება UNODC/UNICEF-ის მიერ მოწოდებული სახელმძღვანელოს სტანდარტულ მოთხოვნებს. ეროვნული ინდიკატორების შემუშავებისას დისაგრეგაციის პრინციპები, რომელიც გლობალური ინდიკატორებისათვის არის მოწოდებული UNODC/UNICEF-ის მიერ, ძირითადად, შესაბამისობაშია ერთმანეთთან. თუმცა, ეროვნული ინდიკატორების დისაგრეგაციისთვის ასევე მოწოდებულია სხვა ქვეკატეგორიები.

ცხრილი 2: მონაცემთა დისაგრეგაციის კატეგორიების სტანდარტიზაცია – სქესი

კატეგორია	აღწერილობა
სქესი	ქალი ან კაცი.  შენიშვნა: ბოლო პერიოდში ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციები რეკომენდაციას იძლევიან სქესის კატეგორიას დაემატოს 'ტრანსგენდერი'. ტრანსგენდერი თემის რაოდენობრივი მაჩვენებელი საქართველოში მცირეა და მათი სისტემაში მოხვედრის ალბათობა, შესაძლოა, მცირე იყოს, თუმცა, თემის სენსიტიურობიდან გამომდინარე, ასეთი შემთხვევებისათვის (იქნება ეს ძალადობა მათ მიმართ ან მათ მიერ ჩადენილი) მონაცემების ელექტრონული სისტემები უნდა იძლეოდეს ამ კატეგორიის მონიშვნის შესაძლებლობას.

ცხრილი 3: მონაცემთა დისაგრეგაციის კატეგორიების სტანდარტიზაცია – ასაკი

კატეგორია	აღწერილობა
ასაკი	ასაკობრივი ჯგუფები: 0-13წ. 14-15 წ. 16-17წ. 18 წელი ან უფროსი  შენიშვნა: ასაკისათვის ათვლის წერტილი შესაძლოა, განსხვავებული იყოს სხვადასხვა ინდიკატორისათვის, რომელიც ინდიკატორის პასპორტში უნდა იყოს მითითებული. მაგ., ასაკი დაკავების ან განაჩენის გამოტანის დღეს. იწერება ის ასაკი, რომელიც უკვე შესრულებულია დროის სპეციფიკური დღისათვის. მაგ., თუ დაკავების დღეს ბავშვს ჯერ არ შესრულებია 17 წელი, ბავშვის ასაკად იწერება 16 წელი.

	არსებობს სხვადასხვა რეკომენდაცია ინდიკატორის დისაგრეგაციისათვის ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით: მაგ.: <sup>9</sup> დაზარალებულთათვის – 0-13 წ. ან 14-17 წ.; მოძალადისათვის – 0-13 წ. 14-17 წ. 18 წ. ან უფროსი). საქართველოში ამჟამად არსებული სტატისტიკური მონაცემები 14-დან 17 წლის ბავშვების მონაცემებს წარმოადგენს ორი ასაკობრივი ჯგუფის სახით: 14-15წ. და 16-17 წლის. თუმცა UNODC/UNICEF რეკომენდაციას გვაძლევს, რომ 18 წლამდე ასაკის ბავშვებზე მონაცემები დაჯგუფების გარეშე იყოს წარმოდგენილი. გაითვალისწინეთ – ასაკობრივი ჯგუფები გამოიყენება მონაცემების ანალიზისთვის და თითოეული კონკრეტული შემთხვევის რეგისტრაციის დროს თითოეულ პირზე უნდა მიეთითოს კონკრეტული ასაკი (მაგ. 15 ან 19 წწ.) და არა ასაკობრივი ჯგუფის კატეგორია.
--	---

დანაშაულის მიხედვით კლასიფიკაცია

გლობალური ინდიკატორებისთვის მოწოდებულია დანაშაულის სახეობის მიხედვით შემდეგი ტიპის კლასიფიკაცია.

ცხრილი 4: მონაცემთა დისაგრეგაციის კატეგორიების სტანდარტიზაცია – დანაშაულის კლასიფიკაცია

კატეგორია	აღწერილობა
დანაშაულის კატეგორიები	რეკომენდებულია შემდეგი სტანდარტული კატეგორია: <ol style="list-style-type: none"> <li>1. ადამიანის წინააღმდეგ ჩადენილი მძიმე დანაშაული;</li> <li>2. საკუთრების სერიოზული დაზიანება;</li> <li>3. ქურდობა;</li> <li>4. საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა;</li> <li>5. ნარკოტიკთან დაკავშირებული დანაშაული;</li> <li>6. პოლიტიკური დანაშაული;</li> <li>7. იმიგრაცია/მიგრაცია;</li> <li>8. ასაკობრივი სტატუსის გამო კვალიფიცირებული დანაშაული;</li> <li>9. სხვა დანაშაულები;</li> <li>10. დელინქენტური ქცევის რისკის ქვეშ ყოფნა;</li> <li>11. არაორდინარული სიტუაცია.</li> </ol> <p>დანაშაულების კატეგორია შესაძლებელია, შეიცვალოს ქვეყნის კონტექსტის გათვალისწინებით.</p>

<sup>9</sup> TransMonEE/UNICEF

საქართველოს ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული დოკუმენტი – ‘მონაცემთა შეგროვების და ანალიზის კონცეფცია’ აღწერს, რომ უზენაესი სასამართლო იყენებს ფორმას, მოაგროვოს მონაცემები საერთო სასამართლოებიდან მსჯავრდებული არასრულწლოვანი დამნაშავეების შესახებ. ინფორმაცია გროვდება 10-ზე მეტ კონკრეტულ დანაშაულზე (ქურდობა, ყაჩაღობა, მარცვა, თაღლითობა, გამოძალვა, მკვლელობა, მკვლელობა დაუდევრობით, ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, გაუპატიურება, ხულიგნობა, ნარკოტიკების დამზადება, შენახვა, გადაზიდვა, გადატანა ან გაყიდვა) და ორი დამატებითი კატეგორია – სხვა ნარკოტიკული დანაშაული და სხვა დანაშაული.

იგივე წყარო აღნიშნავს, რომ დანაშაული შესაძლოა, დაყოფილი იყოს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლების მიხედვით, მაგალითად – სსკ-ის 177-ე მუხლი (ქურდობა), სსკ-ის 178-ე მუხლი (მარცვა) და ა.შ. საქსტატის ვებგვერდი არასრულწლოვანთა დანაშაულების კლასიფიკაციისათვის ასევე განსხვავებულ კლასიფიკაციას იყენებს და მონაცემების დისაგრეგაციას წარმოადგენს 6 კატეგორიის მიხედვით: მკვლელობა, ზიანის განზრახ მიყენება, ქურდობა, ხულიგნობა, ნარკოტიკების წარმოება/ტრეფიკინგი და სხვა დანაშაული.

დანაშაულის განსხვავებული კლასიფიკაციების გამოყენება მიზანშეწონილი არაა, რადგან ასეთ შემთხვევაში რთულდება მონაცემების შედარებითობა/ჯვარედინი ვერიფიკაცია ან მონაცემების მეორადი ანალიზი. ამ ხარვეზს სთეიქჰოლდერებიც აღიარებენ: „დანაშაულის დაახლოებით ნახევარი (45%) არის „სხვა“ დანაშაული, რაც გარკვეულ სირთულეს ქმნის“.<sup>12</sup>

ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ ნებისმიერ ქვეყანას შეუძლია, გამოიყენოს მისთვის მისაღები კატეგორიები, თუმცა სასურველია, შექმნან შესაძლებლობა, გამოიანგარიშონ გლობალური ინდიკატორი სტანდარტულად მოწოდებული კატეგორიების მიხედვითაც, როცა ამის საჭიროება დგება. ამისათვის სთეიქჰოლდერებმა კონსენსუსის საფუძველზე უნდა განსაზღვრონ, GI-ების სტანდარტულ კატეგორიებს დანაშაულის რომელი კლასიფიკაცია შეესაბამება, რომელიც ეროვნული ინდიკატორებისათვის განისაზღვრა.

#	დანაშაულის კატეგორიები GI-ისთვის	შესატყვისი დეფინიციები მართლმსაჯულების კოდექსის ან ეროვნული ინდიკატორების მიხედვით (NI).
1	ადამიანის წინააღმდეგ ჩადენილი მძიმე დანაშაული	დანაშაული სიცოცხლის წინააღმდეგ (სისხლის სამართლის კოდექსი, თავი XIX). დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ (სისხლის სამართლის კოდექსი, თავი XX). ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საფრთხის შექმნა (სისხლის სამართლის კოდექსი, თავი XXI).
2	საკუთრების წინააღმდეგ სერიოზული დანაშაული	დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ (სისხლის სამართლის კოდექსი, თავი XXV).
3	ქურდობა	დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ (სისხლის სამართლის კოდექსი, თავი XXV).
4	საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა	დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ (სისხლის სამართლის კოდექსი, თავი XXXIII).
5	ნარკოტიკთან დაკავშირებული დანაშაული	ნარკოტიკული დანაშაული (სისხლის სამართლის კოდექსი, თავი XXX).
6	პოლიტიკური დანაშაული	<i>შენიშვნა: სპეციფიკური მუხლი სისხლის სამართლის კოდექსში გამოყოფილი არ არის. ასეთი დანაშაული განხილულია, როგორც მაკვალიფიცირებელი, დამამძიმებელი გარემოება, რომელიც ნებისმიერ დანაშაულთან კონტექსტში განიხილება.</i>
7	იმიგრაცია/მიგრაცია	მუხლი 344 <sup>1</sup> . საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე მიგრანტის უკანონოდ გადაყვანა ან/და მისთვის საქართველოში უკანონოდ ყოფნისათვის შესაბამისი პირობების შექმნა. ამ კატეგორიაში იგულისხმება საზღვრის უკანონო გადმოკვეთაც.
8	ასაკობრივი სტატუსის გამო კვალიფიცირებული დანაშაული	საქართველოს კანონმდებლობით, ასაკობრივ სტატუსზე დაფუძნებული დანაშაულები არ არის განსაზღვრული.
9	სხვა დანაშაულები	
10	დელინქენტური ქცევის რისკის ქვეშ ყოფნა	
11	არაორდინარული სიტუაცია	განმარტებული არ არის. ნებისმიერი დანაშაული, რომელიც არ ხვდება ზემოთ აღნიშნულ დანაშაულების არც ერთ კატეგორიაში, შესაძლოა, განიხილებოდეს, როგორც არაორდინარული სიტუაცია.

გლობალური ინდიკატორებით მოწოდებული დანაშაულის რომელიმე კატეგორია შეიძლება ქვეყანამ არარელევანტურად მიიჩნიოს; თუმცა ასეთ შემთხვევაში მაინც უმჯობესია, არსებობდეს კატეგორია, რომელზეც ჩაიწერება, რომ ასეთი დანაშაული არ ხდება/არ არის აღრიცხული ან რომ არ არსებობს სამართლებრივი ჩარჩო, რომელიც ასეთი დანაშაულის კვალიფიკაციას დაადგენდა. ასეთი განმარტებებიც გარკვეულ სურათს ქმნის და ახასიათებს მართლმსაჯულების სისტემას ქვეყანაში. მაგალითად, თუ *ასაკობრივი სტატუსის გამო კვალიფიცირებული დანაშაულის* ინდიკატორზე განაცხადებენ, რომ ასეთი დანაშაულები საქართველოში არ რეგისტრირდება, ეს პოზიტიურად წარმოაჩენს ქვეყანას, რადგანაც მიიჩნევა, რომ ასაკის გამო რამე საქციელის კრიმინალიზება დისკრიმინაციულია და ასეთი კანონი უნდა გაუქმდეს.

იგივე შეიძლება ითქვას კატეგორიაზე – *‘პოლიტიკური დანაშაული’*. მართალია, ქვეყანაში არ არსებობს ასეთი კატეგორიის დანაშაულის კლასიფიკაცია, მაგრამ ესეც საინტერესო მიგნება იქნება, რომელიც მოითხოვს შემდგომ განმარტებას: არ ხდება ამ დანაშაულის კლასიფიცირება იმიტომ რომ ასეთი დანაშაულები არ არსებობს, თუ არ ხდება მათი სათანადოდ რეგისტრაცია.

რასაკვირველია, ზემოთ მოცემულია რეკომენდაციული ხასიათის რჩევა და საქართველოში ამ დარგში მომუშავე პირებს აქვთ უფლება, არარელევანტურად მიიჩნიონ რეკომენდაცია და უცვლელად დატოვონ დანაშაულის ის კატეგორიები, რომლებიც მოწოდებულია მონაცემების შეგროვებისა და ანალიზის ეროვნულ კონცეფციაში.

### მონაცემების დისაგრეგაცია ეთნიკურობისა და გეოგრაფიული რეგიონების მიხედვით

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მონაცემების დისაგრეგაცია რეკომენდებულია ეთნიკურობის მიხედვით. ადგილობრივ ექსპერტთა შორის არსებობს მოსაზრება, რომ ეთნიკურობის მიხედვით არასრულწლოვანთა დაყოფა შესაძლოა, არაეთიკური/ან დისკრიმინაციული იყოს და ამიტომ უპირატესობა უნდა მიენიჭოს მოქალაქეობის მიხედვით მონაცემთა დისაგრეგაციას. თუმცა უნდა ვაღიაროთ, რომ ამ უკანასკნელი მონაცემის მიხედვით, სტატისტიკის ანალიზი მნიშვნელოვანია, მაგრამ ეთნიკურობის ჭრილში დანაშაულების გაანალიზება არანაკლებ საყურადღებოა. ეთნიკურობა ზოგჯერ შესაძლებელია, სიმულვით მოტივირებული დანაშაულის საფუძველი გახდეს და მართლმსაჯულების სისტემამ ასეთი საგანგაშო ნიშნების იდენტიფიცირება და პრობლემის მასშტაბის გაზომვა უნდა შეძლოს. ეთნიკურობის ნიშნით შესაძლებელია გარკვეული ტენდენციების მოკვლევა, რომელიც პირის ეთნიკურობის ან კულტურალური მახასიათებლებით იქნება განპირობებული და საჭიროებს სპეციფიკურ, მათ საჭიროებებზე

მორგებულ რეაგირებას. ამიტომ, მართლმსაჯულების სისტემაში ეთნიკურობის შესახებ მონაცემები ხელმისაწვდომი უნდა იყოს.

რეგიონების მიხედვით მონაცემების დისაგრეგაცია დამაზუსტებელ განმარტებას არ მოითხოვს და გულისხმობს გეოგრაფიული ადგილმდებარეობის მიხედვით მონაცემების წარმოდგენას: რეგიონის, ქალაქების, სოფლების, ან სულაც, დიდი ქალაქების უბნების მიხედვით, თუმცა ინდიკატორის ანალიზისა და ინტერპრეტირებისას უნდა არსებობდეს ოპერაციული განმარტება, რომ მონაცემების გეოგრაფიული დისაგრეგაციის დროს რეგიონი განისაზღვრება როგორც: ა) დანაშაულის ადგილი, თუ ბ) დანაშაულის ჩადენაში მსჯავრდებული პირის ფიზიკური საცხოვრებელი ადგილი, თუ გ) პირის იურიდიული მისამართის ადგილი.

### საქართველოში არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმის შეფასების ეროვნული ინდიკატორები (NI)

2016 წელს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმის სამუშაო ჯგუფის ფარგლებში შეიქმნა ქვეჯგუფი, რომელიც მუშაობს სისხლისსამართალწარმოების პროცესის მონაწილე არასრულწლოვნებთან დაკავშირებულ მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის სისტემის გაუმჯობესებაზე. სწორედ ამ ჯგუფის მიერ, UNICEF-ის ფინანსური მხარდაჭერით, შემუშავებულია არასრულწლოვან, და ზოგიერთ შემთხვევაში 18-დან 21 წლამდე, პირებზე შესაგროვებელი მონაცემები (ინდიკატორები), განმარტებულია მათი მნიშვნელობა და შეგროვების მეთოდოლოგია; ასევე, განსაზღვრულია მონაცემების შეგროვებაზე პასუხისმგებელი უწყებები.<sup>10</sup>

ეროვნული ინდიკატორები ეხება დანაშაულის შედეგად დაზარალებულ ბავშვებს და ორგანიზებულია **6 სექციის** ირგვლივ:

- I. დანაშაულის შედეგად დაზარალებული ბავშვები;
- II. პრევენცია;
- III. არასრულწლოვნებისა და ახალგაზრდების მიერ ჩადენილი დანაშაული;
- IV. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება;
- V. თავისუფლებაშეზღუდული არასრულწლოვნები და ახალგაზრდები;
- VI. პრობაციონერი ან სხვა ალტერნატიულ (არასაპატიმრო) სასჯელშეფარდებული არასრულწლოვნები.

<sup>10</sup> არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ინდიკატორები და მათი განმარტებები. UNICEF.

ცხრილი 5: სექცია 1: დანაშაულის შედეგად დაზარალებული ბავშვები

#	ინდიკატორის დასახელება
NI.1	მონაცემები ბავშვის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის შესახებ;
NI.2	ბავშვის მიმართ ჩადენილ დანაშაულებთან დაკავშირებით დამატებითი მაჩვენებლები;
NI.3	ბავშვის მიმართ ფიზიკური, სექსუალური და სხვა სახის ძალადობის შემთხვევები, რეგისტრირებული სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ, წლის განმავლობაში;
NI.4	ძალადობის მსხვერპლი ბავშვები, რომლებმაც მიიღეს სამედიცინო, ფსიქოლოგიური, სოციალური, იურიდიული და/ან სხვა ტიპის დახმარება/მომსახურება, სოციალური მომსახურების სააგენტოს მხრიდან, წლის განმავლობაში;
NI.5.1	მონაცემები დანაშაულის შედეგად დაზარალებული ბავშვების შესახებ (რაოდენობა და პროცენტული მაჩვენებელი შედარებული გაერთიანებულ მონაცემებთან), რომლებმაც მიიღეს იურიდიული დახმარება, წლის განმავლობაში;
NI.5.2	ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლი/სავარაუდო მსხვერპლი ბავშვების რაოდენობა და პროცენტული მაჩვენებელი (შედარებული გაერთიანებულ მონაცემებთან), რომლებმაც მიიღეს იურიდიული დახმარება, წლის განმავლობაში;
NI.6	ბავშვის მიმართ სექსუალური ან ძალადობის სხვა ტიპის დანაშაულისთვის მსჯავრდებული პირების/ყოფილი პატიმრების რაოდენობა, რომლებიც მონაწილეობენ დანაშაულის განმეორებით ჩადენის პრევენციულ პროგრამებში;
NI.7	მონაცემები ოჯახში ბავშვის მიმართ ძალადობისას გამოცემული დამცავი და შემაკავებელი ორდერების შესახებ.

ცხრილი 6: სექცია 2. პრევენცია – ინდიკატორები

#	ინდიკატორის დასახელება
NI.8	მიუსაფარი ბავშვების რაოდენობა 1 წლის განმავლობაში;
NI.9	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან არსებული ექსპერტთა ჯგუფის გადაწყვეტილების საფუძველზე ანტი-სოციალური ქცევის და/ან მართლსაწინააღმდეგო ქმედების გამო გადამისამართებული არასრულწლოვნების რაოდენობა;
NI.10.1	პრევენციულ პროგრამებში ჩართული ბავშვების რაოდენობა;
NI.10.2	სსიპ – საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის მიერ ძალადობრივი ქცევის გამო ფსიქოლოგიური დახმარების ცენტრში გადამისამართებული ბავშვების რაოდენობა;
NI.11	სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალურ ასაკს მიუღწეველი ბავშვის მიერ ან მისი მონაწილეობით ჩადენილი სისხლისსამართლებრივი მართლსაწინააღმდეგო ქმედებები.

ცხრილი 7: სექცია 3. დანაშაულის ჩადენა არასრულწლოვნებისა და ახალგაზრდების მიერ

#	ინდიკატორის დასახელება
NI.12	არასრულწლოვნის მიერ დანაშაულის განმეორებით ჩადენა.

ცხრილი 8: სექცია 4. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება

#	ინდიკატორის დასახელება
NI.13	მონაცემები სისხლის სამართლის წესით პოლიციის მიერ დაკავებული არასრულწლოვნებისა და ახალგაზრდების შესახებ;
NI.14	მონაცემები სისხლისსამართლებრივი დევნის შესახებ (მათ შორის, ჩადენილი დანაშაულების თანაფარდობა ქვეყანაში მცხოვრებ ამ ასაკის 100 000 ბავშვთან მიმართებით) დისაგრეგაცია, გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით;
NI.15	მონაცემები ბრალდებული/მსჯავრდებული/გამართლებული/მოწმე არასრულწლოვნებისა და ახალგაზრდების შესახებ, რომლებმაც ისარგებლეს იურიდიული დახმარებით;
16	მონაცემები სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან განრიდებული არასრულწლოვნებისა და ახალგაზრდების შესახებ;
NI.17.1	იმ არასრულწლოვნებისა და ახალგაზრდების რაოდენობა და პროცენტული მაჩვენებელი, რომელთა მიმართ პროკურატურამ ან სასამართლომ შეწყვიტა სისხლისსამართლებრივი დევნა;
NI.17.2	იმ საქმეების რაოდენობა, რომელზეც პროკურატურამ დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში არ დაიწყო დევნა;
NI.18	მონაცემები მსჯავრდებული/გამართლებული არასრულწლოვნებისა და ახალგაზრდების შესახებ;
NI.19	მონაცემები იმ არასრულწლოვნებისა და ახალგაზრდების შესახებ, რომელთაც შეეფარდათ აღკვეთის ღონისძიება;
NI.20	არასრულწლოვნებისა და ახალგაზრდებისთვის სასჯელის განსაზღვრა;
NI.21	არასრულწლოვნების საქმეებზე მომზადებული ინდივიდუალური შეფასების ანგარიშების რაოდენობა;
NI.22	არასრულწლოვანი მოწმეები;
NI.23	მონაცემები იმ არასრულწლოვანი მოწმეების შესახებ, რომლებსაც სტატუსი შეეცვალათ ბრალდებულის სტატუსით.

ცხრილი 9: სექცია 5: თავისუფლებაშეზღუდული არასრულწლოვნები და ახალგაზრდები

#	ინდიკატორის დასახელება
NI.24	არასრულწლოვანთა პენიტენციური დაწესებულებების ოფიციალური ტევადობა, სადაც ბრალდებული/მსჯავრდებული არასრულწლოვნები არიან განთავსებულნი და ასეთ დაწესებულებაში წლის ბოლოს არასრულწლოვნებისა და ახალგაზრდების რეალური რაოდენობა;
NI.25	არასრულწლოვანთა პენიტენციური დაწესებულებების პერსონალის რაოდენობა (წლის ბოლოს მონაცემები);
NI.26	ბრალდებული ან მსჯავრდებული არასრულწლოვნების სრული რაოდენობა ნებისმიერ პენიტენციურ დაწესებულებაში, წლის განმავლობაში;
NI.27.1	წლის განმავლობაში თავისუფლებაშეზღუდული (თავისუფლების აღკვეთა, წინასწარი პატიმრობა, საქართველოდან გაძევების მიზნით უცხოელის დაკავება) უცხოელი არასრულწლოვნების/ახალგაზრდების რაოდენობა;
NI.28	წლის განმავლობაში პატიმრობაში მყოფი არასრულწლოვნების რაოდენობა
NI.29	წლის განმავლობაში განთავსდებული მსჯავრდებული არასრულწლოვნები, რომლებიც იხდიდნენ საპატიმრო სასჯელს;
NI.30	არასრულწლოვანთა პენიტენციურ დაწესებულებებში თითოეულ პატიმარზე (ბრალდებული/მსჯავრდებული) ყოველდღიური ხარჯი;
NI.31	პენიტენციურ დაწესებულებაში არასრულწლოვნებისა და ზრდასრულების განცალკევება;
NI.32	წლის განმავლობაში პენიტენციურ დაწესებულებებში განთავსებული იმ არასრულწლოვანი და ახალგაზრდა ბრალდებულებისა და მსჯავრდებულების რაოდენობა და პროცენტული მაჩვენებელი, რომლებიც ჩართულნი არიან სარეაბილიტაციო, საგანმანათლებლო თუ სხვა სახის (სუიციდის პრევენციის) პროგრამებში;
NI.33	იმ არასრულწლოვანი/ახალგაზრდა ბრალდებულებისა და მსჯავრდებულების რაოდენობა და პროცენტული მაჩვენებელი, რომლებმაც გამოიყენეს პაემნის უფლება ბოლო სამი თვის განმავლობაში;
NI.34	1 წლის განმავლობაში პოლიციაში ან პენიტენციურ დაწესებულებაში გარდაცვლილი არასრულწლოვნების (ბრალდებულის/მსჯავრდებულის) რაოდენობა;
NI.35	თვითდაზიანება;
NI.36	შიმშილობა;
NI.37	დაწესებულების პერსონალის მხრიდან არასრულწლოვანი პატიმრების მიმართ უფლებების დარღვევის შემთხვევების რაოდენობა წლის განმავლობაში;
NI.38	იმ შემთხვევების რაოდენობა, როდესაც არასრულწლოვანმა პატიმარმა (ბრალდებულმა/მსჯავრდებულმა) ისარგებლა საჩივრის უფლებით.

ცხრილი 10: სექცია 6: პრობაციონერი და სხვა ალტერნატიულ ღონისძიებაში მონაწილე არასრულწლოვნები

N	ინდიკატორის დასახელება
NI.39	პრობაციის ეროვნული სააგენტოს ზედამხედველობის ქვეშ მყოფი არასრულწლოვნები;
NI.40	არასრულწლოვნების რაოდენობა, რომლებიც იხდიან არასაპატიმრო სასჯელს ან პირობით მსჯავრს, რომელიც შეწყდა ან შეჩერდა 1 წლის განმავლობაში;
NI.41	წლის განმავლობაში პრობაციის ეროვნული სააგენტოს ზედამხედველობის ქვეშ მყოფი იმ არასრულწლოვანი მსჯავრდებულების რაოდენობა და პროცენტული მაჩვენებელი, რომლებიც ჩართულნი არიან სარეაბილიტაციო და საგანმანათლებლო პროგრამებში;
NI.42	პრობაციის ეროვნული სააგენტოს პერსონალის რაოდენობა.

თითოეული NI-ისათვის უკვე გაწერილია კალკულაციის მეთოდები და დისაგრეგაციის კატეგორიები. სწორედ ამიტომ, ინდიკატორებზე მუშაობისას რეფერენსსახელმძღვანელოდ გამოიყენება დოკუმენტი – *არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ინდიკატორები და მათი განმარტებები*. (2018 წ. UNICEF).

ზემოხსენებული სამუშაო ჯგუფის მიერ ინდიკატორებზე მუშაობის პროცესში უზრუნველყოფილი იყო დაინტერესებული მხარეების მაღალი ჩართულობა და უკვე მიღწეულია კონსენსუსი ეროვნულ დონეზე. ამრიგად, ეროვნულ ინდიკატორებს გავლილი აქვთ შესაბამისი ვალიდაციის პროცესი და ამ ინდიკატორების შეფასება/გაანგარიშება ძალიან მნიშვნელოვანია.

### შესატყვისობა და/ან მსგავსება გლობალურ და ეროვნულ ინდიკატორებს შორის

უნდა აღინიშნოს, რომ გარკვეული ეროვნული ინდიკატორები ფარავს გლობალურ ინდიკატორებს. თუმცა ზოგჯერ GI-ის სტანდარტული დეფინიციები ზუსტად დაცული არაა, ეროვნული ინდიკატორი ზომავს სწორედ იმ საკვლევ საკითხს, რასაც გლობალური ინდიკატორი გვთავაზობს.

მაგალითად, გლობალური ინდიკატორისთვის **GI.7**-მონაცემები გროვდება და ანალიზდება ეროვნული ინდიკატორის **NI.31**-ის ფარგლებში. ასევე, **GI.8**-ით საკვლევი მონაცემების ანალიზი გათვალისწინებულია ეროვნული ინდიკატორის **NI.33**-ის ფარგლებში. ასევე არის თანხვედრა GI.2-სა და NI.14-ს შორის.

სასურველია, როდესაც ეროვნული ინდიკატორი იდენტურია გლობალური ინდიკატორისა, შესაბამისი მინიშნება მაინც იყოს მითითებული დოკუმენტში (მაგ. **NI.31 (GI.7)**). ეს დაეხმარება სპეციალისტებს იმ შემთხვევაში, თუ ქვეყანა გადაწყვეტს, შეუერთდეს სხვა ქვეყნებს და მიაწოდოს გლობალური ინდიკატორების ანგარიში UNODC/UNICEF.

ეროვნული ინდიკატორების ფარგლებში გროვდება თითქმის ყველა საჭირო მონაცემი იმისათვის, რომ გაანგარიშებული იყოს გლობალური (რაოდენობრივი) ინდიკატორების დიდი ნაწილი. მათ შორის ხშირად არის მინიმალური სხვაობა ინდიკატორის განმარტებასა და შესაბამისად, მათი კალკულაციის მეთოდებს შორის.

მაგალითად, ეროვნული ინდიკატორები გეთავაზობს წლის განმავლობაში პოლიციაში ან პენიტენციურ დაწესებულებაში გარდაცვლილი არასრულწლოვნების რაოდენობის (აბსოლუტური რიცხვი) შესახებ მონაცემის შეგროვებას (იხ. NI.34). ამ ინდიკატორისთვის მოძიებული მონაცემის შეფარდებისას იმავე წლის განმავლობაში სისტემაში შესულ არასრულწლოვანთა (ბრალდებულ/მსჯავრდებულ) მთლიან რაოდენობაზე – მარტივად იქნება გაანგარიშებული გლობალური ინდიკატორი GI.6.

მსგავსება არსებობს სხვა ინდიკატორებს შორისაც: მაგ., GI.3 – *არასრულწლოვნები წინასწარი დაკავების დაწესებულებაში* გამოსათვლელად საჭირო მრიცხველის მონაცემები გროვდება ეროვნული ინდიკატორის NI.26-ის ფარგლებში, რომელიც ითვლის ნებისმიერ პენიტენციურ დაწესებულებაში განთავსებული ბრალდებული ან მსჯავრდებული არასრულწლოვნების სრულ რაოდენობას. NI.26 – მოითხოვს ამ მონაცემების დისაგრეგაციას დაწესებულებების ტიპების მიხედვით, მათ შორის – წინასწარი დაკავების დაწესებულებებში. თუ ამ უკანასკნელ მონაცემს შევაფარდებთ იმავე ასაკობრივ ჯგუფში მოსახლეობის სრულ რაოდენობასთან (geostat-ის მონაცემი), X100 000 – გამოითვლება GI.3 იმ სტანდარტული დეფინიციით, რომელსაც UNODC/UNICEF გეთავაზობს.

ამ მაგალითების წარმოჩენით, ხაზს ვუსვამთ, რომ იქ, სადაც ეროვნულ ინდიკატორებს აქვს პოტენციალი, მარტივად შექმნას გლობალური ინდიკატორები, *დამატებითი რესურსების საჭიროების გარეშე*, ქვეყნის სტატისტიკურ ანგარიშებში სასურველია გლობალური ინდიკატორების მაჩვენებლების წარმოდგენაც.

გარდა გლობალური და ეროვნული ინდიკატორებისა, სახელმძღვანელო (ქვემოთ სექციებში) დაინტერესებულ მხარეებს სთავაზობს დამატებით ინდიკატორებსა და მეთოდოლოგიურ რეკომენდაციებს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმის შესაფასებლად.

**დამატებითი ეროვნული ინდიკატორები (AI)**

უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ ჩამოთვლილი გლობალური და ეროვნული ინდიკატორები უკვე საკმაოდ მნიშვნელოვანი ტიპის ინფორმაციის შეგროვებას უზრუნველყოფს, თუმცა გარკვეული მიმართულებების/კონკრეტული პროგრამებისთვის შესაძლებელია, საინტერესო იყოს სხვა ტიპის მონაცემების შეგროვება და ანალიზი. სწორედ ამ მიზნით წინამდებარე

სახელმძღვანელოს მომდევნო სექციები მკითხველს სთავაზობს დამატებით რაოდენობრივ ინდიკატორებს პრევენციისა და სოციალიზაცია-რეაბილიტაციის მიმართულებების შესაფასებლად და რეკომენდაციას უწევს სთეიქჰოლდერებს დამატებითი თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევების საწარმოებლად.

**ზოგადი რეკომენდაციები შეფასების ინდიკატორების შესამუშავებლად**

რეფორმის მონიტორინგი და შეფასება, ძირითადად, უნდა აკმაყოფილებდეს 5 ძირითად კრიტერიუმს:<sup>8</sup>

<b>რელევანტურობა</b>	რამდენად სწორად არის დაგეგმილი სტრატეგია ან კონკრეტული პროგრამა და რამდენად არსებობს იმის მტკიცებულება, რომ ამ ინტერვენციას აქვს პოტენციალი, მიღწეული იქნეს გეგმის/პროგრამის მიერ დასახული მიზნები/ამოცანები. რელევანტურობა აფასებს, რამდენად სწორად არის შერჩეული ინტერვენცია; რამდენად პასუხობს იგი არსებულ საჭიროებებს და პრიორიტეტებს; რამდენად ეფუძნება ინტერვენცია არსებულ მტკიცებულებებსა და დადგენილ სტანდარტებს.
<b>ეფექტურობა</b>	რამდენად სწორად და ოპტიმალურად არის გამოყენებული რესურსები (ფინანსები, ტექნიკური ექსპერტიზა, დრო, და სხვ.) სასურველი შედეგის/გამოსავლის/ზეგავლენის მისაღწევად.
<b>ეფექტიანობა</b>	რამდენად აღწევს რეფორმა/პროგრამა დეკლარირებულ მიზანს და ამოცანების შესრულებას.
<b>ზეგავლენა</b>	წარმოადგენს რეფორმის სხვადასხვა ასპექტის ფუნქციურ ჯამს, სადაც ერთმანეთს ერწყმის ინტერვენციების პირველადი და მეორადი შედეგები (პოზიტიური თუ ნეგატიური, მოსალოდნელი თუ გაუთვალისწინებელი, პირდაპირი თუ ირიბი) და აყალიბებს გარკვეული ხარისხისა და მასშტაბის ზეგავლენას გრძელვადიან პერსპექტივაში.
<b>მდგრადობა</b>	რამდენად ხდება მიღებული ინდივიდუალური და საზოგადოებრივი სარგებლის შენარჩუნება პროგრამების დასრულების შემდეგ, გრძელვადიან პერსპექტივაში.



პროგრამების/სტრატეგიის შესაფასებლად უნდა შემუშავდეს SMART ინდიკატორები, რომლებიც აკმაყოფილებს 5 უმთავრეს კრიტერიუმს:

- S – სპეციფიკური (Specific)
- M – გაზომვადი (Measurable)
- A – მიღწევადი (Achievable)
- R – რეალისტური (Realistic)
- T – დროში გაწერილი (Time-bound)

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმის მ&შ უნდა მიმდინარეობდეს სამ ლოგიკურ ეტაპად: <sup>11</sup>

- **გაიზომოს ცვლილებები** წარსულ და ამჟამად არსებულ მდგომარეობასთან მიმართებაში (მონაცემთა ცვლილებების ტენდენციები);
- **განისაზღვროს მიკუთვნებულობა** (attributability) – რამდენად შესაძლებელია, მივაკუთვნოთ ეს ცვლილებები გატარებულ რეფორმას ან კონკრეტულ პროგრამას (რამდენად არის მიღწეული ცვლილება სწორედ იმ კონკრეტული პროგრამის/ინტერვენციის შედეგი, რომელსაც ვაფასებთ?)
- **ღირებულება** – გაანალიზდეს, რა ღირებულება აქვს მიღებულ ცვლილებებს სხვადასხვა სტანდარტთან, სამიზნეებთან და დადგენილ ნიშნულებთან მიმართებაში.

**ფინანსური ინდიკატორები:**

რეფორმის შეფასება არის კრიტიკული ეტაპი სასურველი გამოსავლის/შედეგის მისაღებად, რადგან სწორედ რეგულარული და სტანდარტული ანგარიშგება და კვლევების მიგნებები უნდა უზრუნველყოფდეს ინფორმაციით პოლიტიკის შემუშავებისას. სწორედ ამიტომ, პროგრამული შეფასების ინდიკატორების გარდა, უნდა არსებობდეს ფინანსური ინდიკატორები, რომლებიც ასევე დაგვეხმარება, განისაზღვროს, არის თუ არა გონივრულად დაგეგმილი რესურსები სტრატეგიული გეგმით გათვალისწინებული აქტივობებისთვის. ქვემოთ მოცემულია ძირითადი ფინანსური ინდიკატორები:

<sup>11</sup> Criteria for the Design and Evaluation of Juvenile Justice Reform Programmes UNODC, Interagency Panel of Juvenile Justice. UN. NY, 2011

ცხრილი 11: ფინანსური ინდიკატორები

ინდიკატორის დასახელება	რას ვიკვლევთ
სტრატეგიული განფასება გეგმის	კრიტიკული მნიშვნელობისაა, შეფასდეს, არსებობს თუ არა სტრატეგიული გეგმის განფასება (ბიუჯეტი)? თუ ასეთი არსებობს, არის თუ არა ბიუჯეტი დამტკიცებული სამთავრობო დადგენილებით/ან ასახულია ქვეყნის მთავარ ფინანსურ დოკუმენტში (ხარჯის საშუალოვადიანი დაგეგმვა – MTEF). მთავრობის მიერ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმა დეკლარირებულია, როგორც პრიორიტეტი. ეს ინდიკატორი კი აფასებს, რამდენად შესატყვისია სახელმწიფოს დეკლარირებული პოლიტიკური მხარდაჭერა vs რეალურად გამოყოფილი მხარდაჭერა.
რეფორმისათვის გამოყოფილი ბიუჯეტური დაფინანსების ზრდის ტენდენცია	რეფორმის სტრატეგიის დოკუმენტში ჩამოთვლილია ბევრი აქტივობა, რომელიც იწყება მცირე მასშტაბით, მათი შემდგომი გაფართოების პერსპექტივით; ასეთი გაფართოება კი გაზრდილ ფინანსურ რესურსებს მოითხოვს. ამიტომ სასურველია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის დაფინანსების ანალიზი. წლების განმავლობაში დაფინანსების სტაბილურობა ან მისი ზრდის ტენდენცია იქნება ერთ-ერთი წინაპირობა, რომ უზრუნველყოფილი იქნება რესურსები რეფორმის წარმატებით განხორციელებისათვის. ამ ინდიკატორისთვის შესაძლებელია, აიღოთ წარსული 3-წლიანი პერიოდი (უმჯობესია რეალური დანახარჯის ანალიზი, ვიდრე დაბიუჯეტებული თანხის) და მომავალი 3-წლიანი პერიოდისათვის დაგეგმილი ბიუჯეტი (მაგ., MTEF).
რეფორმის/პროგრამების მ&შ-ისათვის გამოყოფილი ბიუჯეტიდან დაფინანსება	რეფორმის/პროგრამების მ&შ-ისათვის გამოყოფილი ბიუჯეტის წილი/რეფორმის მთლიან ბიუჯეტთან მიმართებაში. ინდიკატორი გვიჩვენებს სახელმწიფოს დამოკიდებულებას პროგრამების მ&შ-ის აუცილებლობის მიმართ/პოლიტიკური და ფინანსური მხარდაჭერა (commitment)
პრევენციული პროგრამების დაფინანსების მდგრადობა	სახელმწიფოს დანახარჯის პროცენტული წილი პრევენციული პროგრამების მთლიანი (სახელმწიფო + დონორული) დანახარჯიდან. ტრადიციულად, რეფორმის

	<p>ლონისძიებების გარკვეული ნაწილი დონორულ დაფინანსებაზეა დამოკიდებული, რაც საფრთხეს უქმნის ასეთი სერვისების/პროგრამების მდგრადობას გრძელვადიან პერსპექტივაში. ეს ინდიკატორი აჩვენებს, რამდენად დიდია დონორული ფინანსების წილი პრევენციული პროგრამების დაფინანსებაში. თუ ეს წილი გადამწყვეტი მოცულობისაა, მაშინ გათვალისწინებული უნდა იყოს ეტაპობრივად სახელმწიფო დაფინანსებაზე გადასვლის /ტრანზიციის გეგმაზე მუშაობა.</p>
<p><b>კვლევითი კომპონენტების დაფინანსების მდგრადობა</b></p>	<p>სახელმწიფოს დანახარჯის პროცენტული წილი რეფორმის/მართლმსაჯულების სისტემის კვლევით კომპონენტებზე მთლიანი (სახელმწიფო + დონორული) დანახარჯიდან. ეს ინდიკატორი აჩვენებს, რამდენად არის აღიარებული პოლიტიკის შემქმნელთა/ოფიციალურ პირთა მიერ რეგულარული და სისტემური შეფასების/კვლევების მნიშვნელობა; აჩვენებს, რამდენად არსებობს პოლიტიკური ნება და გადაწყვეტილება, რომ რეფორმის ინფორმირება და პოლიტიკის განსაზღვრა ეფუძნებოდეს კვლევებით მოპოვებულ მტკიცებულებებს.</p>

დაფინანსების რაოდენობრივი ინდიკატორების გარდა, რეკომენდებულია აღწერილობითი, პოლიტიკის ანალიზის კვლევა.

**პოლიტიკის ანალიზის კვლევა**

კვლევის ერთ-ერთი თემა შესაძლოა, იყოს რომელიმე კონკრეტული პროგრამის (მაგ., განრიდების პროგრამის) მიმართ სთეიქჰოლდერთა დამოკიდებულების შესწავლა. თვისებრივი კვლევა უნდა წარმოებდეს სხვადასხვა მიზნობრივ ჯგუფში ინდივიდუალური, ჩაღრმავებული ინტერვიუების და/ან ფოკუსურ ჯგუფებში დისკუსიის გზით. გამოკითხვისათვის უნდა შეიქმნას ინსტრუმენტი (ე.წ. გაიდი), კითხვარით, რომელიც, ერთი მხრივ, აღწერს პროგრამებში არსებულ მიღწევებს/საუკეთესო პრაქტიკას, ხოლო მეორე მხრივ – ახდენს იმის იდენტიფიცირებას, თუ რა პრობლემებს/საფრთხეს ხედავენ რესპონდენტები (ცალ-ცალკე, სამთავრობო და არასამთავრობო სექტორიდან) პროგრამების დაგეგმვის, დაფინანსების, განხორციელების, შეფასებისა და ანგარიშგების თვალსაზრისით. ასეთი პერიოდული კვლევა პროგრამების რაფინირების საშუალებას იძლევა. გარდა ამისა, შესაძლებელია, დროულად შეიტყოთ, თუ არსებობს პროგრამის მიმართ

უნდობლობა/სკეპტიციზმი რომელიმე ტიპის სთეიქჰოლდერთა მხრიდან, ჩაღრმავებული ინტერვიუს გზით დაადგინოთ გამომწვევი მიზეზები და დროულად მოახდინოთ მათზე რეაგირება.

პოლიტიკის ანალიზის კვლევა შესაძლოა, ეხებოდეს გენდერული პროგრამების არსებობას, მათ მიზანშეწონილობას/სრულფასოვნებას და ეფექტიანობას მართლმსაჯულების სისტემაში. აღიარებულია, რომ მართლმსაჯულების სისტემაში მოხვედრილ გოგონებს/ქალებს აქვთ განსაკუთრებული საჭიროება და გენდერმგრძობიარე მიდგომის დანერგვა აუცილებელია. ამ მიმართულებით კვლევისათვის იგივე მეთოდოლოგია უნდა იქნეს გამოყენებული, თუმცა რომელიმე მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებებზე მორგებული პოლიტიკის ანალიზისას ასევე რეკომენდებულია თავად ამ მოწყვლადი ჯგუფის მოწვევა კვლევაში შესაბამისი ბიოეთიკის კომისიის დასკვნის შემდეგ.

პოლიტიკის ანალიზის კვლევა ასევე შეიძლება, ჩატარდეს სახელმწიფოს დამოკიდებულების შესაფასებლად მიუსაფარ/ქუჩაში მომუშავე ბავშვთა პრობლემებთან დაკავშირებით. ამ კვლევისათვის მეთოდური რეკომენდაციები აღწერილია ქვემოთ, დოკუმენტის თავში: „რეკომენდებული კვლევები“.

**რეციდივიზმის ინდიკატორები**

რეციდივიზმის განმარტება განსხვავებულია ქვეყნების მიხედვით. რეციდივიზმის ინდიკატორებს რეგულარულად მხოლოდ რამდენიმე განვითარებული ქვეყანა აქვეყნებს. ინდიკატორზე მუშაობისას გადაწყვეტილი უნდა იყოს, თუ რა მიიჩნევა განმეორებით დანაშაულად, ან რეციდივად. ზოგიერთ ქვეყანაში ეს არის დანაშაულის ჩადენაში ბრალის წაყენება, სხვა ქვეყნებში – დანაშაულის ჩადენაში მსჯავრის დადება.<sup>12</sup>

საუკეთესო გამოსავალია ყველა იმ შემთხვევის აღრიცხვა, სადაც არსებობს სასამართლო განხილვამდე თუ მის შემდგომ მიღებული გადაწყვეტილების ნებისმიერი სახე, რომლითაც დასტურდება კონკრეტული პირის მონაწილეობა დანაშაულში. აღნიშნული მოიცავს როგორც განრიდებას, დაზარალებულსა და დამნაშავეს შორის მედიაციის საფუძველზე საქმის დახურვას, ასევე დამნაშავის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანას, განურჩევლად სასჯელის ზომის/სახეობისა. ქვეყნების უმეტესობაში, სადაც აქვეყნებენ მონაცემებს განმეორებით ჩადენილი დანაშაულის შესახებ, ამ „შემდგომ“ პერიოდში გულისხმობენ 2 წელს.

<sup>12</sup> მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის კონცეფცია. სამუშაო დოკუმენტი 2017-2018 (UNICEF)

რეციდივიზმი არის ერთ-ერთი უმთავრესი ზეგავლენის ინდიკატორი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმის შესაფასებლად, თუმცა მისი ზუსტი გაზომვა რთულია, რადგან მონაცემები არასრულია და დაუზუსტებელი, და ყველა გადაცდომა არ ფიქსირდება მართლმსაჯულების სისტემაში. სწორედ ამიტომ გარდა გლობალური, რაოდენობრივი ინდიკატორისა, რომელიც აუცილებელი შემადგენელი უნდა იყოს მმშ-ის სისტემის ანგარიშისთვის, ასევე მოწოდებულია დამატებითი მეთოდების გამოყენება რეციდივიზმის გაზომვისათვის.<sup>13</sup> ქვემოთ ჩამოთვლილია მეთოდოლოგიების ერთობლიობა (ე.წ. მიქსი), რომელიც რეკომენდებულია რეციდივიზმის მასშტაბების შესაფასებლად.

- კანონთან კონფლიქტში მყოფი ადამიანების ანონიმური და კონფიდენციალური გამოკითხვა, რათა მივიღოთ მათგან ინფორმაცია, ჩაიდინეს თუ არა განმეორებით რამე დანაშაული მას შემდეგ, რაც ჩაერთნენ განრიდების ან სხვა პროგრამებში, ან დატოვეს თავისუფლების აღკვეთის ადგილები. ამ გამოკითხვას იყენებთ, როგორც დამხმარე საშუალებას, იმ დანაშაულების აღსარიცხავად, რომელიც ოფიციალურ სისტემაში ვერ მოხვდა. ასეთი გამოკითხვა აუცილებლად მოითხოვს ბიოეთიკის კომისიის დასკვნას/ნებართვას.
- რეციდივიზმის ინდიკატორისთვის აუცილებელი წყაროა, ასევე, მართლმსაჯულების სისტემის ოფიციალური მონაცემები დაკავების, დაპატიმრების ან სხვა სანქციების შესახებ იმ პირებზე, რომელთაც ჰქონდათ კანონთან კონფლიქტი. ახალი გადაცდომის ფაქტი უნდა აღირიცხოს ციხიდან გათავისუფლების ან პროგრამაში ჩართვიდან 6 თვის, 12 თვის, 2 წლის და 3 კალენდარული წლის განმავლობაში.
- ასეთი კვლევის დროს სასურველია, გაანგარიშდეს დროის ინტერვალი განმეორებითი დანაშაულის ჩადენამდე (ე.წ. რელაფსის პერიოდი). თუ განმეორებითი დანაშაულების ჩამდენ არასრულწლოვანთა რაოდენობა იძლევა დისაგრეგაციის საშუალებას, უნდა გაანალიზდეს ადრე ჩადენილი და განმეორებითი დანაშაული, ტიპების მიხედვით, თუმცა მოსალოდნელია, რომ ასეთი ანალიზი სარწმუნო შედეგს ვერ უზრუნველყოფს, თუ დისაგრეგაციის მცირე კოჰორტებში დანაშაულის რაოდენობა მცირე აღმოჩნდება.

### ზოგადი რეკომენდაციები პრევენციული ინტერვენციების დაგეგმვისთვის

ზემოთ აღწერილია ის გამოწვევები, რომლებიც დაკავშირებულია პრევენციული პროგრამების შეფასებასთან. შეფასებისათვის ინტენსიური და მეცნიერულად დასაბუთებული კვლევა (მაგ., ექსპერიმენტული ან კვაზიექსპერიმენტული რანდომული კვლევები) მოითხოვს მნიშვნელოვან რესურსებს როგორც დროის, ასევე ადამიანური და ფინანსური თვალსაზრისით. ასეთი კვლევის შესაძლებლობა საქართველოში შეზღუდულია

<sup>13</sup> Measuring recidivism <https://www.nij.gov>

და სწორედ ამიტომ, სტრატეგია უნდა ითვალისწინებდეს იმ აქტივობებს/მიდგომებს, რომელთა ეფექტიანობის შესახებ უკვე არსებობს კვლევებზე დაფუძნებული მტკიცებულებები.

დაგეგმვისას რეკომენდებულია გაითვალისწინონ სანდო წყაროების რეკომენდაციები, რომლებიც განსაზღვრავს, რა ტიპის ინტერვენციებია დადასტურებული, როგორც ეფექტიანი ან იმედის მომცემი და რა ტიპის ინტერვენციები **არ** ადასტურებს სასურველი ეფექტის მიღების პოტენციალს.

ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ საქართველოში არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმის მმშ-ებისათვის არსებული ისედაც შეზღუდული რესურსი მიმართული იყოს ეფექტიანი მიდგომის ადაპტირებაზე ქართულ კონტექსტთან და ნაკლებად უნდა ისმებოდეს კითხვა მიდგომის ეფექტიანობის შესახებ. მაგ., აღიარებულია, რომ განრიდების პროგრამები სტატისტიკურად მნიშვნელოვან დადებით ეფექტს აჩვენებს, დანაშაულის პრევენციის თვალსაზრისით. ამიტომ საქართველოში პროგრამის შეფასებისას მთავარი აქცენტი უნდა დაისვას, როგორ ხდება ამ პროგრამის განხორციელება და ეფექტის არარსებობის შემთხვევაშიც კი, საეჭვოდ არ უნდა იქცეს განრიდების პროგრამების საჭიროება. თუ საქართველოში არსებული პროგრამა სასურველ შედეგს არ აჩვენებს, ეს უნდა მიანიშნებდეს პროგრამის რაფინირების საჭიროებაზე: ან შინაარსის, ან სერვისის მიწოდების, სერვისის მიმწოდებლების, ან გარემოს ცვლილებების თვალსაზრისით.

მაგ., აშშ-ის სამართლის ეროვნული ინსტიტუტის ვებგვერდი წარმოადგენს მტკიცებულებებზე დაფუძნებული ინტერვენციების/მიდგომების ჩამონათვალს,<sup>14</sup> რომელსაც საფუძვლად უდევს ძვირადღირებული სერიული კვლევების მიგნებები და ათეულობით კვლევის მეტაანალიზის შედეგები.

ასეთ (მყარი მტკიცებულებების მქონე) პროგრამებს მიეკუთვნება (სია ამომწურავი არაა):

- განრიდების პროგრამა;
- ოჯახებზე-ორიენტირებული პრევენციული ინტერვენციები;
- ე.წ. დიდი ძმებისა და დიდი დების პროგრამები – თემზე დაფუძნებული მენტორობის პროგრამები 6-დან 18 წლამდე ბავშვებისათვის;
- აგრესიის ჩანაცვლების პროგრამები;
- სკოლებში „ბულინგის“ პრევენციის პროგრამები;
- ალკოჰოლის ან/და ფსიქოტროპული სუბსტანციების მოხმარების პრევენციაზე მიმართული ხანმოკლე ინტერვენციები (ე.წ. brief interventions);
- კოგნიტურ-ქცევითი თერაპია რისკის ქვეშ მყოფი არასრულწლოვნებისათვის;

<sup>14</sup> აშშ. სამართლის ეროვნული ინსტიტუტი – არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენცია <https://www.crimesolutions.gov/TopicDetails.aspx?ID=62>

- კარიერის აკადემია: აკადემიური და პროფესიული კარიერის განვითარებაზე მიმართული ინტერვენციები
- და სხვ.

სწორედ ასეთი პროგრამებისა და მიდგომების განხორციელებაზე უნდა იყოს ორიენტირებული ქვეყნის სტრატეგიული გეგმა.

საქართველოში შემუშავებულია დანაშაულის პრევენციის ეროვნული სტრატეგია. მასში მოწოდებულია მრავალი აქტივობა, რომელიც ეხება სამოქალაქო განათლების გაუმჯობესებას, რაც უდავოდ მნიშვნელოვანია ბავშვის ადრეული განვითარებისა და მოზარდებში სამოქალაქო ღირებულებების განვითარებისათვის. თუმცა, არ არსებობს მტკიცებულება, რომ 3-5 წლის ასაკის ბავშვების სასწავლო ვიზიტს 112-ის სამსახურში ან საბავშვო ბაღებში საგზაო უსაფრთხოების განათლებას (რაც უდავოდ მნიშვნელოვანია) პირდაპირი გავლენა აქვს არასრულწლოვნებში დანაშაულის პრევენციაზე. ამიტომ ასეთი საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებისას შესაძლებელი ხდება მხოლოდ ე.წ. პროცესის (process) ინდიკატორების მორგება, რადგან ნაკლებად შესაძლებელია ამ ინტერვენციებისგან მიღებული სარგებლის ასოცირება ისეთი ზეგავლენის/ან პირდაპირი გამოსავლების ინდიკატორებთან, როგორცაა არასრულწლოვანთა დანაშაულის ან რეციდივიზმის შემცირება და ა.შ.

**ზოგადი რეკომენდაციები პრევენციული ინტერვენციების შეფასების ინდიკატორების შესამუშავებლად**

პროგრამების განხორციელების შესაფასებლად პროგრესის/პროცესის ინდიკატორების შემუშავება მარტივია (სწორხაზოვანი – straightforward) და განსაკუთრებულ მეთოდოლოგიას არ მოითხოვს. აქედან გამომდინარე, ასეთი ტიპის ინდივიდუალურ ინდიკატორებზე წინამდებარე სახელმძღვანელო არ შეჩერდება, არამედ, შემოგთავაზებთ ზოგად მიდგომებს, რომლებიც შესაძლოა, გამოყენებულ იქნეს პრევენციის მიმართულებით გათვალისწინებული აქტივობების უდიდესი ნაწილისთვის.

უნდა აღინიშნოს, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმის 2018 – 2022 წლების სამოქმედო გეგმის პრევენციის მიმართულებაში 200-ზე მეტი აქტივობაა ჩამოთვლილი და, სახელმძღვანელოს ფორმატიდან გამომდინარე, პრაქტიკულად შეუძლებელია თითოეული აქტივობისთვის ინდიკატორების შემოთავაზება. უფრო მეტიც, ასეთი დეტალური ინდიკატორები ცალკეულ პროგრამულ დონეზე საინტერესო და ნაკლები ღირებულება აქვს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმისა და სტრატეგიის შეფასებისათვის.

**არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმის სამოქმედო გეგმაში მოწოდებული ინდიკატორების მიმოხილვა**

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმის 2018 - 2022 წლების სამოქმედო გეგმაში თითოეული მიმართულებისათვის გაწერილია აქტივობები და თითოეულის გასწვრივ მოცემულია ინდიკატორი და მათი სამიზნეები წლების მიხედვით. ასევე, მითითებულია ინდიკატორებზე პასუხისმგებელი უწყება. ამ ფორმატში მნიშვნელოვანია, რომ აქტივობა იყოს რელევანტური და სპეციფიკური – ემსახურებოდეს სტრატეგიის მიზანს და კონკრეტულ ამოცანას, რომელიც გეგმაშია გაწერილი. ინდიკატორები კი უნდა აკმაყოფილებდეს SMART ინდიკატორის ხუთივე პირობას.

სამოქმედო გეგმაში გვხვდება აქტივობები, რომლებიც სპეციფიკურად არის ჩამოყალიბებული, ინდიკატორების ფორმულირება მკაფიოდ არის განსაზღვრული და გვიჩვენებს, როგორ უნდა გაიზომოს მონაცემები. ქვემოთ მოცემულია რამდენიმე მაგალითი, რომელიც კარგად ფორმულირებული აქტივობისა და მისთვის შესაბამისი გამოსავლის ინდიკატორის ნიმუშად გამოდგება:

ცხრილი 12: აქტივობისა და SMART ინდიკატორის ნიმუში

მიმართულება: რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია		
<b>აქტივობა:</b> 1.4.1. <b>სარეაბილიტაციო პროგრამების შემუშავება/დანერგვა.</b>	მინიმუმ, ერთი	ერთგვაროვანი პროგრამა
	ადაპტირებულია/დანერგილია	სამივე უწყებაში.
მიმართულება: დანაშაულის პრევენცია		
<b>აქტივობა</b> 3.1.2 <b>პირველადი საჭიროებების</b>	შემუშავებული	საკანონმდებლო საფუძველი
<b>გამოვლენა/მიწოდება/სარეაბილიტაციო პროგრამებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა – მგზავრობის ანაზღაურება.</b>	თბილისში მცხოვრებ,	მომსახურების
	საჭიროების მქონე პირთა	100 პროცენტი
	დაკმაყოფილებულია.	

ზემოთ მოცემულ მაგალითებში ინდიკატორები ისეა ფორმულირებული, რომ დადგენილია ობიექტური საზომები (მაგ., მინიმუმ, ერთი პროგრამა), ამასთან, ინდიკატორი ზომავს არა მხოლოდ აბსოლუტურ რიცხვებში მოცემულ შედეგს, არამედ მიუთითებს მოცვის მასშტაბზე (მაგ., პროგრამა დანერგილია სამივე უწყებაში; ან სპეციფიკური საჭიროების 100%-იანი მოცვა სერვისით).

რასაკვირველია, სამოქმედო გეგმაში არსებობს სწორად შექმნილი ინდიკატორების სხვა მაგალითებიც, მაგრამ წინამდებარე სახელმძღვანელოს ფორმატიდან გამომდინარე, არაპრაქტიკული იქნებოდა ბევრი ნიმუშის მიმოხილვა. ამავდროულად, მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოსთვის ხშირად უფრო პრაქტიკულია იმის ჩვენება, თუ რა ტიპის ხარვეზები უნდა იქნას თავიდან აცილებული ინდიკატორების შემუშავების დროს.

ქვემოთ სექციაში გთავაზობთ მსჯელობას რამდენიმე კონკრეტული აქტივობის მაგალითზე, რომელიც გამოდგება სახელმძღვანელო პრინციპად ინდიკატორების შემუშავებისას.

ცხრილი 13: პრევენციის მიმართულების ინდიკატორის შეფასება: მაგალითი 1

აქტივობა/ლონისძიება – სასწავლო ვიზიტი სსიპ „112-ში“				
ასაკობრივი ჯგუფი: 6-13 წლის ბავშვები				
ლონისძიება	ლონისძიების მიზანი	სამიზნე ჯგუფი	2018 წლის ინდიკატორის სამიზნე	2019 წლის ინდიკატორის სამიზნე
სასწავლო ვიზიტი სსიპ „112-ში“	ბავშვისთვის უსაფრთხოებისა და საგანგებო სიტუაციებში ქცევის წესებისა და შესაბამისი მინიმალური სტანდარტების შესახებ ინფორმაციის მიწოდება.	ბავშვი	მონაწილეთა რაოდენობა – 100/ჩატარებული ღონისძიებების რაოდენობა – 5/მიღებული უკუკავშირი	მონაწილეთა რაოდენობა – 300/ჩატარებული ღონისძიებების რაოდენობა – 20/მიღებული უკუკავშირი

ინდიკატორის შეფასება: ამ აქტივობის პირდაპირი შედეგი იზომება მონაწილეთა რაოდენობით. ინდიკატორი არის რაოდენობრივი და **ითვლის** მონაწილე მოსწავლეთა /რაოდენობას. ინდიკატორი ინფორმაციულია როგორც ამ კონკრეტული პროგრამის დაგეგმვის, ასევე მისი ბიუჯეტისთვის და განხორციელების შემდეგ დაგეგმილი სამიზნის შესრულების გამოთვლისთვის.

თუმცა აშკარაა, რომ ეს აქტივობა, სამიზნიდან გამომდინარე, რომელიც 100-დან 300 მონაწილემდე მერყეობს, არ იქნება შესაძლებელი გრძელვადიანი სარგებლის მომტანი. ამიტომ

აქტივობისათვის გამოსავლის (outcome) ინდიკატორის შემუშავება მიზანშეწონილობას კარგავს. სამიზნე რომ შედარებით მასშტაბური იყოს, მაშინ რეკომენდებული იქნებოდა, გამოგვეთვალა ამ კონკრეტული აქტივობით მოსწავლეთა მოცვის პროცენტული მაჩვენებელი (მაგ., აქტივობაში მონაწილე მოსწავლეების რაოდენობა შეფარდებული ამ ასაკობრივი ჯგუფის მოსწავლეთა საერთო რაოდენობასთან). ინდიკატორი უნდა აჩვენებდეს, აქტივობა გეოგრაფიულად სად მიმდინარეობს და კონკრეტულ შემთხვევაში, მაგ., თუ ეს ღონისძიება მხოლოდ თბილისშია დაგეგმილი, მნიშვნელოვანი იქნება 6-13 წლამდე ასაკის ბავშვთა რაოდენობა თბილისში, თუმცა ასეთი მცირე მასშტაბის აქტივობის შედეგის გამოთვლა რეკომენდებული არაა.

რეკომენდებულია, რომ 2 სხვადასხვა ინდიკატორისთვის ცალკე შექმნათ ჩანაწერი და არ წარმოადგინოთ გაერთიანებული სახით, როგორც ამ კონკრეტულ შემთხვევაშია: **მონაწილეთა რაოდენობა – 100 გამართული ღონისძიებების რაოდენობა – 5/მიღებული უკუკავშირი.**

ამ კონკრეტულ შემთხვევაში არ ჩანს, ‘მიღებული უკუკავშირი’ ინდიკატორია, თუ ძირითადი ინდიკატორის დამხმარე, ვერიფიკაციის წყარო. ამ ჩანაწერის მიხედვით, არ ჩანს, მოხდება მიღებული უკუკავშირის დათვლა, თუ უკუკავშირის თვისებრივი ანალიზი. ასეთი ინდიკატორები თავიდან უნდა იქნას აცილებული.

ცხრილი 14: პრევენციის მიმართულების ინდიკატორის შეფასება: მაგალითი 2

ლონისძიება	ლონისძიების მიზანი	სამიზნე ჯგუფი	2018 წლის ინდიკატორის სამიზნე	2019 წლის ინდიკატორის სამიზნე
2.1.1				
სკაუტინგი	მოზარდების პიროვნული განვითარება გუნდური მუშაობის, კომუნიკაციის უნარებისა და თვითგანვითარების მხრივ.	ბავშვი	შექმნილი ჯგუფების რაოდენობა – 1/ მონაწილეთა რაოდენობა – 15	შექმნილი ჯგუფების რაოდენობა – 1/ მონაწილეთა რაოდენობა – 15
„მშობელთა სკოლა“	მოზარდების მშობლებისთვის ასაკობრივ სირთულეებთან გამკლავების გზების დასწავლა.	კანონიერი წარმომადგენლები, მეურვე/მზრუნველი, მიმღები მშობლები, მცირე საოჯახო ტიპის სახლების აღმზრდელები	ღონისძიების რაოდენობა – 1/პრე და პოსტ ტესტის შედეგები. უნიკალურ ბენეფიციართა რაოდენობა – 15	ღონისძიების რაოდენობა – 1/პრე და პოსტ ტესტის შედეგები. უნიკალურ ბენეფიციართა რაოდენობა – 15

ზემოთ განხილული მაგალითის მსგავსად, მაგალითი 2-ში მოცემული 2 აქტივობის სამიზნეები (სულ – 15 ბენეფიციარი, წლის განმავლობაში) იმდენად მცირეა, რომ ასეთი ღონისძიებისა და მასთან დაკავშირებული ინდიკატორის წარმოდგენა სტრატეგიულ გეგმაში მიზანშეწონილი არაა. ამ აქტივობებს არ შეიძლება, ჰქონდეს სტრატეგიული მნიშვნელობა და, სავარაუდოდ, ერთი რომელიმე კონკრეტული პროგრამის მცირე კომპონენტს წარმოადგენს. ასეთი წვრილი კატეგორიის აქტივობის (თავისივე ინდიკატორით) წარმოდგენა ისეთი მაღალი დონის დოკუმენტში, როგორც სტრატეგიული გეგმა, რეკომენდებული არაა.

ცხრილი 15: პრევენციის მიმართულების ინდიკატორის შეფასება: მაგალითი 3

ღონისძიება 1.2.6	ღონისძიების მიზანი	სამიზნე ჯგუფი	2018 წლის ინდიკატორის სამიზნე	2019 წლის ინდიკატორის სამიზნე	2020 წლის ინდიკატორის სამიზნე
მასობრივი სპორტული ღონისძიებები	მოსახლეობის სპორტულ და ფიზიკურ აქტივობებში ჩართვა, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია	ბავშვი	მონაწილეთა რაოდენობა 200 000	მონაწილეთა რაოდენობა 300 000	მონაწილეთა რაოდენობა 400 000

კონკრეტული აქტივობა გათვალისწინებულია 6-13 წლის ასაკის ბავშვებისათვის. რაოდენობრივი ინდიკატორი ამ შემთხვევაშიც ითვლის სპორტულ და ფიზიკურ აქტივობაში ჩართული 6-13 წლის ასაკის ბავშვების რაოდენობას. ინდიკატორის სამიზნეები საკმაოდ ამბიციურია და ასეთ შემთხვევაში, სასურველი იქნებოდა, წარმოდგენილი ყოფილიყო პროპორცია – ამ ასაკობრივ ჯგუფში პროცენტულად რამდენი ბავშვი იქნებოდა ჩართული აქტივობაში. თუმცა ამკარაა, რომ 2020 წლის სამიზნე არარეალისტურად მაღალია (არღვევს SMART ინდიკატორების მოთხოვნას, იყოს რეალისტური და მიღწევადი).

საქსტატის მონაცემებით,<sup>15</sup> 2018 წლის 1 იანვრისთვის 5-9 წლის 251,3 ათასი, ხოლო 10-14 წლის 207,2 ათასი ბავშვი ცხოვრობდა საქართველოში, ანუ მთლიანად ამ 2 ასაკობრივ

<sup>15</sup> [http://pc-axis.geostat.ge/PXWeb/pxweb/ka/Database/Database\\_Demography\\_Population/Population%20by%20age%20and%20sex-02.px/table/tableViewLayout2/?rxid=938d87f9-88ae-4552-9509-9227103e2182](http://pc-axis.geostat.ge/PXWeb/pxweb/ka/Database/Database_Demography_Population/Population%20by%20age%20and%20sex-02.px/table/tableViewLayout2/?rxid=938d87f9-88ae-4552-9509-9227103e2182)

ჯგუფში სულ 458 000 ბავშვია საქართველოში. ვინაიდან საქსტატის მიერ ნაჩვენები ორი ასაკობრივი ჯგუფი ჯამურად უფრო ფართოა (მოიცავს 10 განსხვავებული ასაკის ბავშვებს), ხოლო ინდიკატორში მოცემული ასაკობრივი ჯგუფი უფრო ვიწრო (6-13 წ. მოიცავს მხოლოდ 8 განსხვავებულ ასაკს), მარტივი კალკულაციით უნდა ვივარაუდოთ, რომ 2020 წელს 6-13 წლის ასაკობრივი ჯგუფის ბავშვთა რაოდენობა, სავარაუდოდ, 400 000-ზე ნაკლები იქნება. ამრიგად, სტრატეგიაში მოცემული სამიზნე (2020 წ. მონაწილეთა რაოდენობა 400 000) ნიშნავს, რომ ამ ასაკობრივი ჯგუფიდან საქართველოში მცხოვრები თითოეული ბავშვი უნდა იყოს ჩართული ამ კონკრეტულ აქტივობაში. ეს, რასაკვირველია, ეჭვქვეშ აყენებს ინდიკატორის სამიზნის რეალისტურობას.

ასევე, შეიძლება, ვივარაუდოთ, რომ ერთი და იგივე ბავშვი რამდენიმე სპორტულ აქტივობაშია ჩართული, რაც გამორიცხული არაა. ასეთ შემთხვევაში – ინდიკატორის სამიზნე უნდა მიუთითებდეს, რომ ინდიკატორი არ ითვლის მოსწავლეებს (როგორც უნიკალურ პირებს), და რომ გადაფარვის ალბათობა მაღალია. სადაც ამის შესაბამისი მონაცემები არსებობს, გადაფარვის სავარაუდო პროცენტზე უნდა იყოს მითითებული. წინააღმდეგ შემთხვევაში, სპორტული და ფიზიკური აქტივობების ბავშვების მოცვისათვის ეს საზომი ვალიდური ვერ იქნება.

ცხრილი 16: პრევენციის მიმართულების ინდიკატორის შეფასება: მაგალითი 4

ღონისძიება 1.3.1 სამოქალაქო უსაფრთხოება	ღონისძიების მიზანი	სამიზნე ჯგუფი	2018 წლის ინდიკატორის სამიზნე	2019 წლის ინდიკატორის სამიზნე	2020 წლის ინდიკატორის სამიზნე
საგანგებო სიტუაციებში ქცევის წესების ასახვა სამოქალაქო განათლების სახელმძღვანელოში	ბავშვისთვის უსაფრთხოებისა და საგანგებო სიტუაციებში ქცევის წესებისა და შესაბამისი მინიმალური სტანდარტების შესახებ ინფორმაციის მიწოდება.	მოსწავლე			შექმნილია სახელმძღვანელო

აქტივობისათვის – საგანგებო სიტუაციებში ქვევის წესების ასახვა სამოქალაქო განათლების სახელმძღვანელოში – ერთ-ერთი დაუყოვნებელი (პირველადი) შედეგი (output) ნამდვილად შეიძლება იყოს სახელმძღვანელოს შექმნა, რომელიც, სამოქმედო გეგმის მიხედვით, 2019 წლისთვის უნდა დასრულდეს. თუმცა რეკომენდებულია, აქტივობა ფოკუსირებული იყოს ამ სახელმძღვანელოს პრაქტიკაში გამოყენებაზე, რომელსაც აქვს პოტენციალი, ინფორმაცია მიაწოდოს 14-18 წლის ასაკობრივი ჯგუფის მოსწავლეებს. აქედან გამომდინარე, შედეგზე ორიენტირებული ინდიკატორი შეიძლება, შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს:

- a. სკოლების პროცენტული წილი, რომელიც სასწავლო პროგრამისთვის იყენებს ახალ სახელმძღვანელოს ან
- b. მოსწავლეთა პროცენტული წილი 14-18 წლის ასაკობრივი ჯგუფის მთლიანი რაოდენობიდან, რომელთაც გაიარეს სამოქალაქო განათლების სასწავლო კურსი ახალი სახელმძღვანელოს გამოყენებით.

ცხრილი 17: პრევენციის მიმართულების ინდიკატორის შეფასება: მაგალითი 5

ლონისძიება 1.3.1 სამოქალაქო უსაფრთხოება	ლონისძიების მიზანი	სამიზნე ჯგუფი	2018 წლის ინდიკატორის სამიზნე	2019 წლის ინდიკატორის სამიზნე	2020 წლის ინდიკატორის სამიზნე
შინაგან საქმეთა სამინისტროში დანერგულია „მართლწესრიგის ოფიცრის“ ინსტიტუტი	პოლიციის თანამშრომელთა აქტიური ჩართულობა დანაშაულის პრევენციაში		განხორციელებული პრევენციული ღონისძიებების რაოდენობა	განხორციელებული პრევენციული ღონისძიებების რაოდენობა	განხორციელებული პრევენციული ღონისძიებების რაოდენობა

აქტივობისათვის – *‘შსს-ში მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტის დანერგვა’*, დასახელებული მიზნიდან გამომდინარე (პოლიციის თანამშრომელთა აქტიური ჩართულობა დანაშაულის პრევენციაში) – ინდიკატორი ადეკვატურად არ არის შერჩეული. გატარებული პრევენციული ღონისძიებების რაოდენობა ნაკლებად სავარაუდოა, რომ მიანიშნებდეს, რამდენად იყო პოლიციის თანამშრომელთა აქტიური ჩართულობა. ზოგადად, გატარებული ღონისძიებების რაოდენობა ნაკლებად ინფორმაციულია და, შედეგებისდაგვარად, თავიდან უნდა იქნას აცილებული. ღონისძიებები შესაძლოა იყოს ეფექტიანი ან ნაკლებად ეფექტიანი და ამასთანავე – მცირემასშტაბიანი vs ფართომასშტაბიანი.

ამ კონკრეტული აქტივობისთვის ინდიკატორი შესაძლოა, შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს:

- a. პოლიციის თანამშრომელთა წილი, რომელიც ერთი წლის განმავლობაში მონაწილეობდა, სულ მცირე, ერთ პრევენციულ ღონისძიებაში.

SMART ინდიკატორის ერთ-ერთი მთავარი კრიტერიუმია, რომ იყოს გაზომვადი. სწორედ ამიტომ ზემოთ შემოთავაზებულ ინდიკატორში მოწოდებულია ფორმულირება, რომელიც მოიცავს საზომებს: მრიცხველში ითვლება პოლიციის თანამშრომელი, რომელიც ერთი წლის განმავლობაში მონაწილეობდა, სულ მცირე, ერთ პრევენციულ ღონისძიებაში. მნიშვნელოვანი წარმოადგენს პოლიციის თანამშრომელთა საერთო რაოდენობას.

მიუხედავად იმისა, რომ ასე ფორმულირებული ინდიკატორი გაცილებით უკეთ აჩვენებს ინტერვენციის შედეგს, იგი მაინც ბუნდოვანია, არაა სპეციფიკური და მოითხოვს ოპერაციულ განმარტებას:

- რომელი ტიპის პრევენციული ღონისძიებაა გასათვალისწინებელი – მხოლოდ შსს-ს მიერ ორგანიზებული, თუ ნებისმიერი აქტივობა, რომელიც ქვეყანაში ხორციელდება სხვადასხვა უწყების, პროგრამის, აქტივისტის ან საინიციატივო ჯგუფის მიერ?
- როგორ უნდა განისაზღვროს ტერმინი ‘აქტიური ჩართულობა’?

რასაკვირველია, სასურველი იყო, სახელმძღვანელოში მოგვეწოდებინა უფრო სპეციფიკური, გაზომვადი, მიღწევადი, რეალისტური და დროში განსაზღვრული (SMART) ინდიკატორი, მაგრამ ამისთვის საკმარისი ინფორმაცია არ იძებნება არც სტრატეგიის თხრობით დოკუმენტში და არც სამოქმედო გეგმის ექსელის ფაილში. ქვემოთ მოცემული პარაგრაფი, რომელიც სტრატეგიის დოკუმენტიდან ამონარიდს წარმოადგენს<sup>16</sup>, ზოგადია და ზღუდავს SMART ინდიკატორის შემოთავაზების შესაძლებლობას ამ კონკრეტული აქტივობისათვის. ასევე ბუნდოვანი რჩება ლოგიკური ვარაუდი, რა მიზეზშედეგობრივი კავშირი არსებობს პოლიციელების აქტიურ მონაწილეობასა და შესაძლო დანაშაულის თავიდან აცილებას შორის.

<sup>16</sup> სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სტრატეგია. 2018 წელი. სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო. გვ. 21.

შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგენს პრევენციული კომპონენტის, როგორც დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტიანი მექანიზმის გაძლიერება. მიმდინარე რეფორმა მოიცავს საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო სერვისების განვითარებას და მოსახლეობაში პოლიციისადმი ნდობის ამაღლებას. ამ მიზნით, შსს-ში იქმნება მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტი, რომლის უმთავრესი ფუნქცია იქნება სხვადასხვა პრევენციული ღონისძიებების განხორციელების მეშვეობით დანაშაულისა და სამართალდარღვევების თავიდან აცილება.

ცხრილი 18: პრევენციის მიმართულების ინდიკატორის შეფასება: მაგალითი 6

ღონისძიება	ღონისძიების მიზანი	სამიზნე ჯგუფი	2018 წლის ინდიკატორის სამიზნე	2019 წლის ინდიკატორის სამიზნე	2020 წლის ინდიკატორის სამიზნე
რისკის კითხვარის შექმნა	რისკის მქონე ბავშვთა ადრეული გამოვლენა	ბავშვი	შექმნილი რისკის კითხვარი	საჭიროების შემთხვევაში განახლებული რისკის კითხვარი	საჭიროების შემთხვევაში განახლებული რისკის კითხვარი

პრევენციულ მიმართულებაში მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა მიექცეს რისკის მქონე ბავშვთა ადრეულ გამოვლენას. ამ მიზნით (საკითხი 2.2.4 დელინქვენტური ქცევა) გათვალისწინებულია რისკის შეფასების კითხვარის შექმნა. ინდიკატორი ფოკუსირებულია კითხვარის შექმნაზე (2018 წ.) საჭიროების შემთხვევაში კი – მათ რევიზიაზე (ინდიკატორის სამიზნე ყოველი მომდევნო წლისათვის). რეალურად, რისკის შეფასების კითხვარი არის ინსტრუმენტი, რომელსაც უნდა ჰქონდეს პოტენციალი, ამოიცნოს ადრეული სარისკო ქცევის ნიშნები. ამიტომ, მიზანშეწონილია, აქტივობა ფოკუსირებული იყოს ამ კითხვარების გამოყენებით თითოეული მოწყვლადი ქცევის მქონე ბავშვის რისკის გაზომვაზე.

- a. ბავშვთა რაოდენობა/პროცენტი, რომელთა რისკის შეფასების კითხვარი შევსებულია.

უფრო მეტიც, იდეალურ შემთხვევაში, თუ რომელიმე ასეთი ბავშვი დანაშაულს ჩაიდენს, რეგისტრაციის სისტემა ისე უნდა იყოს აწყობილი, რომ შესაძლებელი გახდეს რისკის შეფასების კითხვარის ჩანაწერების რეტროსპექტული მიმოხილვა. ეს პროცესი შეძლებს, შეაფასოს, რამდენად პრაქტიკული იყო კითხვარი, როგორც ინსტრუმენტი, საყურადღებო ნიშნების ადრეულ ეტაპზე ამოცნობაში.

ცხრილი 19: პრევენციის მიმართულების ინდიკატორის შეფასება: მაგალითი 7

ღონისძიება	ღონისძიების მიზანი	სამიზნე ჯგუფი	2018 წლის ინდიკატორის სამიზნე	2019 წლის ინდიკატორის სამიზნე	2020 წლის ინდიკატორის სამიზნე
დამოკიდებულების მქონე არასრულწლოვნებისთვის სარეაბილიტაციო პროგრამების შემუშავება	დამოკიდებულ არასრულწლოვანთა რეაბილიტაცია	ბავშვი		რეაბილიტირებულ პირთა რაოდენობა.	რეაბილიტირებულ პირთა რაოდენობა.

ამ კონკრეტულ მაგალითში სასურველია, ღონისძიება შეესაბამებოდეს მოწოდებულ ინდიკატორს. უმჯობესი იქნება, აქტივობა ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

‘ადიქციური ქცევების მქონე არასრულწლოვნებისათვის სარეაბილიტაციო პროგრამების დანერგვა’ (ნაცვლად ‘შემუშავებისა’, რადგან ინდიკატორი რეაბილიტირებულ პირთა რაოდენობას ითვლის და არა პროგრამის შემუშავებას).

ვინაიდან სამოქმედო გეგმა მიზნად ისახავს, რომ უზრუნველყოს ასეთი საჭიროების მქონე თითოეული ბავშვის მოცვა რეაბილიტაციის სერვისებით, უმჯობესია, ინდიკატორი ითვლიდეს, რამდენად არის ეს მიზანი მიღწეული (მაგ., საჭიროების მქონე ბავშვთა რაოდენობა/პროცენტი).

გარდა ამისა, რთულია, მტკიცებით ითქვას, რომ ადიქციური პრობლემების ან ქცევების მქონე პირი რეაბილიტირებულია, რადგან ასეთი შეფასებისთვის საკმაოდ ხანგრძლივი დრო არის საჭირო. ამიტომ სასურველია, არსებობდეს ოპერაციული დეფინიცია. მაგ., რეაბილიტირებულია პირი, თუ მან მიიღო სერვისი გარკვეული დროის განმავლობაში (მაგ., ერთთვიანი რეაბილიტაციის სრული კურსი). ასეთი დეფინიციის შემთხვევაში, ინდიკატორი შესაძლოა, შემდეგი სახით ჩამოყალიბდეს.

- ადიქციური ქცევების მქონე პირთა რაოდენობა/პროცენტი წილი, ვინც მიიღო რეაბილიტაციის სერვისის (სტანდარტით დადგენილი გარკვეული ინტენსივობის) სრული კურსი.

დეფინიცია შეიძლება, გახდეს უფრო სპეციფიკური: რეაბილიტირებულია პირი, თუ პროგრამის დასრულებიდან 6 თვის განმავლობაში არ დგინდება ადიქციური ქცევის გაგრძელება (კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე – მაგ., არ მოხმარს ფსიქოაქტიურ



ნივთიერებას). ასეთ შემთხვევაში, ინდიკატორის ფორმულირებაც შესაბამისად უნდა შეიცვალოს.

ცხრილი 20: პრევენციის მიმართულების ინდიკატორის შეფასება: მაგალითი 8

ლონისძიება	ლონისძიების მიზანი	სამიზნე ჯგუფი	2018 წლის ინდიკატორის სამიზნე	2019 წლის ინდიკატორის სამიზნე	2020 წლის ინდიკატორის სამიზნე
სასაზღვრო პოლიციის მიერ კონტროლის გაძლიერება	მიუსაფარი ბავშვების რაოდენობის შემცირება სასაზღვრო პოლიციის მიერ კონტროლის გაძლიერებით, რათა აღიკვეთოს უცხო ქვეყნებიდან მოწყალეების თხოვნის მიზნით მიგრირებული ბავშვები.	ბავშვი		ქუჩაში მომუშავე პირებში უცხო ქვეყნის მოქალაქე ბავშვების რაოდენობის შემცირება.	ქუჩაში მომუშავე პირებში უცხო ქვეყნის მოქალაქე ბავშვების რაოდენობის შემცირება.

სტრატეგიის დოკუმენტში ღონისძიების მიზნის ასეთი ფორმულირება არაეთიკურად და დისკრიმინაციულად ჟღერს. ასევე არაეთიკურად ჟღერს შესაბამისი ინდიკატორიც. უნდა აღინიშნოს, რომ ამ აქტივობის სამართლებრივი და ეთიკური მექანიზმები, სავარაუდოდ, არ არსებობს: ბუნდოვანია, როგორ შეიძლება სასაზღვრო პოლიციამ ამოიცნოს არასრულწლოვანი, რომელიც დააპირებს ქუჩაში მუშაობას და ამ მიზეზით არ მისცეს ბავშვს საზღვრის გადაკვეთის უფლება.

სტრატეგიის დოკუმენტში აქტივობების გასწვრივ, სამწუხაროდ, არ არის მითითებული საბაზისო ინდიკატორი, რომელიც ამ პრობლემის მასშტაბზე მაინც მიანიშნებდა, თუმცა, მასშტაბის ზომის მიუხედავად, სასურველია, ამ აქტივობის სტრატეგიიდან ამოღება.

შეჯამება

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სამოქმედო გეგმის დანაშაულის პრევენციის მიმართულებაში 200-ზე მეტი აქტივობაა და ყველა ინდიკატორის შემუშავების ამოცანა ამ კონკრეტული საკონსულტაციო დავალების ფარგლებს სცილდებოდა, თუმცა სახელმძღვანელოში ვცადეთ, წარმოგვედგინა რამდენიმე თვალსაჩინო მაგალითი – კარგად და ბუნდოვნად ფორმულირებული ინდიკატორებისა. ამ მაგალითების კრიტიკული ანალიზი შესაძლოა, განზოგადდეს სტრატეგიული გეგმის მრავალი სხვა აქტივობისთვის და იქცეს სახელმძღვანელო პრინციპად SMART ინდიკატორების შესამუშავებლად.

ზემოთ მოყვანილი მაგალითები ასევე შეიძლება, მიანიშნებდეს, რომ სასურველია სამოქმედო გეგმის გადახედვა, აქტივობებისა და მათთან დაკავშირებული ინდიკატორების რევიზიის ჩათვლით.

თუმცა ასევე უნდა გავაცნობიეროთ, რომ სტრატეგიის გეგმის ფორმატში მშ-ის ყველა საჭირო ასპექტის გაწერა შესაძლოა, მოუხერხებელი იყოს. ამიტომ, რეკომენდებულია სტრატეგიისათვის შემუშავდეს მშ ჩარჩო-დოკუმენტი, რომელიც წარმოადგენს ინდიკატორების განმარტებებს და, ასევე, თითოეული ინდიკატორისთვის აჩვენებს: ა) ინდიკატორების საბაზისო (baseline) მნიშვნელობას, შესაბამისი წლის მითითებით; ბ) საბაზისო მაჩვენებლის წყაროს; გ) ინდიკატორების დროში გაწერილ სამიზნეებს; დ) ინდიკატორის ვერიფიკაციის წყაროს; ე) პასუხისმგებელ პირს.

ასევე, მნიშვნელოვანია ინდიკატორებისათვის შემუშავდეს ე.წ. ინდიკატორის პასპორტი (Reference Sheet). თვალსაჩინოებისათვის მოცემულია რეკომენდებული ფორმატი:

ინდიკატორის პასპორტი (ე.წ. Reference Sheet)	
ინდიკატორის დასახელება	ინდიკატორის დასახელება შესაძლოა, იყოს უფრო სხარტი და ლაკონიური, თუმცა ზოგჯერ პრაქტიკულია, ინდიკატორი თავის სახელშივე გვაძლევდეს მინიშნებას, რას ითვლის.
ინდიკატორის მნიშვნელობა	რა ინფორმაციული ღირებულება აქვს ინდიკატორს/რატომ არის მნიშვნელოვანი.
რას ზომავს ინდიკატორი	განსაზღვრავს, რას ზომავს ინდიკატორი.
კალკულაციის მეთოდი	დეტალურად აღწერს, რა მონაცემები მონაწილეობს კალკულაციაში; მაგ. რა არის მნიშვნელი/მრიცხველი
როგორ უნდა გაიზომოს/ინსტრუმენტები	დეტალურად ხსნის, რა ტიპის მონაცემები მონაწილეობს კალკულაციაში. აზუსტებს ოპერაციულ დეფინიციებს ინდიკატორისთვის.

დისაგრეგაციის კატეგორიები	მაგ., სქესი, ასაკი, რეგიონი, სსკ მუხლის მიხედვით და სხვ.
პერიოდულობა/სიხშირე	მაგ., წლიურად, კვარტალურად.
პასუხისმგებელი პირი	მაგ., იუსტიციის სამინისტროს სსიპ დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო; საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ინდიკატორის სახელი უნდა იყოს სხარტი/მოკლე, თუმცა სახელმძღვანელოში მოწოდებული დამატებითი ინდიკატორების უმეტესობა წარმოდგენილია თვითგანმარტებადი სახელწოდებით. ამ პრინციპის მთავარი მიზანი იყო, დაზუსტებული ყოფილიყო, რას ზომავს ახლად შემოთავაზებული ინდიკატორი. ინდიკატორის სახელწოდების შერჩევის ნიმუში მოცემულია ქვემოთ. თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში ადგილობრივი ექსპერტების გადასაწყვეტია, როგორი დასახელება არის მათთვის პრაქტიკულად უფრო მოსახერხებელი.

ინდიკატორის მოკლე სახელი	ინდიკატორის თვითგანმარტებადი (დაზუსტებული) დასახელება
ნარკოდანაშაულის ჩამდენი პირებისათვის გათავისუფლების შემდგომი ზრუნვა (AI.16)	ნარკოტიკთან დაკავშირებული დანაშაულის ჩამდენთა წილი, რომლებიც გათავისუფლების/სისტემიდან გასვლის შემდეგ რეფერირებულნი იყვნენ და ისარგებლეს სპეციალიზებული სერვისებით (პრევენციის და/ან მკურნალობის).
ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე არასრულწლოვანთათვის გათავისუფლების შემდგომი ზრუნვა (AI.17)	ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე არასრულწლოვანთა წილი, რომლებიც გათავისუფლების/სისტემიდან გასვლის შემდეგ რეფერირებულნი იყვნენ და ჩაერთნენ სპეციალიზებულ სერვისებში

ვინაიდან ინდიკატორების პასპორტების შექმნა საკმაოდ შრომატევადი პროცესია, უნდა მოხდეს ინდიკატორების პრიორიტეტიზაცია – სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე (ზეგავლენის, გამოსავლის) ინდიკატორების შერჩევა. მკაფიოდ გაწერილი და სთეიქპოლდერებს შორის შეთანხმებული ინდიკატორის პასპორტის არსებობა მინიმუმამდე ამცირებს სუბიექტური საზომების გამოყენების გამო ცდომილებას, ზრდის ინდიკატორის ვალიდურობას და უზრუნველყოფს ტენდენციების შეფასებისას იდენტურად გამოთვლილი ინდიკატორების შედეგების შედარებას.

### დამატებითი ინდიკატორები (AI) დანაშაულის პრევენციის მიმართულების შეფასებისათვის

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმის 2018 – 2022 წლების სამოქმედო გეგმაში მოცემულია ასობით დეტალურად გაწერილი ღონისძიება და თითოეულის გასწვრივ მოწოდებულია ინდიკატორი. წინამდებარე სახელმძღვანელოს ფორმატიდან გამომდინარე, მიზანშეწონილი არ არის, წარმოვადგინოთ პროცესის პირველადი შედეგების (output) საზომი ინდიკატორები, რომლებიც ძირითადად გულისხმობს სერვისების მოცვის გაზომვას აბსოლუტურ რიცხვებში; მაგ.: ა) ღონისძიებების რაოდენობა; ბ) ღონისძიებებში მონაწილე ბავშვების რაოდენობა; გ) გარკვეული პრევენციული პროგრამები, როგორცაა უსაფრთხო სკოლის სახელმძღვანელოს მომზადება, კითხვარის შემუშავება, და ა.შ.

ქვემოთ ცხრილში რამდენიმე აქტივობის მაგალითზე მოცემულია ინდიკატორების ახლებური ფორმულირება, რომლებიც ასევე შეიძლება, სახელმძღვანელო ინსტრუმენტად იქცეს სტრატეგიის რევიზიის დროს.

ცხრილი 21: აქტივობებისა და ინდიკატორების ნიმუშები

აქტივობა 2.1.1. 24-საათიანი სპეციალიზებული დაწესებულებების პერსონალის ცნობიერების ამაღლება	
AI 2.1.1.1	პერსონალის რაოდენობა/პროცენტი, ვინც ჩართული იყო ცნობიერების ამაღლების ღონისძიებებში ბოლო 12 თვის განმავლობაში.
AI 2.1.1.2	მიმღები მშობლების რაოდენობა/პროცენტი, რომლებიც გადამზადდნენ ბოლო ერთი წლის განმავლობაში.
აქტივობა 2.1.4. მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახური	
AI 2.1.4.1	წლის განმავლობაში დაზარალებული მსხვერპლი ბავშვების რაოდენობა/პროცენტი, რომლებთანაც მუშაობენ მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორები (ვერიფიკაციისათვის – დოკუმენტირებული ანგარიში ინდივიდუალური შემთხვევებისთვის).

<b>აქტივობა 2.1.5. მიუსაფარ ბავშვთა მიმართ მომსახურების გაფართოება</b>	
<b>AI 2.1.5.1</b>	მიუსაფარ ბავშვთა რაოდენობა/პროცენტი, რომლებმაც წელიწადში ერთხელ მაინც ისარგებლეს დღის ცენტრების მომსახურებით და/ან თავშესაფრით.
<b>აქტივობა 2.1.5. შიდა ინსტრუქციის შექმნა ქუჩაში მცხოვრებ ბავშვებთან დაკავშირებით/პოლიციის თანამშრომელთათვის ერთიანი სტანდარტის დანერგვა და მათი ცნობიერების გაზრდა</b>	
<b>AI 2.1.5.2</b>	პოლიციელთა რაოდენობა/პროცენტი, რომლებიც ინფორმირებულნი არიან შიდა ინსტრუქციის საკითხებზე (ვერიფიკაციისათვის – ერთიანი სტანდარტის შესახებ ტრენინგში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია).

ეროვნული ინდიკატორები, რომლებიც სახელმძღვანელოში მოცემულია ზემოთ ( ცხრილი 5; ცხრილი 6; ცხრილი 7; ცხრილი 8;

ცხრილი 9; ცხრილი 10), დაყოფილია სექციების მიხედვით. მე-2 სექცია ეძღვნება პრევენციის მიმართულულებას, თუმცა პირველ სექციაში – ‘დანაშაულის შედეგად დაზარალებული ბავშვები’ წარმოდგენილია ინდიკატორები, რომელთა უმრავლესობა ასევე ზომავს პრევენციული სერვისებით ბავშვების მოცვას. ამიტომ, ამ სექციაში წარმოდგენილია მხოლოდ რამდენიმე დამატებითი ინდიკატორი,<sup>17</sup> რომელთა გამოთვლაც ასევე საინტერესო იქნება.

ცხრილი 22: დამატებითი ინდიკატორები: დანაშაულის პრევენციის მიმართულება

#	ინდიკატორის დასახელება	განმარტება/კალკულაციის მეთოდი
<b>AI.1.</b>	წლის განმავლობაში კანონთან კონფლიქტში მყოფი იმ არასრულწლოვნების პროცენტული წილი, ვისაც ადრე ჰქონდა კანონთან კონფლიქტი	<b>მრიცხველი:</b> წლის განმავლობაში კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების წილი, რომელთაც ადრე ჰქონდათ კანონთან კონფლიქტის ეპიზოდი.  <b>მნიშვნელი:</b> წლის განმავლობაში კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნების მთლიანი რაოდენობა.

<sup>17</sup> Criteria for the Design and Evaluation of Juvenile Justice Reform Programmes UNODC, Interagency Panel of Juvenile Justice. UN. NY, 2011

<b>AI.2.</b>	კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა პროპორცია, რომელიც აღნიშნავს, რომ ოდესმე ყოფილა პრევენციულ პროგრამასთან კონტაქტში	<b>მრიცხველი:</b> წლის განმავლობაში კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნები (განრიღებული და დევნადაწყებული). რომელიც იხსენებს, სულ მცირე, ერთ სტრუქტურირებულ პრევენციულ ღონისძიებაში მონაწილეობას.  <b>მნიშვნელი:</b> კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნები (განრიღებული და დევნადაწყებული) 1 წლის განმავლობაში.
--------------	--	--

ზემოთ მოცემული 2 ინდიკატორი შესაძლოა, განვიხილოთ, როგორც ე.წ. proxy (მიახლოებითი) ინდიკატორი. ასეთი ინდიკატორების გამოყენება მიზანშეწონილია, როდესაც პირდაპირი და უფრო სპეციფიკური ინდიკატორების გამოთვლა ვერ ხერხდება ან მათი გამოთვლა მნიშვნელოვან რესურსებს მოითხოვს. მაგ., რევიდივიზმის ინდიკატორისთვის მოწოდებულია კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნების რაოდენობრივი კვლევა, რათა განისაზღვროს, დანაშაულის ბოლო ეპიზოდიდან 1, 2 ან 3 წლის განმავლობაში ჩაიდინეს თუ არა მათ განმეორებითი დანაშაული (კანონსაწინააღმდეგო ქმედება), რომელთა ნაწილი შესაძლოა, მართლმსაჯულების ფორმალური სისტემის შიგნით არ დარეგისტრირებულა. ასეთი კვლევა სისტემისთვის გამოყოფილი შეზღუდული დაფინანსების პირობებში შესაძლოა, არარეალისტურად მივიჩნიოთ. ამიტომ, საინტერესო იქნება კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნების (შესაძლებელია, ასაკობრივი ჯგუფი 21 წლამდე გაიზარდოს) გამოკითხვა, ჰქონიათ თუ არა **წარსულში (რეტროსპექტულად)** კანონთან კონფლიქტის სხვა ეპიზოდი. ასეთი კითხვის დამატება არასრულწლოვანთან კომუნიკაციის დროს მინიმალური რესურსითაა შესაძლებელი.

სწორედ იმავე მოსაზრებითაა მოწოდებული მეორე ინდიკატორიც, რომელიც მიახლოებით (proxy ინდიკატორი) მიგვანიშნებს, რამდენად მიზნობრივია დანაშაულის პრევენციის სერვისები და აღწევს თუ არა ასეთი პროგრამები სწორედ რისკის ქვეშ მყოფ არასრულწლოვნებამდე. თუ კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ არასოდეს ჰქონია პრევენციულ პროგრამასთან კონტაქტი, შეიძლება ეს მიანიშნებდეს, რომ პრევენციული პროგრამები ფოკუსირებული არაა სამიზნე ჯგუფებზე და/ან არასაკმარისი მასშტაბით ხორციელდება.

### პრევენციული პროგრამების შეფასების გამოწვევები

პრევენციული პროგრამების შეფასება რთული პროცესია და ჯერჯერობით არ არსებობს მტკიცებულებებზე დაფუძნებული და აღიარებული სტანდარტი, რომელიც შესაძლოა, საფუძვლად დაედოს პრევენციული პროგრამების შეფასების ინსტრუმენტს. დაპრევენცია განსხვავებული მიდგომის კომპლექსურ ერთობლიობას მოითხოვს და მისი მიზანია, გაზარდოს ცოდნა, იმოქმედოს ადამიანების შეხედულებებსა და ღირებულებებზე, უბიძგოს ადამიანებს ქცევის ცვლილებას.

შეფასების სირთულეები:

- ცოდნა, და განსაკუთრებით შეხედულებების, ღირებულებებისა და ქცევის ცვლილება ხანგრძლივი პროცესია და პრევენციული ინტერვენციების პილოტირების შემთხვევაშიც კი, შედეგების სრულფასოვანი შეფასება მხოლოდ გრძელვადიანი დაკვირვების (ე.წ. ობზერვაციის) საშუალებით არის შესაძლებელი (მაგ., მრავალწლიანი პროსპექტული კვლევის გზით, რომელიც იმდენად ძვირადღირებული და დროში განვრცობილია, რომ ნაკლებად რაციონალურია ისეთი შეზღუდული რესურსების ქვეყნისათვის, როგორც საქართველო).
- ინდივიდუალური პროგრამის (მათ შორის, პილოტური პროგრამის) შეფასება ასევე გამოწვევებთან არის დაკავშირებული, რადგან არც ერთი პროგრამა განცალკევებით არ მოქმედებს (სრული იზოლაცია შეუძლებელია) და შედეგებზე გავლენას ახდენს სხვადასხვა პრევენციული პროგრამა; ამრიგად, ხდება შედეგების გადაფარვა.
- უფრო მეტიც, პროგრამების შედეგზე გავლენას ახდენს არა მარტო სხვადასხვა პრევენციული ინტერვენცია, არამედ სხვა მრავალი ფაქტორი, როგორებიცაა: სახელმწიფოს პოლიტიკა, ინსტიტუციები, ეკონომიკური მდგომარეობა, საზოგადოება, სკოლა, ოჯახი, მეგობრები, სოციალური გარემოცვა და სხვა მრავალი. ამრიგად, რთულია მიღწეულ შედეგსა და განხორციელებულ პროგრამებს შორის პირდაპირი მიზეზ-შედეგობრივი კავშირის (attributability) დადგენა.

თუმცა რეციდივიზმის ინდიკატორი რჩება ერთ-ერთ საუკეთესო საზომად – ზეგავლენის (impact) ინდიკატორად პრევენციული ღონისძიებების წარმატების შესაფასებლად, აუცილებელია სიფრთხილე ინტერპრეტაციის დროს. მაგ., რეციდივიზმის ინდიკატორის შეფასებისას გასათვალისწინებელია კანონთან კონფლიქტში მყოფი თითოეული პირის მხრიდან დანაშაული ჩადენის განსხვავებული რისკის დონეები. ანუ, თუ ამა თუ იმ ჯგუფში რეციდივიზმის დაბალი დონეა, უნდა მოხდეს კრიტიკული გააზრება, ხომ არ იყო პრევენციული პროგრამები მიმართული სწორედ შედარებით დაბალი რისკის მქონე ახალგაზრდებზე და სწორედ ამიტომ არის რეციდივიზმი დაბალი იმ ბავშვებში, რომლებიც ჩართულნი იყვნენ არასაპატიმრო ღონისძიებებში, ვიდრე იმ არასრულწლოვნებში, რომელთაც საპატიმრო განაჩენი გამოუტანეს.

მიუხედავად ამისა, არსებობს ამ ფაქტორის გავლენის მინიმიზაციის მეთოდები – ე.წ. მოდელირება, რომლის მიხედვითაც გაანალიზდება მოწყვლადი ჯგუფების წინასწარ არსებული რისკის დონეები და გამოითვლება რეციდივიზმის მოსალოდნელი დონე (predicted recidivism), შემდეგ კი შედარდება რეალური რეციდივიზმის დონესთან. ასეთი ანალიზის შედეგად, თუ ვნახავთ, რომ რეალური რეციდივიზმის დონე ნაკლებია მოსალოდნელ რეციდივიზმის დონესთან შედარებით, უფრო მეტი სარწმუნოებით ვიტყვი, რომ პროგრამა/ღონისძიება წარმატებული აღმოჩნდა, დანაშაულის პრევენციის თვალსაზრისით.

სამეცნიერო ლიტერატურა აღწერს არასრულწლოვანი პრობაციონერებისთვის განხორციელებული პრევენციული პროგრამის შეფასების სტანდარტიზებული პროტოკოლის (Standardized Program Evaluation Protocol – SPEP) შემუშავების მცდელობას.<sup>18</sup> SPEP წარმოადგენს შეფასების ინსტრუმენტს, რომელიც 100-ქულიანი სკალით ზომავს პროგრამების სხვადასხვა ასპექტს. თუმცა ამ ინსტრუმენტის ადაპტირება/გადმოტანა ქართულ კონტექსტში შესაძლოა ჯერ ნაადრევი იყოს, მაგრამ რეკომენდებულია გავითვალისწინოთ ის ფაქტორები, რომელთა გავლენაც შედეგების ეფექტიანობაზე უკვე მტკიცებულებებით არის გამოყარებული.

სწორედ ამიტომ, პრევენციული პროგრამების შესაფასებლად უნდა ჩატარდეს პროგრამების აღწერილობითი კვლევა. ქვემოთ წარმოდგენილია პრევენციული პროგრამების მახასიათებლები, რომელთა ერთობლიობა გავლენას ახდენს პრევენციული პროგრამების შედეგებზე. ამიტომ, რეკომენდებულია ამ მახასიათებლების შესწავლა/შეფასება.

- სერვისის კატეგორია: რა ტიპის სერვისს ვთავაზობთ და რამდენად ეფუძნება ამ სერვისების დიზაინი მტკიცებულებებსა და საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკას/გაიდლაინებს.
- სერვისების ხანგრძლივობა და სიხშირე: რამდენად საკმარისი მოცულობით და სიხშირით ხდება კონტაქტი სამიზნე პოპულაციასთან. დამტკიცებულია, რომ ზომიერი ან მაღალი რისკის დონის არასრულწლოვანთათვის განსხვავებული ინტენსივობის პროგრამებია აუცილებელი. ამიტომ პროგრამების ეფექტიანობის შესაფასებლად საკმარისი საზომი არაა ინდიკატორები, რომლებიც ითვლის პროგრამაში მონაწილეების რაოდენობას. არამედ, უნდა გაიზომოს საკონტაქტო

<sup>18</sup> The Arizona Standardized Program Evaluation Protocol (SPEP) for Assessing the Effectiveness of Programs for Juvenile Probationers: SPEP Rating and Relative Recidivism Reduction. An Update to the January 2008 Report by Dr. Mark Lipsey, David P. Redpath & Jeanne K. Brandner. Arizona Supreme Court Administrative Office of the Courts. Juvenile Justice Service Division. Phoenix, AZ. April 2010

საათების რაოდენობა, რა ხნის განმავლობაშიც რისკის მქონე ბავშვი იმყოფება სერვისში.

პრევენციული პროგრამების სერვისების ხარისხი შესაფასებლად შემდეგი ინდიკატორები უნდა შეფასდეს:

- პროგრამის გაიდლაინი/პროტოკოლის არსებობა (ვერიფიკაციისთვის - დამტკიცებული გაიდლაინი/პროტოკოლი).
- თანამშრომელთა რეგულარული (უწყვეტი) სწავლების სისტემის არსებობა (ვერიფიკაციისთვის - პროგრამის ფარგლებში ჩატარებული სწავლების/გადამზადების დოკუმენტები/ტრენინგების ანგარიშები).
- არსებობს პროგრამის მონიტორინგისა და შეფასების გეგმა; წარმოებს რეგულარული მონიტორინგი და მონიტორინგის ანგარიშები დოკუმენტირებულია.

**პრევენციული პროგრამების შეფასება: არტთერაპია**

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში უკვე ჩატარდა განრიდება-მედიაციის პროგრამის შეფასება, რომელიც მეთოდოლოგიურად გამართულია და ანგარიშიც კარგად არის ორგანიზებული.<sup>26</sup> ასეთი კვლევის პერიოდულად ჩატარება მნიშვნელოვანია, ვინაიდან განრიდება-მედიაციის პროგრამის შეფასების მაგალითი უკვე არსებობს, ჩვენი სახელმძღვანელო მოგაწვდით მეთოდოლოგიურ რეკომენდაციებს სხვა პროგრამის – არტთერაპიის მაგალითზე.

გლობალურად არსებული კვლევების შედეგად მიღებული მტკიცებულებებით<sup>19</sup>, სტრუქტურირებული არტთერაპიის პროგრამები პოზიტიურად არის ასოცირებული სოციალური ქცევის სასურველ ცვლილებებთან. ამასთან დადასტურდა, რომ არასტრუქტურირებულ და არასისტემატურ პროგრამებთან ასეთი ასოციაცია არ მოიძიება. ამ კვლევების მიხედვით, რეკომენდებულია, რომ ბავშვები, სულ მცირე, კვირაში 2-ჯერ უნდა ესწრებოდნენ 90-წუთიან სესიას და არტთერაპიის ასეთი კურსი უნდა გრძელდებოდეს, სულ მცირე, 8 კვირის განმავლობაში (მთლიანად 24-საათიანი პირდაპირი კონტაქტი არასრულწლოვანთან). მკვლევრები რეკომენდაციას იძლევიან, რომ მინიმალურ ზღვრულზე უფრო ხანგრძლივი კონტაქტი კიდევ უფრო ამყარებს დადებით შედეგს.

<sup>19</sup> An Evaluation of a Cultural Arts Program for Youth in a Juvenile Justice Program: Technical Report. Tina Maschi. Jerry Miller. William Rowe. Keith Morgen. Fordham University. Community Research Center, Inc., University of South Florida

ეს მიგნებები აჩვენებს, რომ პროცესის ინდიკატორები, რომლებიც თუმცადა აუცილებელია პროგრამების დაგეგმვისა და ბიუჯეტის პროექტირებისთვის, საკმარისი არაა ინტერვენციის გრძელვადიანი შედეგების შესაფასებლად. იმის მიხედვით, როგორია არტთერაპიის პროგრამის დიზაინი, პროგრამა შეიძლება იყოს ეფექტიანი, ან ნაკლებად ეფექტიანი. ვინაიდან ეფექტიანობა დამოკიდებულია პროგრამაში საკონტაქტო საათების რაოდენობაზე, ინდიკატორებიც შესაბამისად უნდა იყოს უფრო სპეციფიკური და, ამავდროულად, გაზომვადი. ქვემოთ მოცემულია ინდიკატორები, რომლებიც ასევე შეიძლება გამოყენებული იყოს, როგორც სასურველი სტანდარტი სხვა პრევენციული პროგრამების შესაფასებლადაც.

ცხრილი 23: არტთერაპიის პროგრამების შეფასების ინდიკატორები

ინდიკატორის პასპორტი	
ინდიკატორის დასახელება	განრიდებულ ბავშვთა პროპორცია, რომელიც მონაწილეობს არტთერაპიაში, სულ მცირე, 24 საათის განმავლობაში (90-წუთიანი 2 სესია კვირაში, სულ მცირე, 8 კვირის განმავლობაში).
კალკულაციის მეთოდი	<b>მრიცხველი:</b> პროგრამაში ჯამურად ჩართული ყველა ბავშვი, რომლებიც მონაწილეობენ არტთერაპიაში, სულ მცირე, 24 საათის განმავლობაში.  <b>მნიშვნელი (1):</b> ყველა განრიდებული ბავშვი.  <b>მნიშვნელი (2):</b> ყველა ბავშვი, რომელიც ჩართულია არტთერაპიაში.
დისაგრეგაცია	არტთერაპიის რამდენიმე პროგრამის არსებობის შემთხვევაში ეს ინდიკატორი, სასურველია, გაანგარიშდეს ცალკეული პროგრამების მიხედვით, რაც საშუალებას მოგვცემს, იდენტიფიცირება გავაკეთოთ ძლიერი და სუსტი პროგრამების შესახებ და დაიგეგმოს შესაბამისი ინტერვენცია.
პერიოდულობა	ყოველწლიური.
პასუხისმგებელი პირი	არტთერაპიის სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციები.

ზემოთ მოცემულია ინდიკატორის კალკულაციის 2 განსხვავებული მეთოდი. თუ მნიშვნელში გამოყენებულია *ყველა განრიდებული ბავშვი*, მაშინ ინდიკატორი აფასებს გამოსავალს/შედეგს – რამდენად მოცულია განრიდებული ბავშვი სერვისით. მე-2 მეთოდით, სადაც მნიშვნელში არის *ყველა ბავშვი, რომელიც ჩართულია არტთერაპიაში*, უფრო პროგრამის ხარისხიანი და სრულფასოვნად მიმდინარეობა ფასდება.

რაოდენობრივი მონაცემების გარდა, პროგრამის შეფასებისას გამოყენებული უნდა იყოს თვისებრივი კვლევა შერეული მეთოდოლოგიით.

სამაგიდო კვლევა:

- არსებული ლიტერატურის მიმოხილვის ეტაპზე შესწავლილი უნდა იყოს საერთაშორისო გამოცდილება და საუკეთესო პრაქტიკა. მოპიებული უნდა იყოს რელევანტური კვლევების ანგარიშები.
- შესწავლილ იქნეს არტთერაპიის პროგრამის დოკუმენტაციები – პროგრამის აღწერილობა და მოხდეს ამ პროგრამის შედარება საერთაშორისო სტანდარტებსა და საუკეთესო პრაქტიკასთან მიმართებაში. შესწავლილ იქნეს პროგრამის განხორციელების ანგარიშები, მათ შორის – ინდივიდუალურ ბენეფიციარზე არსებული.
- ხარისხის უზრუნველყოფის გაწერილი მექანიზმები: შეფასდეს, არსებობს თუ არა პროგრამის მონიტორინგის გეგმა, რომელიც მოიცავს გარე ან შიდა მონიტორინგს, ან სუპერვიზიას. შემოწმდეს მონიტორინგის ანგარიშები.

კვლევამ ასევე უნდა გამოიყენოს თვისებრივი კვლევის მეთოდი, რომლის დროსაც ჩატარდება სთეიქჰოლდერთა გამოკითხვა. სასურველია, ასევე, ბენეფიციარების გამოკითხვა. გამოკითხვის მეთოდოლოგია დეტალურად არის აღწერილი თავში:

კვლევის მეთოდოლოგია: II: სთეიქჰოლდერების გამოკითხვა

### რესოციალიზაცია - რეაბილიტაცია

გაეროს მიერ გამოქვეყნებულია დოკუმენტი,<sup>20</sup> რომელიც განსაზღვრავს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმის შეფასების კრიტერიუმებს. მათ შორის ერთ-ერთი პროგრამული მიზანი ეხება არასრულწლოვანთა სოციალური ინტეგრაციის გაუმჯობესებას თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან გათავისუფლების შემდეგ. UNODC/UNICEF-ს მიერ მოწოდებული გლობალური ინდიკატორების ჩამონათვალი ითვალისწინებს 2 მნიშვნელოვან ინდიკატორს, რომელიც მიზნად ისახავს სპეციფიკურად რესოციალიზაციისა და რეინტეგრაციის თვალსაზრისით, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის შეფასებას.

<sup>20</sup> Criteria for the Design and Evaluation of Juvenile Justice Reform Programmes UNODC, Interagency Panel of Juvenile Justice. UN. NY, 2011

	ინდიკატორი	განმარტება
GI.8	მშობლებსა და ოჯახთან კონტაქტის შენარჩუნება	თავისუფლების აღკვეთის ადგილებში იმ არასრულწლოვანთა პროპორცია, რომლებიც ბოლო 3 თვის განმავლობაში ერთხელ მაინც მოინახულა მშობელმა/მეურვემ ან ოჯახის სხვა მოზრდილმა წევრმა.
GI.11	გათავისუფლების შემდგომი ზრუნვა	გათავისუფლებული არასრულწლოვნების წილი, რომლებიც იღებენ შემდგომი ზრუნვის სერვისებს.

ეს ინდიკატორები წარმოდგენილია წინამდებარე სახელმძღვანელოს სექციაში – არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების გლობალური ინდიკატორები“. გარდა ამ ორი მნიშვნელოვანი ინდიკატორისა, რესოციალიზაციისა და რეინტეგრაციაზე მიმართული პროგრამების შეფასებისათვის რეკომენდებულია ინდიკატორები, რომლებიც მოცემულია ქვემოთ (იხ. ცხრილი 24). ამ ინდიკატორთა ნაწილი შესაბამისობაშია UNODC-ის მიერ მოწოდებულ დამატებით ინდიკატორებთან<sup>21</sup>.

ცხრილი 24: პრევენცია, რესოციალიზაცია და რეინტეგრაცია: პროგრამების მოცვის ინდიკატორები

N	ინდიკატორის სახელი	ინდიკატორის განმარტება/კალკულაციის მეთოდი
AI.3.	თავისუფლების აღკვეთის ადგილებში მყოფი არასრულწლოვნების მოცვა ფსიქოლოგიური და სოციალური დახმარების სერვისებით	<p><b>მრიცხველი:</b> თავისუფლების აღკვეთის ადგილებში მყოფი არასრულწლოვნების რაოდენობა, რომლებმაც ბოლო ერთი წლის განმავლობაში მიიღეს ფსიქოლოგიური და სოციალური დახმარების სერვისები.</p> <p><b>მნიშვნელი:</b> თავისუფლების აღკვეთის ადგილებში მყოფი არასრულწლოვნების სრული რაოდენობა.</p> <p>(%)</p>

<sup>21</sup> Criteria for the Design and Evaluation of Juvenile Justice Reform Programmes UNODC, Interagency Panel of Juvenile Justice. UN. NY, 2011

<p><b>AI.4</b></p>	<p>არასრულწლოვნების პროცენტული წილი, რომლებიც იღებენ გათავისუფლების შემდგომ (სტრუქტურირებულ) ზრუნვის სერვისებს</p>	<p><b>მრიცხველი:</b> არასრულწლოვნების რაოდენობა, რომლებმაც გათავისუფლების შემდგომ ერთი წლის განმავლობაში მიიღეს შემდგომი ზრუნვის სერვისი.</p> <p><b>მნიშვნელი:</b> წლის განმავლობაში გათავისუფლებული არასრულწლოვნების მთლიანი რაოდენობა.</p> <p>(%)</p>
<p><b>AI.5</b></p>	<p>კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნების ოჯახის პროცენტული წილი, რომელთაც გაეწიათ საოჯახო/სათემო მხარდაჭერა</p>	<p><b>მრიცხველი:</b> კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნების რაოდენობა, რომელთაც 1 წლის განმავლობაში გაეწიათ საოჯახო/სათემო მხარდაჭერა.</p> <p><b>მნიშვნელი:</b> კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნების (ოჯახების) მთლიანი რაოდენობა.</p> <p>(%)</p>

ცხრილი 25: პრევენცია, რესოციალიზაცია და რეინტეგრაცია: რეინტეგრაციის გამოსავლის ინდიკატორები

N	ინდიკატორის სახელი	ინდიკატორის განმარტება/კალკულაციის მეთოდი
<p><b>AI.6</b></p>	<p>კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნების წილი, რომლებიც გათავისუფლების შემდეგ ბრუნდებიან სასწავლო დაწესებულებაში (სკოლაში), სადაც ბავშვი ამ შემთხვევამდე სწავლობდა</p>	<p><b>მრიცხველი:</b> კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნების რაოდენობა, რომლებიც სისტემის დატოვების შემდეგ 1 წლის განმავლობაში ბრუნდებიან სასწავლო დაწესებულებაში (სკოლაში), სადაც ამ შემთხვევამდე სწავლობდნენ.</p> <p><b>მნიშვნელი:</b> კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნების მთლიანი რაოდენობა 1 წლის განმავლობაში. (%)</p>

<p><b>AI.7</b></p>	<p>არასრულწლოვანთა პროცენტული წილი, რომლებმაც გაიარეს პროფესიული ტრენინგი და გათავისუფლების შემდეგ ჩაბმულები არიან ფორმალური განათლების დაწესებულებაში ან დასაქმდნენ</p>	<p><b>მრიცხველი:</b> არასრულწლოვანთა რაოდენობა, რომლებმაც გაიარეს პროფესიული ტრენინგი და გათავისუფლების შემდეგ ჩაბმულნი არიან ფორმალური განათლების დაწესებულებაში ან დასაქმდნენ.</p> <p><b>მნიშვნელი:</b> არასრულწლოვანთა მთლიანი რაოდენობა, რომლებმაც გაიარეს პროფესიული ტრენინგი.</p>
<p><b>AI.8</b></p>	<p>არასრულწლოვანთა რაოდენობა, რომლებიც სასჯელის დასრულებამდე ნაადრევად გაათავისუფლეს (უპირობოდ ან პირობით გათავისუფლება, ან ზედამხედველობით)</p>	<p><b>მრიცხველი:</b> მსჯავრდებულ არასრულწლოვანთა რაოდენობა, რომლებიც სასჯელის დასრულებამდე ნაადრევად გაათავისუფლდნენ 1 წლის განმავლობაში.</p> <p><b>მნიშვნელი:</b> წლის განმავლობაში მსჯავრდებულ არასრულწლოვანთა სრული რაოდენობა.</p>
<p><b>AI.9</b></p>	<p>რეციდივიზმის მაჩვენებელი არასრულწლოვანთა შორის, ვინც ვადამდე გათავისუფლდა თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან</p>	<p><b>მრიცხველი:</b> არასრულწლოვანთა რაოდენობა, რომლებმაც განმეორებითი დანაშაული ჩაიდინეს ვადამდელი გათავისუფლებიდან ერთ (ან 2) წელიწადში.</p> <p><b>მნიშვნელი:</b> არასრულწლოვანთა რაოდენობა, ვინც ვადამდე გათავისუფლდა 2 წლის (ან 3 წლის) უკან.</p> <p>(დროითი შუალედი იცვლება, რადგან ეს ინდიკატორი მოითხოვს, რომ 1 ან 2 წელი იყოს გასული ბავშვის ციხიდან გათავისუფლების ბოლო შემთხვევიდან).</p>
<p><b>AI.10</b></p>	<p>არასრულწლოვანთა პროცენტული წილი, რომლებიც ვადამდელი გათავისუფლებიდან 12 თვის განმავლობაში რეინტეგრირებულნი არიან საზოგადოებაში</p>	<p><b>მრიცხველი:</b> არასრულწლოვანთა რაოდენობა, რომლებიც ვადამდელი გათავისუფლებიდან 12 თვის განმავლობაში ჩაერთნენ ფორმალური განათლების სისტემაში და/ან დასაქმდნენ.</p> <p><b>მნიშვნელი:</b> არასრულწლოვანთა რაოდენობა, ვინც ვადამდე გათავისუფლდა 2 წლის წინ.</p>

		(დროითი შუალედი იცვლება, რადგან ეს ინდიკატორი მოითხოვს, რომ 12 თვე იყოს გასული ბავშვის ციხიდან გათავისუფლების ბოლო შემთხვევიდან).
AI.11	იმ არასრულწლოვანთა რაოდენობა/პროცენტი, რომლებმაც დაარღვიეს პირობითი გათავისუფლების წესები და დაბრუნდნენ ციხეში	<p><b>მრიცხველი:</b> არასრულწლოვანთა რაოდენობა, რომლებმაც დაარღვიეს პირობითი გათავისუფლების წესები და დაბრუნდნენ ციხეში 1 წლის განმავლობაში.</p> <p><b>მნიშვნელი:</b> არასრულწლოვანთა რაოდენობა, ვინც ვადამდე გათავისუფლდა 1 წლის განმავლობაში.</p> <p>რაოდენობის (მოსალოდნელი სიმცირის გამო, შეიძლება, გამოიყენოთ დიდი დროითი ინტერვალი – მაგ., 3 წელი).</p>

ცხრილი 26: პრევენცია, რესოციალიზაცია-რეინტეგრაცია: არასრულწლოვანთა რესოციალიზაცია: ბავშვზე მორგებული სერვისები

N	ინდიკატორის სახელი	ინდიკატორის განმარტება/კალკულაციის მეთოდი
AI.12	არასრულწლოვანთა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებების პროპორცია, სადაც არსებობს: ა) განათლების მიღების შესაძლებლობა; ბ) დასაქმების შესაძლებლობა; გ) პროფესიული განათლების მიღების შესაძლებლობა; დ) სპორტული მოედანი/დარბაზი და ე) ბიბლიოთეკა	<p><b>მრიცხველი:</b> არასრულწლოვანთა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებების რაოდენობა, სადაც არსებობს: ა) განათლების მიღების შესაძლებლობა; ბ) დასაქმების შესაძლებლობა; გ) პროფესიული განათლების მიღების შესაძლებლობა; დ) სპორტული მოედანი/დარბაზი და ე) ბიბლიოთეკა.</p> <p><b>მნიშვნელი:</b> არასრულწლოვანთა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებების საერთო რაოდენობა. მნიშვნელში უნდა ჩაითვალოს არა მარტო სპეციალიზებული, არამედ ნებისმიერი დაწესებულება, სადაც წლის განმავლობაში მოთავსებული იყო არასრულწლოვანი პატიმარი. ინდიკატორი არის დისაგრეგირებული ზემოთ მოცემული ცვლადების მიხედვით (სულ 5).</p>

AI.13	პოლიციის განყოფილებების რაოდენობა/პროცენტი, სადაც მოწყობილია ბავშვებისათვის კეთილგანწყობილი სპეციფიკური სივრცე/დაკითხვის ოთახი	<p><b>მრიცხველი:</b> პოლიციის განყოფილებების რაოდენობა, სადაც მოწყობილია ბავშვებისათვის კეთილგანწყობილი სპეციფიკური სივრცე/დაკითხვის ოთახი</p> <p><b>მნიშვნელი:</b> პოლიციის განყოფილებების სრული რაოდენობა</p>
AI.14	კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა წილი, ვინც მიიჩნევს, რომ არ ყოფილა ძალადობის/წნეხის ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ქვეშ მართლმსაჯულებაში მოხვედრისას, რომელიმე ეტაპზე	<p><b>მრიცხველი:</b> კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა რაოდენობა, ვინც მიიჩნევს, რომ არ ყოფილა ძალადობის/წნეხის ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ქვეშ მართლმსაჯულებაში მოხვედრისას, რომელიმე ეტაპზე (პოლიციასთან პირველი კონტაქტიდან მოყოლებული გათავისუფლების შემდგომი ზრუნვის პროგრამების ჩათვლით) (გამოითვლება წლიურად).</p> <p><b>მნიშვნელი:</b> კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა რაოდენობა (წლის განმავლობაში).</p> <p>ითვლება 2 მეთოდით: ა) კვლევა-გამოკითხვა; ბ) მართლმსაჯულების სისტემაში არასრულწლოვანთა მიერ ჩაბარებული საჩივრების ანალიზის გზით.</p>
AI.15	განრიდების პროგრამების სტანდარტული ოპერირების სახელმძღვანელოს ან გაიდლაინის არსებობა, რომელიც დამტკიცებულია	ეს ინდიკატორი რელევანტურია ნებისმიერი პროგრამის/ქვეპროგრამისათვის, რომელიც ხორციელდება განრიდების პროგრამის ფარგლებში. ეფუძნება მტკიცებულებას, რომ ინტერვენციების სტანდარტის/პროტოკოლის ან გაიდლაინის არსებობა წარმოადგენს ერთ-ერთ ინსტრუმენტს პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფისათვის.



ცხრილი 27: განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვებზე მორგებული სერვისები

N	ინდიკატორის სახელი	ინდიკატორის განმარტება/კალკულაციის მეთოდი
AI.16	ნარკოტიკთან დაკავშირებული დანაშაულის ჩამდენთა წილი, რომლებიც გადამისამართებულნი იყვნენ და ისარგებლეს სპეციალიზებული სერვისებით (პრევენციის და/ან მკურნალობის)	<p><b>მრიცხველი:</b> ნარკოტიკის მოხმარებასთან დაკავშირებული დანაშაულის ჩამდენი არასრულწლოვნების რაოდენობა, რომლებმაც გათავისუფლების შემდეგ 1 თვის განმავლობაში ისარგებლეს რეფერირებული სპეციალიზებული სერვისით.</p> <p><b>მნიშვნელი:</b> ნარკოტიკის მოხმარებასთან დაკავშირებული დანაშაულის ჩამდენი არასრულწლოვნების სრული რაოდენობა</p> <p>(მრიცხველისთვის უნდა მოხდეს ვერიფიკაცია პარტნიორი სერვისებიდან ინფორმაციის მოძიების გზით. სულ მცირე, ერთი ვიზიტი (კონსულტირება, ან ტესტირება) – მიიჩნევა სერვისის მოსარგებლედ).</p>
AI.17	ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე არასრულწლოვანთა წილი, რომლებიც გათავისუფლების/სისტემიდან გასვლის შემდეგ რეფერირებულნი იყვნენ და ჩაერთნენ სპეციალიზებულ სერვისებში	<p><b>მრიცხველი:</b> ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე არასრულწლოვნების რაოდენობა, რომლებმაც გათავისუფლების შემდეგ 1 თვის განმავლობაში ისარგებლეს რეფერირებული სპეციალიზებული სერვისით.</p> <p><b>მნიშვნელი:</b> ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე არასრულწლოვნების მთლიანი რაოდენობა.</p>

ცხრილი 28: არასრულწლოვნებზე ორიენტირებული მართლმსაჯულება

N	ინდიკატორის სახელი	ინდიკატორის განმარტება/კალკულაციის მეთოდი
AI.18	არასრულწლოვანთა პროპორცია, რომელთაც მიესაჯათ არასაპატიმრო განაჩენი (მაგ., პრობაცია) მსჯავრდებულ არასრულწლოვანთა საერთო რაოდენობიდან	<p><b>მრიცხველი:</b> არასრულწლოვანთა რაოდენობა, რომელთა მიმართ დადგინდა არასაპატიმრო განაჩენი 1 წლის განმავლობაში.</p> <p><b>მნიშვნელი:</b> მსჯავრდებულ არასრულწლოვანთა მთლიანი რაოდენობა (საპატიმრო + არასაპატიმრო) 1 წლის განმავლობაში.</p>
AI.19	შეწყალებულ არასრულწლოვან პატიმართა წილი ერთი წლის განმავლობაში არასრულწლოვან პატიმართა მთლიანი რაოდენობიდან	<p><b>მრიცხველი:</b> 1 წლის განმავლობაში შეწყალებული არასრულწლოვანი პატიმრების რაოდენობა.</p> <p><b>მნიშვნელი:</b> არასრულწლოვანი პატიმრების მთლიანი რაოდენობა 1 წლის განმავლობაში (მნიშვნელში ითვლება ყველა და არა მხოლოდ ის პატიმრები, რომლებიც საანგარიშო წლის ბოლოს რჩებიან თავისუფლების აღკვეთის ადგილას).</p>
AI.20	თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან ვადამდელი გათავისუფლების პროცენტული წილი, ერთი წლის განმავლობაში პატიმარ არასრულწლოვანთა მთლიანი რაოდენობიდან	<p><b>მრიცხველი:</b> 1 წლის განმავლობაში იმ არასრულწლოვანი პატიმრების რაოდენობა, რომლებიც ვადამდე გათავისუფლდნენ.</p> <p><b>მნიშვნელი:</b> არასრულწლოვანი პატიმრების მთლიანი რაოდენობა 1 წლის განმავლობაში (მნიშვნელში ითვლება ყველა და არა მხოლოდ ის პატიმრები, რომლებიც საანგარიშო წლის ბოლოს რჩებიან თავისუფლების აღკვეთის ადგილას).</p>

**რესოციალიზაციის პოლიტიკის ინდიკატორები**

UNODC/OSCE (2006)<sup>22</sup> მიერ გამოქვეყნებულია საპატიმრო და არასაპატიმრო ღონისძიებების, მათ შორის, სოციალური ინტეგრაციის შეფასების დამხმარე ინსტრუმენტი. ინსტრუმენტი გვთავაზობს მნიშვნელოვან ინდიკატორებს, რომელთა გამოყენება საქართველოშიც რეკომენდებულია.

ერთ-ერთი არის პოლიტიკის შეფასების კვლევა, რომელიც უნდა ჩატარდეს სხვადასხვა მიზნობრივ ჯგუფში (აღწერილია ქვემოთ). კვლევისთვის საჭიროა, შემუშავდეს გამოკითხვის ინსტრუმენტი, რომელიც რეკომენდებულია, მოიცავდეს, სულ მცირე, შემდეგი ტიპის კითხვებს (კითხვები საორიენტაციოა და არა ამომწურავი):

ცხრილი 29: საორიენტაციო კითხვები პოლიტიკის ინდიკატორისათვის

#	შესაძლო კითხვები ფოკუსური ჯგუფის დისკუსიისათვის
1	კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნების სოციალური რეინტეგრაციისთვის რა ღონისძიებები არის გათვალისწინებული კანონმდებლობით?
2	საქართველოს კანონმდებლობა ახალისებს არასაპატიმრო სახდელის/ალტერნატიული ღონისძიების გამოყენებას?
3	არსებობს დადგენილი დროითი ჩარჩო, რომელიც პატიმარმა უნდა გაატაროს თავისუფლების აღკვეთის ადგილას, სანამ შესაძლებელი გახდება მისი ვადამდელი გათავისუფლება? ეს არის სპეციფიკური დროის ინტერვალი თუ საპატიმრო სასჯელის პროცენტული წილი?
4	რამდენად ახალისებს არსებული კანონმდებლობა აღდგენითი მართლმსაჯულების ღონისძიების გამოყენებას და რამდენად ხშირად გამოიყენებენ ამ ღონისძიებას პრაქტიკაში, რელევანტური ქეისების დროს?
5	როგორ შეფასებდით არასრულწლოვანთა დაწესებულებებში შემდეგი შესაძლებლობის ხელშეწყობას ან ინფრასტრუქტურის არსებობა/ფუნქციონირებას: ა) განათლების მიღების შესაძლებლობა; ბ) დასაქმების შესაძლებლობა; გ) პროფესიული განათლების მიღების შესაძლებლობა; დ) სპორტულ აქტივობებში ჩართვის/სპორტული მოედნის/დარბაზის არსებობა და ე) ბიბლიოთეკა და მისით სარგებლობის წახალისება?

<sup>22</sup> Custodial and non-custodial Measures – Social Integration. Criminal Justice assessment tool kit. OSCE Belgium 2006

6	ქვეყანაში არსებობს კანონმდებლობა, რომელიც ზღუდავს ნასამართლევ პირის უფლებებს, დასაქმების თვალსაზრისით. თუ შეზღუდვა არ არსებობს, რამდენად შესაბამისობაშია ქვეყანაში არსებული პრაქტიკა: საჯარო სექტორში vs არასამთავრობო სექტორში vs კერძო ბიზნესში?
7	როგორ დაახასიათებდით გათავისუფლების წინა ან გათავისუფლების შემდგომი სოციალური რეინტეგრაციისა და რეაბილიტაციის არსებულ სერვისებს?
8	როგორ არეგულირებს კანონმდებლობა უცხოელი არასრულწლოვნების მართლმსაჯულებას, მათ შორის, მშობლიურ ქვეყანაში გადაყვანის სერვისს?
9	რა რეგულაციები/ოპერაციული სახელმძღვანელო არსებობს, რომელიც მიმართულია მართლმსაჯულების სისტემის კოორდინაციისთვის სხვა სისტემებთან სამოქალაქო სისტემაში (განათლება, ჯანდაცვა, სოციალური კეთილდღეობა, არასამთავრობო სექტორი და სხვ.)?

**კვლევის მეთოდოლოგია:**

**I: არსებული ლიტერატურის სამაგიდო მიმოხილვა**

პოლიტიკის შეფასების კვლევისათვის საჭიროა შერეული მეთოდოლოგიის გამოყენება. პირველი მეთოდი არსებული ლიტერატურის სამაგიდო მიმოხილვა. მონაცემების ვერიფიკაციის წყაროები მითითებული უნდა იყოს თითოეულ საკვლევ თემაზე სისტემის შეფასებისას.

**II: სთეიქჰოლდერების გამოკითხვა**

თუმცა ზოგჯერ დოკუმენტაცია ან არსებული კანონმდებლობა/პროგრამების აღწერა სრულად არ შეესაბამება რეალურად არსებულ პრაქტიკას. ამიტომ აუცილებელია დაინტერესებული მხარეების გამოკითხვა.

გამოკითხვა უნდა მოეწყოს სხვადასხვა სამიზნე ჯგუფში და მონაცემები უნდა განალიზდეს რესპონდენტთა თითოეული კატეგორიის მიხედვით. ასეთი მიდგომა საშუალებას მოგვცემს, სთეიქჰოლდერთა მიერ სისტემის აღქმა შეფასდეს სხვადასხვა დონეზე. არსებობს დაშვება, რომ სამთავრობო და არასამთავრობო სექტორის მხრიდან განსხვავებულად იქნეს აღქმული სისტემის რეფორმის შედეგები.

გამოკითხვაში მონაწილე სამიზნე ჯგუფები

1. კანონმდებლები/პოლიტიკის შემქმნელები (პარლამენტის წევრები, პროკურატურის თანამშრომლები, სასამართლოს ოფიციალური პირები);
2. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სერვისების მიმწოდებლები (მათ შორის, ციხის, სოციალური სერვისების, პრობაციის სამსახურის თანამშრომლები, სოციალური მუშაკები);
3. არასამთავრობო ორგანიზაციები (საკვანძო (key) ინფორმანტები), რომლებიც მუშაობენ არასრულწლოვნებთან ან ადამიანის უფლებებზე;
4. სახალხო დამცველის ოფისის წარმომადგენლები (თავისი მისიიდან გამომდინარე, ეს უკანასკნელი ჯგუფი შეიძლება, გაანალიზდეს სამოქალაქო საზოგადოების მონაცემებთან ერთად).

გამოკითხვა უნდა იყოს კონფიდენციალური, რომ გულწრფელი პასუხების შესაძლებლობა გაიზარდოს. თუ არსებობს ამბიცია და რესურსი, რომ გამოკითხვა იყოს რაოდენობრივი და მონაცემთა ანალიზი სტატისტიკურად სარწმუნო, მაშინ სტატისტიკოსმა უნდა განსაზღვროს შერჩევის ზომა ზემოთ ჩამოთვლილი სამიზნე ჯგუფებისთვის.

თუმცა შეზღუდული რესურსების შემთხვევაში პოლიტიკის შეფასების კვლევა შესაძლოა, იყოს თვისებრივი და მიზნად ისახავს ინფორმირებას სისტემაში არსებული ხარვეზების დეტექციისათვის.

ასეთი ტიპის კვლევისათვის შესაძლოა მოეწყოს/შედგეს ფოკუსური ჯგუფები ზემოთ ჩამოთვლილი სხვადასხვა კატეგორიის რესპონდენტთა ჯგუფებში ცალ-ცალკე.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ, თუ ასეთი ტიპის გამოკითხვა დაიგეგმება, გამოკითხვის ინსტრუმენტი ასევე უნდა მოიცავდეს შეკითხვებს, რომლებიც გლობალურ ინდიკატორებთან GI.12; GI.13; GI.14 და GI.15) დაკავშირებულ კითხვებსაც გასცემს პასუხს.

**დაფინანსების ინდიკატორები რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის მიმართულების შეფასებისათვის**

პოლიტიკის შეფასებისას ასევე რეკომენდებულია რესოციალიზაციასა და რეაბილიტაციაზე მიმართული სერვისების ბიუჯეტების შესწავლა, რაც შესაძლოა, ინდიკატორული იყოს იმის შესაფასებლად, რამდენად პრიორიტეტულად აღიარებს სისტემა ამ მიმართულებას. საამისოდ შესაძლოა, შემდეგი ტიპის ინდიკატორების გამოთვლა:

ცხრილი 30: ფინანსური ინდიკატორები: რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის შეფასებისათვის

#	ინდიკატორი დასახელება
1	რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის ცალკე გამოყოფილი საბიუჯეტო ხაზის არსებობა.
2	რესოციალიზაცია-რეაბილიტაციისთვის დაფინანსების ტენდენცია წლების განმავლობაში (აბსოლუტური რიცხვის გარდა, გამოთვალეთ წლიური ბიუჯეტის თანაფარდობა ერთ არასრულწლოვანთან მიმართებაში).
3	ბიუჯეტირებისა და ფაქტობრივი დანახარჯის თანაფარდობა (%).
4	რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის სერვისებისათვის დონორული დაფინანსების მოცულობა.
5	მდგრადობის შეფასება: სახელმწიფო დაფინანსების წილი რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის მიმართულებაზე საერთო დანახარჯებიდან.

**ადამიანური რესურსი: პროფესიული კომპეტენციებისა და კვალიფიკაციის კრიტერიუმები და მათი მონიტორინგი**

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში ჩართული სპეციალისტების სამუშაო მგრძობიარეა, რადგანაც მათ აქვთ პირდაპირი კონტაქტი და გავლენა ბავშვების მომავალზე. ამის გამო, სისტემის ერთ-ერთი მოთხოვნაა, სპეციალისტებისთვის განისაზღვროს პროფესიული კომპეტენცია, განისაზღვროს უნარ-ჩვევების ჩამონათვალი, რომელსაც უნდა ფლობდეს ჩართული სპეციალისტი და სისტემაში დასაქმებისათვის ახალი პოზიციების შევსებისას უზრუნველყოფილი იქნეს მკაფიოდ გაწერილი პროცედურების დაცვა.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმის ეროვნულ სამუშაო გეგმაში გამოყოფილია რამდენიმე მიზანი, რომელიც მიმართულია ადამიანური რესურსების გაძლიერებაზე. მაგალითად (რესოციალიზაცია-რეინტეგრაციის მიმართულების მიზანი 2):

- ამოცანა 2.3 სასჯელის აღსრულებისა და გათავისუფლების შემდგომი ზრუნვის პროცესში შესაბამისი კვალიფიკაციის პერსონალის ჩართვა;
- ამოცანა 2.4 სარეაბილიტაციო პროგრამების მიწოდებისთვის პერსონალის გადამზადება.

ადამიანურ რესურსებზე მიმართული ამ ამოცანების შესრულების შესაფასებლად რამდენიმე ინდიკატორია რეკომენდებული. მათი ნაწილი უკვე ასახულია სამოქმედო გეგმაში, თუმცა არ არის ახსნილი, როგორ უნდა შეფასდეს შესრულების ინდიკატორები:

**ინდიკატორი:** თანამშრომელი შესაბამის პოზიციაზე ინიშნება დამტკიცებული საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და სამუშაო აღწერილობების შესაბამისად,

**გაზომვის მეთოდი:** ინდიკატორის შესრულების პირდაპირი ვერიფიკაციის წყაროს წარმოადგენს გაწერილი საკვალიფიკაციო მოთხოვნები და სამუშაო აღწერილობები, თუმცა ყურადღება უნდა მიექცეს საკვალიფიკაციო მოთხოვნების შემუშავების პროცესს. უნდა არსებობდეს ე.წ. ჩამონათვალი 'check list', რომელიც, სულ მცირე, აფასებს შემდეგ ასპექტებს:

ცხრილი 31: კვალიფიციური კადრის უზრუნველყოფა. ინდიკატორების გაზომვის გზები

<b>საკვალიფიკაციო მოთხოვნები ეფუძნება მტკიცებულებებს</b>	ეფუძნება მტკიცებულებებსა და საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკას; გამოყენებულია სანდო რესურსები (რეფერენსები), რომელიც დოკუმენტირებულია.
<b>პროცესი იყო მონაწილეობითი</b>	პროცესის აღწერილობა; ჩართულ ექსპერტთა რაოდენობა/დისაგრეგაცია პროფესიების მიხედვით.
<b>საბოლოო დოკუმენტის ვალიდაცია</b>	საბოლოო ვერსია იყო წარდგენილი დაინტერესებულ მხარეებთან ან გაზიარდა ელექტრონულად, უკუკავშირის მისაღებად.
<b>ინსტიტუციონალიზაციის ხელშეწყობა</b>	არსებობს დამტკიცების დოკუმენტი; მაგ., მინისტრის ბრძანება ან სხვა დადგენილება, რომელიც ან ავალდებულებს, ან რეკომენდაციას უწევს საკვალიფიკაციო მოთხოვნების სტანდარტიზაციას ყველა რელევანტურ დონეზე.
<b>ვაკანსიის გამოცხადება</b>	პოზიციების შევსების/ახალი თანამშრომლების ასაყვანად გამოცხადებულია კონკურსი და განაცხადში ასახულია საკვალიფიკაციო მოთხოვნები
<b>შერჩევის სამართლიანობა</b>	ვაკანსიის საპასუხოდ მიღებული აპლიკაციების სტანდარტული შეფასების ფორმის (ქულებრივი სისტემის) არსებობა/გამოყენება.  ინდიკატორი: დროის განსაზღვრულ პერიოდში ვაკანსიების შევსების ეპიზოდების პროცენტული წილი, სადაც ყველა აპლიკანტი შეფასებულია სტანდარტული ფორმის მიხედვით (დისაგრეგაცია უწყებების/პროგრამების მიხედვით).
<b>შერჩევის სამართლიანობა</b>	შერჩეული თანამშრომლების პერსონალური ფაილი ადასტურებს, რომ იგი აკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

	ინდიკატორი: წლის განმავლობაში ახლად შერჩეული თანამშრომლების პროცენტული წილი, რომელიც აკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.  თუ ახალი თანამშრომლების რაოდენობა დიდი არაა და არსებობს რესურსი, შესაძლოა, ყველა ფაილის გადახედვა, თუმცა, თუ რაოდენობრივად ბევრია, რეკომენდებულია პერსონალური ფაილის სისტემური, რანდომული შერჩევა (მაგ., ყოველი მე-3 ან ყოველი მე-11 და ა.შ.). (დისაგრეგაცია უწყებების/პროგრამების მიხედვით).
<b>სამუშაოს აღწერილობა</b>	წლის განმავლობაში გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებების წილი, სადაც სამუშაოს აღწერილობა ეფუძნება საკვალიფიკაციო მოთხოვნებს (დისაგრეგაცია უწყებების/პროგრამების მიხედვით).

სამოქმედო გეგმაში ადამიანური რესურსების გაუმჯობესებაზეა ორიენტირებული ერთ-ერთი შედეგი 2.6: *მომსახურების ხარისხის გაზრდა. პროფესიული გადაწყვეტილების თავიდან აცილება* (მიმართულება I. სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროში რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია). ამ კონკრეტულ ფორმულირებაში გაერთიანებულია 2 კონკრეტული შედეგი, რომლებიც შინაარსით იდენტური არაა და მონიტორინგისათვის განსხვავებულ ინდიკატორებს მოითხოვს.

*მომსახურების ხარისხის გაზრდა* მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული და ამის შესაფასებლად კომპლექსური მეთოდოლოგიური მიდგომაა საჭირო. ქვემოთ მოწოდებულია მხოლოდ არასრული ჩამონათვალი იმ კვლევებისა, რომლებიც შეიძლება გამოიყენონ მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების შესაფასებლად:

- დაკვირვებითი (ე.წ. ობზერვაციული) კვლევა, როდესაც ა) შემფასებელი-მონიტორი პირდაპირ აკვირდება სერვისის მიწოდებას; ბ) პროფესიონალების ზედამხედველობის (surveillance) სისტემებით ხდება მომსახურებაზე დაკვირვება; გ) საიდუმლო (Mystery client) კლიენტის გამოყენება და სხვ;
- სთეიქჰოლდერთა გამოკითხვა (რაოდენობრივი ან/და თვისებრივი, რომელიც იყენებს საკვანძო ინფორმანტებთან ჩაღრმავებულ ინტერვიუებს ან ფოკუსურ ჯგუფებში დისკუსიას);
- ბენეფიციართა გამოკითხვა (აუცილებელია ბიოეთიკის კომისიის დასკვნა);
- აღწერილობითი, სადაც ფასდება მომსახურების მიწოდების გარემო: სივრცე, მოხერხებულობა/კომფორტულობა, პრივატულობა, სამუშაო საათები, სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმები და სხვ.

უნდა აღინიშნოს, რომ თუ არსებობს სპეციფიკური ინტერესი, მომსახურების ხარისხის **გაზრდის** შესაფასებლად, მაშინ უნდა არსებობდეს გარკვეული საბაზისო მონაცემები, რომ დააკვირდეთ ზრდის ტენდენციებს. ან გამოკითხვის ინსტრუმენტებში კითხვა უნდა იყოს ფორმულირებული ისე, რომ რესპონდენტი აფასებდეს არა მარტო მომსახურების ხარისხს (მაგ., ლიკერტის სკალაზე: ძალიან ცუდი (1), ცუდი (2), საშუალო (3), კარგი (4), ძალიან კარგი (5)), არამედ მომსახურების ხარისხის ზრდას. ამ მიზნით კითხვა შესაძლოა, შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს:

- ფიქრობთ თუ არა, რომ მომსახურების ხარისხი 2018 წელს გაიზარდა, 2017 წელთან შედარებით. ეცადეთ, განსაზღვროთ დროითი შუალედი, რადგან ასეთი საზომი ისედაც სუბიექტურ აღქმას ეფუძნება და სასურველია, სადაც შესაძლებელია, კონკრეტულ პერიოდთან შედარება.

**პროფესიული გადაწვის ფაქტორების თავიდან აცილება** სამოქმედო გეგმაში მოწოდებული ერთ-ერთი შედეგია, თუმცა სტრატეგიაში არაფერია ნახსენები, რა ინტერვენციებით უნდა მოხდეს ამ ფაქტორების თავიდან აცილება ან როგორ უნდა შეფასდეს (გაიზომოს). ეს შედეგი გაზომვადი რომ გახდეს, სერიული ინტერვენციები უნდა იყოს დაგეგმილი სხვადასხვა ეტაპზე:

- საწყის ეტაპზე უნდა შეფასდეს პროფესიული გადაწვის სკალა, შერჩეული პროფესიების მიხედვით. ამისათვის არსებობს რამდენიმე საინტერესო რესურსი, რომელიც გვთავაზობს ისეთ ინსტრუმენტებს, რომელთა ვალიდაცია კვლევებით არის დადასტურებული (Oldenburg Inventory; Copenhagen Burnout Inventory; Maslach Burnout Inventory – Human Services Survey for Medical Personnel; Stanford Professional Fulfillment Index, და სხვ.)<sup>23</sup>. ეს ინსტრუმენტები ზომავს თანამშრომელთა კმაყოფილებას და პროფესიულ გადაწვას. ასეთი ინსტრუმენტები უნდა დაედოს საფუძვლად ადგილობრივად კვლევების ჩატარებას.
- მხოლოდ კვლევებზე დაყრდნობით უნდა მოხდეს იმ ფაქტორების იდენტიფიცირება, რომელიც განაპირობებს პროფესიულ გადაწვას. ამ ფაქტორების ინვენტარიზაცია არის აუცილებელი პირობა, რომ დაიგეგმოს შესაბამისი აქტივობები – ფაქტორების შემცირების ან უვნებელყოფის/რეაგირების მექანიზმები.
- ასეთი მექანიზმების დეტალური აღწერილობისა და სამოქმედო გეგმის შესაბამისად იქნება მხოლოდ შესაძლებელი SMART ინდიკატორების შემუშავება.

<sup>23</sup> <https://nam.edu/valid-reliable-survey-instruments-measure-burnout-well-work-related-dimensions/>

**პროფესიული გადაწვა/ტრენინგების შეფასების ინდიკატორები**

ადამიანური რესურსის პროფესიული გადაწვებისათვის არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმის 2018 – 2022 წლების სამოქმედო გეგმაში ძირითადად მოცემულია პროცესის ინდიკატორები, როგორცაა: ა) ჩატარებული ტრენინგების რაოდენობა; ბ) ტრენინგში მონაწილეთა რაოდენობა. ასეთი ინდიკატორები ინფორმაციულია და აუცილებელიც კი შესაბამისი აქტივობების დასაგეგმად და ბიუჯეტში ასახვისთვის, მაგრამ ნაკლებად არის ორიენტირებული შედეგის/გამოსავლის გაზომვაზე.

ყველა იმ აქტივობის შესაფასებლად, რომელიც ითვალისწინებს თანამშრომელთა ან თავად არასრულწლოვანთა ტრენინგებს/პროფესიულ გადაწვადებას, აუცილებელია შედეგზე ორიენტირებული ინდიკატორების გამოყენება. აღნიშნული, როგორც ნიმუში, მოცემულია ქვემოთ (იხ. ცხრილი 32: ტრენინგები/პროფესიული გადაწვადება: გამოსავლის ინდიკატორი). ასეთი ინდიკატორები ზომავს, რამდენად მნიშვნელოვანია აქტივობის მასშტაბი და რეგულარულობა, რომ სასურველი გავლენა მოახდინოს ადამიანური რესურსის ფუნქციონირების გაუმჯობესებაზე.

ცხრილი 32: ტრენინგები/პროფესიული გადაწვადება: გამოსავლის ინდიკატორი (ა)

რეკომენდებული ინდიკატორი	
ინდიკატორის დასახელება	იმ პოლიციელთა პროცენტული წილი პოლიციელთა საერთო რაოდენობიდან, რომლებმაც გასული წლის (12 თვის განმავლობაში) გაიარეს ტრენინგი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხებზე.
კალკულაციის მეთოდი	<b>მრიცხველი:</b> პოლიციელთა რაოდენობა, რომლებმაც გასული წლის განმავლობაში გაიარეს ტრენინგი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხებზე. <b>მნიშვნელი:</b> ყველა პოლიციელი, რომელთაც შესაძლოა, შეხება ჰქონდეთ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებასთან
დისაგრეგაცია	ინდიკატორის დისაგრეგაცია შესაძლოა მოხდეს: პოლიციელების სქესის მიხედვით; დასაქმების გეოგრაფიული ადგილმდებარეობის მიხედვით; პოლიციის განყოფილებების მიხედვით.
პერიოდულობა	ყოველწლიურად (იხ. განმარტება ქვემოთ).
პასუხისმგებელი პირი	შსს

ტრენინგებთან დაკავშირებული პროცესის ინდიკატორები უმეტეს შემთხვევაში ყოველწლიურად გაანგარიშდება, თუმცა, თუ დადგინდა უწყვეტი განათლებისთვის გარკვეული დროითი ჩარჩო – მაგ., არსებობს რეკომენდაცია ან სერტიფიცირების წესი, რომ გარკვეული ტიპის პროფესიებს გადამზადების დამადასტურებელი სერტიფიკატი მოეთხოვებათ ყოველ 5 წელიწადში, მაშინ აუცილებელი ხდება ინდიკატორის მოდიფიცირება და იგი შესაძლოა, შემდეგნაირად იყოს ფორმულირებული:

ცხრილი 33: ტრენინგები/პროფესიული გადამზადება: გამოსავლის ინდიკატორი (ბ)

რეკომენდებული ინდიკატორი	
ინდიკატორის დასახელება	იმ პოლიციელთა პროცენტული წილი პოლიციელთა საერთო რაოდენობიდან, რომლებმაც ბოლო 5 წლის განმავლობაში გაიარეს სასერტიფიკაციო მომზადების სრული კურსი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხებზე.
კალკულაციის მეთოდი	<b>მრიცხველი:</b> პოლიციელთა რაოდენობა, რომლებმაც ბოლო 5 წლის განმავლობაში გაიარეს სასერტიფიკაციო მომზადების სრული კურსი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხებზე.  <b>მნიშვნელი:</b> ყველა პოლიციელი, რომელთაც შესაძლოა, შეხება ჰქონდეთ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებასთან.

პერიოდულობა შესაძლოა, შეიცვალოს, თუ უწყება გარკვეული პერიოდულობით გეგმავს ტრენინგის მოდულის განახლებას. ასეთ შემთხვევაში სასურველია, გამოითვალოს განახლებული მოდულით გადამზადებულთა წილი.

ასევე, მნიშვნელოვანია, ინდიკატორი აფასებდეს, რამდენად სრულფასოვანი იყო საგანმანათლებლო კურსში მონაწილეობა. მაგალითად, თუ განსაზღვრულია, რომ პოლიციელის ტრენინგის სრული კურსი მოიცავს 5 მოდულს, მაშინ ინდიკატორში უნდა გამოითვალოს იმ პოლიციელთა წილი, ვინც გაიარა ყველა სასწავლო მოდული.

ტრენინგთან დაკავშირებული ინდიკატორი ასევე შეიძლება, ითვლიდეს ცოდნის გაუმჯობესების მაჩვენებელს, რომელიც ტრენინგის გამოსავლის (ე.წ. OUTCOME) ინდიკატორია.

ცხრილი 34: ცოდნის გაუმჯობესების ინდიკატორი

რეკომენდებული ინდიკატორი	
ინდიკატორის დასახელება	ტრენინგში მონაწილეთა ცოდნის ცვლილება (%).
კალკულაციის მეთოდი	ტრენინგის შემდგომი ტესტირების ქულა შეფარდებული ტრენინგის წინა ტესტირების ქულაზე X 100.
დისაგრეგაცია	სქესისა და ასაკის მიხედვით; დასაქმების გეოგრაფიული ადგილმდებარეობის მიხედვით; პოლიციის განყოფილებების მიხედვით.

სტანდარტულად, ტრენინგებთან დაკავშირებული აქტივობების შეფასებისას, გარდა პრეტესტისა და პოსტტესტისა, გამოყენებული უნდა იყოს ტრენინგების შეფასების ფორმა.

ტრენინგების შეფასების ფორმა შედგება რამდენიმე თემატური სექციისგან:

- **ტრენინგის სასწავლო მიზნების რეალიზება** – რამდენად შეესაბამებოდა სასწავლო პროგრამა დეკლარირებულ ამოცანებს; მონაწილემ შეისწავლა საკითხები, რომელიც მის საჭიროებაზე იყო მორგებული; მიიღო სასარგებლო ცოდნა.
- **ინსტრუქტორის შეფასება** – ტრენინგის ცოდნა; კარგად მომზადებული და ორგანიზებული; გადმოცემისა და კომუნიკაციის უნარი; პრეზენტაციების ხარისხი; სასწავლო მასალა.
- **ტრენინგის დიზაინისა და ადმინისტრაციული საკითხები** – ტრენინგისთვის გამოყოფილი დრო, ჯგუფის ზომა, ტრენინგის ადგილმდებარეობა, აპარატურა და სხვ.
- **ტრენინგის შეფასება** – ზოგადი კმაყოფილება; ინტერაქტიული; წახალისებული იყო დისკუსია; რეკომენდაციას მისცემდა სხვას ამ კურსის გასაგრძელებლად.

ფორმაში ასევე შესაძლებელია, იყოს ღია კითხვები:

- რა მოგეწონათ ტრენინგის დროს ყველაზე მეტად?
- რა არ მოგეწონათ ყველაზე მეტად?
- რას შეცვლიდით?

თუ საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგს და შეფასებას აკეთებთ, რაოდენობრივი ინდიკატორების (ტრენინგების რაოდენობა; მონაწილეთა რაოდენობა, და სხვ.) გარდა უნდა მოხდეს ტრენინგების თვისებრივი შეფასება. ეს შესაძლებელია ტრენინგთან დაკავშირებული დოკუმენტების რევიზიის გზით:

- ტრენინგის დღის წესრიგი/მოდული;
- დასწრების ფურცელი;

- ცოდნის შეფასების პრე და პოსტტესტი (ცოდნის გაზრდა %);
- ტრენინგის შეფასების ფორმა (მონაწილეთა %, ვინც შეავსო ფორმა);
- ტრენინგის ორგანიზატორების მიერ მომზადებული ტრენინგის ანგარიში, რომელიც ასევე ანალიზებს შეფასების ფორმებს და იქ მოწოდებულ შენიშვნებსა და რეკომენდაციებს.

**რეკომენდებული დამატებითი კვლევები:**

**ქუჩაში მცხოვრები/მომუშავე ბავშვების პოპულაციის ზომისა და საჭიროებების კვლევა**

მიუსაფარი ბავშვები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებისა და სპეციფიკურად პრევენციული მიმართულებისთვის ერთ-ერთი პრიორიტეტული სამიზნე ჯგუფია. ეროვნული ინდიკატორი NI.8 გვთავაზობს მიუსაფარი ბავშვების რაოდენობრივი მონაცემების ანალიზს, თუმცა მნიშვნელოვანია, მდშ-ის სისტემამ შეძლოს იმის შეფასება, თუ რამდენად მასშტაბურია განხორციელებული სერვისები და მიუსაფარ ბავშვთა მთლიანი მოსახლეობის რა წილს სწვდება სისტემა მათზე ორიენტირებული სერვისებით. ამისათვის მნიშვნელოვანია, ქუჩაში მცხოვრებ და მომუშავე ბავშვთა პოპულაციის სავარაუდო რაოდენობის (პოპულაციის ზომის) კვლევა. კვლევა დაადგენს ამ ბავშვთა სავარაუდო რაოდენობას, რომელთან შეფარდებითაც უნდა გამოითვალოს სერვისებით მოცვის მაჩვენებელი.

ცხრილი 35: მიუსაფარ ბავშვებზე ორიენტირებული ინდიკატორები

#	ინდიკატორის დასახელება	კალკულაციის მეთოდი
AI.21	მიუსაფარ პროცენტული რომლებიც კონფლიქტში იმყოფებიან	<p><b>მრიცხველი:</b> კანონთან კონფლიქტში მყოფ მიუსაფარ ბავშვთა რაოდენობა 12 თვის განმავლობაში.</p> <p><b>მნიშვნელი:</b> მიუსაფარ ბავშვთა პოპულაციის სავარაუდო ზომა.</p> <p>ოპერაციული განმარტება: „კანონთან კონფლიქტში მყოფ“ ბავშვში იგულისხმება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის, მე-3 მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული პირი<sup>24</sup>.</p>

<sup>24</sup> არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ინდიკატორები და მათი განმარტებები. UNICEF. გამოუქვეყნებელი.

AI.22	მიუსაფარ ბავშვთა მოცვა მათ საჭიროებებზე მორგებული სერვისებით	<p><b>მრიცხველი:</b> მიუსაფარი ბავშვების რაოდენობა, რომლებიც 1 წლის განმავლობაში კონტაქტში იყვნენ მათზე მორგებულ სერვისებთან.</p> <p><b>მნიშვნელი:</b> მიუსაფარ ბავშვთა პოპულაციის სავარაუდო ზომა.</p> <p>(ინდიკატორის პასპორტში საჭირო იქნება, განისაზღვროს, რომელი სერვისები მიიჩნევა მიუსაფარ ბავშვთა საჭიროებებზე მორგებულად: მაგ., ინკლუზიურობა; განათლების ხელშეწყობა, ფსიქოსოციალური დახმარება; ოჯახების ფინანსურ გაძლიერებაზე მიმართული ინტერვენციები და სხვ.).</p>
-------	--	---

კვლევა მნიშვნელოვანი მონაცემების შეგროვების შესაძლებლობას იძლევა. მაგ., უნდა შევისწავლოთ ქუჩაში მცხოვრებ ბავშვებში სარისკო ქცევის პრევალენტობა (თამბაქო, ნარკოტიკი, აზარტული თამაშები და სხვ.). ამ მიზნით, კვლევის ინსტრუმენტით გათვალისწინებული იქნება ყველა ის ცვლადი, რომელიც საინტერესოა სარისკო ქცევების თვალსაზრისით. კვლევას აქვს პოტენციალი, გამოთვალოს მრავალი ინდიკატორი, რომელთა კონსტრუქცია ერთი და იმავე პრინციპით აეწყობა. ქვემოთ მოცემულია SMART ინდიკატორის ერთი ნიმუში.

საკვლევი ინდიკატორი	საკითხი	–	კალკულაციის მეთოდი
ქუჩაში შორის მოხმარების პრევალენტობა	მომუშავე ბავშვთა ნარკოტიკის		<p><b>მრიცხველი:</b> ქუჩაში მომუშავე ბავშვების რაოდენობა, რომლებიც გამოკითხვისას აღნიშნავენ, რომ: ა) ოდესმე მოუხმარია ნარკოტიკი; ბ) მოიხმარა ბოლო ერთი წლის განმავლობაში; გ) მოიხმარა ბოლო ერთი თვის განმავლობაში.</p> <p><b>მნიშვნელი:</b> კვლევაში მონაწილე ყველა ბავშვი.</p>

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმის 2018 – 2022 წლების სამოქმედო გეგმის მიხედვით ხორციელდება გარკვეული ინტერვენციები, რომლებიც ორიენტირებულია მიუსაფარ ბავშვებზე. თუმცა აქტივობების ეფექტიანობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული იმ სანდო მონაცემების არსებობაზე, ინფორმაციით უნდა უზრუნველყოს

პრევენციული პროგრამები დაგეგმვის ეტაპზე. ცნობილია, რომ შეუძლებელია, დაიგეგმოს ეფექტიანი ღონისძიება, თუ შესწავლილი არაა პრობლემის თავისებურებები და გავრცელების მასშტაბი. ეს კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს მსგავსი კვლევების პერიოდულად წარმოების აუცილებლობას.

### მიუსაფარ ბავშვებთან დაკავშირებული სახელმწიფო პოლიტიკის შეფასების კვლევა

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის შეფასებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სახელმწიფოს დამოკიდებულების შესწავლას მიუსაფარი ბავშვების მიმართ. შესაძლებელია, ჩატარდეს მიუსაფარ ბავშვებთან დაკავშირებული სახელმწიფო პოლიტიკის შეფასების კვლევა. საკვლევი კითხვების მცირე ნაწილი მოცემულია ქვემოთ:

- მიუსაფარ ბავშვებზე ორიენტირებული სახელმწიფო პოლიტიკის/სტრატეგიული ხედვის არსებობა;
- ჯგუფის საჭიროებებზე მორგებული სერვისების დანერგვის ხელშეწყობა;
- საკითხის პრიორიტეტიზაცია – სახელმწიფომ იცის პრობლემის მასშტაბურობა; იცის მიუსაფარ ბავშვთა პოპულაციის ზომა; სწავლობს ამ ჯგუფში სარისკო ქცევების გავრცელებას (ალკოჰოლი, თამბაქო, ნარკოტიკი, გემბლინგი, სქესობრივი ქცევა, თვითდაზიანება, კანონთან კონფლიქტი, ანტისოციალური ქცევა; სასკოლო განათლება; სკოლის მიტოვება; ქურდობა, და სხვ.)

მიუსაფარ ბავშვებთან დაკავშირებული სახელმწიფო პოლიტიკის შეფასების კვლევის მეთოდოლოგია მსგავსია ზემოთ აღწერილი პოლიტიკის კვლევების მეთოდოლოგიისა, რომელიც უკვე აღწერილია სახელმძღვანელოში, თუმცა უაღრესად მნიშვნელოვანია მიუსაფარ ბავშვთა და მათი ოჯახების ჩართვა გამოკითხვაში, რადგან ყველაზე უკეთ არიან ინფორმირებულნი მათი მოწყვლადობის მიზეზების, რისკფაქტორების და საჭიროებების შესახებ. ამ ჯგუფებთან ჩაღრმავებული ინდივიდუალური ინტერვიუების ან ოჯახური დისკუსიის ინიცირებამდე მოსაპოვებელია ნებართვა ბიოეთიკის კომისიისგან (იხ. კვლევის ბიოეთიკა).

### ვიქტიმიზაციის კვლევა

მართლმსაჯულების სისტემისათვის მნიშვნელოვანია ეროვნულ დონეზე ვიქტიმიზაციის (ძალადობისა და მსხვერპლთა) კვლევა, რომელიც ყოველწლიურად ტარდება განვითარებულ ქვეყნებში, შინამეურნეობების რეპრეზენტატული, რანდომული შერჩევის გზით გამოკითხვის საფუძველზე. ასეთი კვლევა არის ერთადერთი გზა, ძალადობრივი დანაშაულების მხრივ არსებული რეალური სურათის შესაფასებლად ქვეყანაში, რადგან ის აღრიცხავს იმ შემთხვევების მასშტაბსაც, რომლებიც არ/ვერ ხვდება მართლმსაჯულების ფორმალურ სისტემაში, თუმცა ამავდროულად, ძალიან ძვირია. მაგ., ასეთი კვლევა აშშ-ში 1973 წლიდან ყოველწლიურად მიმდინარეობს და 100 000-ზე მეტი შინამეურნეობის გამოკითხვა ხდება.<sup>25</sup> საქართველოში ამჟამად არსებული რესურსის გათვალისწინებით, ამგვარი კვლევის ჩატარება უახლოეს მომავალში არარეალისტურად ისახება, თუმცა ადგილობრივმა სთეიქჰოლდერებმა უნდა გაააქტიურონ საადვოკაციო კამპანია და მოლაპარაკებები დონორ/საერთაშორისო ორგანიზაციებთან, შესაძლო ტექნიკური და ფინანსური მხარდაჭერის მოსაპოვებლად.

### მ&შ ინფორმაციით უზრუნველყოფს პოლიტიკის დოკუმენტებზე მუშაობის პროცესს

ხშირად კვლევა დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით ტარდება, რადგან სახელმწიფოს დაფინანსება კვლევითი პროექტებისთვის, ტრადიციულად, შეზღუდულია. კვლევის შედეგების ვალიდაციისა და საბოლოო შედეგების გაცნობის დროს სასურველია, სთეიქჰოლდერთა მონაწილეობით განისაზღვროს რეაგირების სამოქმედო გეგმა და დადგინდეს ანგარიშის წარდგენის დროითი ჩარჩო.

დანაშაულის პრევენციის მიმართულების შესაფასებლად მნიშვნელოვანია, ცალკეული პროგრამების შეფასება რაოდენობრივი მაჩვენებლებით (რაც მრავლადაა წარმოდგენილი სამოქმედო გეგმის დოკუმენტში), ასევე აუცილებელია პროგრამების თვისებრივი შეფასება. საქართველოში ჩატარდა პრევენციული პროგრამების შეფასების კვლევა<sup>26</sup>, რომელიც ითვალისწინებდა სამაგიდო მიმოხილვას და სხვადასხვა ტიპის სთეიქჰოლდერთა გამოკითხვას. რესპონდენტები აღნიშნავენ პროგრამის შესრულებაში არსებულ ხარვეზებს, რომლებიც რეაგირებას მოითხოვს.

<sup>25</sup> Bureau of Justice Statistics. Office of Justice Programs. US. <https://www.bjs.gov/index.cfm?ty=dcdetail&iid=245>.

<sup>26</sup> საქართველოს კვლევა განრიდება-მედიაციის პროგრამის შეფასება (გამოუქვეყნებელი; სათაურის გარეშე).



პროგრამის შეფასების ანგარიშში კარგად არის სტრუქტურირებული და გამოყოფილია მნიშვნელოვანი სექციები, მათ შორის:

- ძირითადი მიგნებები
- რეკომენდაციები

მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ რეკომენდაციების სექცია კარგად არის ორგანიზებული და ისინი გაწერილია ცალ-ცალკე, სხვადასხვა მიზნობრივი სეგმენტისთვის: რეკომენდაცია პარლამენტს, შსს-ს, იუსტიციის სამინისტროსა და სხვ.

კარგად ორგანიზებული კვლევის ლოგიკურ გაგრძელებად მიიჩნევა შემდგომი მონიტორინგი, რომელიც გარკვეული პერიოდის შემდეგ სწავლობს, თუ რომელმა უწყებამ რა ვადაში და რა ტიპის რეაგირება შეძლო კვლევის მიგნებებისა და ანგარიშში მოცემული რეკომენდაციების საპასუხოდ. ასეთი მონიტორინგისა და ადვოკაციის გარეშე კვლევისთვის დახარჯული რესურსების მიზანშეწონილობა ეჭვქვეშ დგება.

### სამოქალაქო მონიტორინგი

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმის 2018 – 2022 წლების სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს აქტივობებისა და მთლიანად რეფორმის მონიტორინგსა და შეფასებას, რომლისთვისაც არსებობს სპეციალურად გამოყოფილი უწყებები/ანალიტიკური დეპარტამენტები, თუმცა სასურველია, შეიქმნას გარე შეფასების მექანიზმი, რომლის ერთ-ერთი მაგალითია სამოქალაქო მონიტორინგი. სამოქალაქო მონიტორინგის გუნდი – რომელიც მოხალისეობრივ საწყისებზე შეიძლება ჩამოყალიბდეს და შედგებოდეს სამოქალაქო საზოგადოების წევრებისგან, აკადემიური (უნივერსიტეტების ან რელევანტური კვლევითი ინსტიტუტების) და/ან მედიის წარმომადგენლებისგან. სამოქალაქო მონიტორინგში ასევე უაღრესად რეკომენდებულია ბენეფიციართა თემის (ე.წ. constituencies) – როგორც მართლმსაჯულების სისტემასთან შეხებაში მყოფ არასრულწლოვანთა ან მათი მშობლების/მეურვეების) ჩართულობით, თუ არსებობს მათი მხრიდან გამოხატული ინტერესი და ამის ტექნიკური შესაძლებლობა.

### უნივერსიტეტების სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებთან თანამშრომლობა

მონიტორინგისა და შეფასების სისტემის ფუნქციონირება მნიშვნელოვან რესურსს მოითხოვს, განსაკუთრებით ტექნიკური ექსპერტიზისა და ფინანსების თვალსაზრისით. საქართველოში კვლევების განხორციელების ადამიანური კაპიტალის არსებობის მიუხედავად, მკვლევრებისა და ექსპერტების კომისიონირება ზოგჯერ დიდ ფინანსებთან არის დაკავშირებული და ყოველთვის ამის შესაძლებლობა არ არსებობს. ამიტომ, სასურველია, წახალისებული იყოს უნივერსიტეტების სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებთან თანამშრომლობა მემორანდუმის გზით.

სამაგისტრო ან სადოქტორო ხარისხზე მომუშავე ახალგაზრდა პროფესიონალებს უნივერსიტეტების მიერ აქვთ დადგენილი კვლევების წარმოების ვალდებულება. ასეთი კვლევებისათვის უნივერსიტეტებს სასწავლო გრანტების გამოყოფის უკიდურესად შეზღუდული ფინანსური შესაძლებლობები აქვთ. ამავდროულად, სამაგისტრო ან სადოქტორო პროგრამის სტუდენტები დაინტერესებულნი იქნებიან, თუ მიაწოდებთ თქვენთვის საინტერესო საკვლევო თემების ჩამონათვალს, შეძლებთ, დაუფინანსოთ კვლევის ჩატარებისათვის საჭირო პირდაპირი ხარჯი და დაეხმარებით, რომ ხელი მიუწვდებოდეთ მონაცემებზე/საინფორმაციო რესურსებზე.

ასეთი მხარდაჭერის პირობებში შეძლებთ მიიღოთ ტექნიკური ექსპერტიზა მკვლევრებისათვის ანაზღაურების გაცემის გარეშე. ამასთან, კვლევის მეცნიერული ღირებულება/ხარისხი, გარკვეულწილად, უზრუნველყოფილი იქნება, რადგანაც მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ სამეცნიერო თემის ხელმძღვანელები, რომლებიც, როგორც წესი, უნივერსიტეტების წამყვანი პროფესორ-მასწავლებლები არიან. ეს საშუალებას მოგცემთ, მიიღოთ მათი აკადემიური რჩევები კვლევის ჩატარებასთან დაკავშირებით, მათთვის დამატებითი ანაზღაურების გარეშე.

ასეთი ორმხრივად სასარგებლო თანამშრომლობა იმედის მომცემია არა მარტო ხარჯთეფექტიანობის თვალსაზრისით, არამედ ახალგაზრდებში კვლევითი უნარ-ჩვევების გასაძლიერებლადაც.

## კვლევის ბიოეთიკა

არსებობს მრავალრიცხოვანი საერთაშორისო კონვენციები<sup>27</sup>, ანგარიშები<sup>28</sup>; რომლებიც მიზნად ისახავს კვლევაში ჩართული ადამიანების უფლებებისა და კეთილდღეობის დაცვას. ამ მიზნით განვითარებულ ქვეყნებში მოქმედებს ინსტიტუციური განხილვის საბჭო (Institutional Review Board, შემდგომში IRB), რომელიც განიხილავს კვლევის დოკუმენტაციას და იღებს გადაწყვეტილებას მისი ჩატარება-არჩატარების შესახებ. რეფერირებად სამეცნიერო გამოცემებს/ჟურნალებს აქვთ მოთხოვნა, რომ კვლევის გამოქვეყნებისათვის საჭიროა IRB დასკვნის არსებობა.

განვითარებულ ქვეყნებში IRB-ის საქმიანობას ფინანსურად სრულად უზრუნველყოფს სახელმწიფო. ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილებისა და ობიექტურობის მიზნით, IRB-ის მომსახურება არ შეიძლება, ფასიანი იყოს.

საქართველოში IRB-ის ნაცვლად ხშირად გამოიყენება ტერმინი ბიოეთიკის კომისია. ასეთი კომისია საქართველოში რამდენიმეა (ჯანდაცვის სამინისტროს ბიოეთიკის ეროვნული საბჭო,<sup>29</sup> დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრის ბაზაზე; თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტის ბაზაზე; პროფესიულ ასოციაციებში, ააიპ-ჯანმრთელობის კვლევის კავშირი და სხვ.). მათი სერვისი უფასოა.

### IRB-ის მოთხოვნები

სხვადასხვა ქვეყნის რეგულაციები შესაძლოა, განსხვავებული იყოს, მაგრამ არსებობს მინიმალური სტანდარტი, რომელიც ზოგადად უნდა იყოს დაცული. დოკუმენტაციის პაკეტი, რომელიც IRB-ს წარედგინება კვლევის ჩასატარებლად ნებართვის მოთხოვნის მიზნით, უნდა იძლეოდეს საკმარის ინფორმაციას კვლევის შესახებ:

- რესპონდენტისათვის რისკისა და მოსალოდნელი სარგებლის ანალიზი;
- ინფორმირებული თანხმობის ფორმა;
- თანხმობა განსაკუთრებული საჭიროებების შემთხვევაში;
- კვლევის სუბიექტების შერჩევის მეთოდოლოგია;
- პიროვნული დამოუკიდებლობის დაცვის მექანიზმები;

<sup>27</sup> Council of Europe. Convention for the protection of Human Rights and Dignity of the Human Being with regard to the Application of Biology and Medicine: Convention on Human Rights and Biomedicine. <https://www.coe.int/en/web/conventions/full-list/-/conventions/treaty/164>

<sup>28</sup> Declaration of Helsinki <http://www.who.int/bulletin/archives/79%284%29373.pdf>

<sup>29</sup> ბიოეთიკის ეროვნული საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება #276/მ. 2000 წ.

- მონაცემების უსაფრთხოება: კვლევის გეგმა მონაცემთა შეგროვების, შენახვისა და ანალიზისათვის;
- კვლევის დიზაინი, შერჩევის მეთოდოლოგია, კვლევის ინსტრუმენტები და სხვ.

ბიოეთიკის ყველა სახელმძღვანელო განსაკუთრებულ მოთხოვნებს უყენებს კვლევებს, რომლებშიც მონაწილეობენ განსაკუთრებული საჭიროებების მქონე და მოწყვლადი პოპულაციები. ზოგადად, მოწყვლადია ჯგუფი, რომლის პიროვნული ავტონომია, გარკვეულწილად, შეზღუდულია. ბელმონტის ანგარიში (Belmont Report)<sup>30</sup> კვლევის ეთიკაში გამოყოფს სამ მნიშვნელოვან პრინციპს: პიროვნების პატივისცემა, სარგებლიანობა და სამართლიანობა. პიროვნების პატივისცემა, სულ მცირე, **2 პრინციპს** აერთიანებს; პირველი – ნებისმიერი პირი უნდა განვიხილოთ, როგორც სრულიად დამოუკიდებელი, ავტონომიური აგენტი; მეორე – თუ ასეთი ავტონომიურობა შეზღუდული აქვთ, მაშინ ასეთი პირების უფლებების დაცვა განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი ხდება. სწორედ ამიტომ, არსებობს დამატებითი რეგულაციები და რეკომენდაციები, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იყოს კვლევაში მოწყვლადი პოპულაციების ჩართვისას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი პოპულაციების ჩამონათვალში სხვა ჯგუფებთან ერთად, როგორც წესი, არის შემდეგი 2 ჯგუფი:

- **ბავშვები/არასრულწლოვანი პირები** – ბავშვების უნარი, მიიღონ ინფორმირებული გადაწყვეტილება განსხვავებულია ასაკისა და ბავშვის გონებრივი მომწიფების სხვადასხვა ეტაპზე. ამიტომ ბავშვები შესაძლოა, მოხვდნენ არასასურველი გავლენის ან ზეწოლის ქვეშ როგორც მშობლის ან მეურვის, ასევე მკვლევრის მხრიდან. სწორედ ამიტომ ბიოეთიკის კომისია ყველა კვლევას, რომელშიც არასრულწლოვნები არიან ჩართულები, დამატებით მოთხოვნებს უყენებს.
- **თავისუფლების აღკვეთის ადგილას მყოფი პირები** – ეს ჯგუფი განხილულია, როგორც განსაკუთრებულად მოწყვლადი, რადგან მათ შესაძლოა, შეზღუდული ჰქონდეთ თავისუფალი არჩევანის უფლება.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, თუ რეფორმის შეფასებისათვის იგეგმება კვლევა, რომელშიც მონაწილეობა უნდა მიიღონ არასრულწლოვნებმა და/ან პატიმრებმა, განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო, რათა არ დაირღვეს ბიოეთიკის სტანდარტები.

<sup>30</sup> Belmont Report <https://www.hhs.gov/ohrp/regulations-and-policy/belmont-report/read-the-belmont-report/index.html>

**მკვლევრებისთვის უმთავრესი წესი:** მკვლევრები თავად არ იღებენ გადაწყვეტილებას იმის შესახებ, საჭირო არის თუ არა ბიოეთიკის კომისიის დასკვნა. ისინი, გამონაკლისის გარეშე, ინფორმაციას აწვდიან ბიოეთიკის კომისიას და შემდგომ პროცედურებს მათი მითითებისამებრ აგრძელებენ.

კვლევის თავისებურებები, ინვაზიურობა, ემოციური სტრესის ალბათობა, იერარქიულ ინსტიტუციებში დამატებითი საფრთხეების წარმოშობა და სხვა – არასრული ჩამონათვალია იმ საკითხებისა, რომელსაც სწავლობს ბიოეთიკის კომისია და იღებს გადაწყვეტილებას, როგორი პროცედურებით წარმართოს კვლევაზე ნებართვის გაცემის პროცესი. ბიოეთიკის კომისიამ შეიძლება მიიღოს გადაწყვეტილება და წერილობით შეგატყობინოთ, რომ:

1. კვლევის სპეციფიკიდან გამომდინარე, ბიოეთიკის კომისიის ნებართვა კვლევის ჩატარებაზე საჭირო არაა (Exempt from IRB review);
2. განიხილოს კვლევის დოკუმენტაცია დაჩქარებული წესით და გასცეს შესაბამისი დასკვნა (ე.წ. Expedited IRB review);
3. მოიწვიოს ბიოეთიკის კომისიის მთელი შემადგენლობა და სრულფასოვნად განიხილოს კვლევის დოკუმენტაცია დასკვნის გასაცემად (ე.წ. Full-board IRB review).

### რეკომენდაციები სახელმძღვანელოს პრაქტიკაში გამოყენების პროცესის შესახებ

წინამდებარე სახელმძღვანელო წარმოადგენს ინსტრუმენტს სხვადასხვა დონეზე დაინტერესებული მხარეების, განსაკუთრებით მათთვის, ვინც გეგმავს ან პასუხისმგებელია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმის და სხვადასხვა პროგრამის მონიტორინგსა და შეფასებაზე.

სახელმძღვანელოში დეტალურად არის წარმოდგენილი 15 გლობალური ინდიკატორი, რომელთაც აქვს პოტენციალი, შეაფასოს რეფორმის შედეგები და გაზომოს მისი ზეგავლენა დანაშაულის პრევენციაზე ან კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნების უფლებების დაცვასა და მათ რესოციალიზაცია-რეინტეგრაციაზე. ასევე წარმოდგენილია ეროვნულ დონეზე სთეიქჰოლდერების მონაწილეობით შემუშავებული 42 ინდიკატორი (NI).

გარდა ამისა, სახელმძღვანელო იძლევა რეკომენდაციებს და დაინტერესებულ მხარეებს სთავაზობს რამდენიმე ათეულ, დამატებით ინდიკატორს, რომელიც წარმოდგენილია თემატურად (დანაშაულის პრევენცია, რესოციალიზაცია-რეინტეგრაცია, სწავლება/გადამზადება, პოლიტიკის შეფასება, დაფინანსება და სხვ.).

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმის შეფასებისათვის მოწოდებული ინდიკატორების ჯამური რაოდენობიდან გამომდინარე, რთულად წარმოსადგენია, რომ საქართველოში რეგულარულად მოხერხდება ყველა ინდიკატორისთვის მონაცემთა შეგროვება და ანალიზი.


სწორედ ამიტომ, სახელმძღვანელოზე მუშაობის დასრულების შემდეგ რეკომენდებულია, გაიმართოს სამუშაო შეხვედრები, რომელზეც მოწვეულნი იქნებიან წარმომადგენლები დაინტერესებული სამთავრობო უწყებებიდან, არასამთავრობო ორგანიზაციები, აკადემიური პერსონალი და სხვ.

შეხვედრაზე უნდა მოხდეს მოწოდებული ინდიკატორების კატეგორიზაცია, პრიორიტეტების მიხედვით. სასურველია პრიორიტეტიზაციისას გათვალისწინებული იქნეს:

- რამდენად აკმაყოფილებს ინდიკატორი SMART კრიტერიუმებს?
- რა მოსალოდნელი სარგებელი (დამატებითი ღირებულება) ექნება ინდიკატორს რეფორმის/პროგრამის შეფასებისათვის და რამდენად შეძლებს პოლიტიკის შემქმნელებისა და სერვისის მიმწოდებლების ინფორმირებას სისტემის/პროგრამების გაუმჯობესებისათვის?
- არსებული რესურსების გათვალისწინებით, რამდენად ადვილია/რეალისტურია ინდიკატორისთვის საჭირო მონაცემების მოგროვება და მათი ანალიზი?

ძირითადი პრინციპი უნდა იყოს ინდიკატორების მოსალოდნელ სარგებელსა და ინდიკატორების შექმნის სიმარტივეს შორის ბალანსი. ეს პრინციპი ვიზუალურად წარმოდგენილია გრაფიკზე.

გრაფიკი 2: ინდიკატორების პრიორიტეტიზაციის მატრიცა<sup>31</sup>



სამუშაო შეხვედრაში მონაწილეთა შორის მიღწეული კონსენსუსის შესაბამისად, თითოეულ ინდიკატორს განათავსებენ მატრიცის სიბრტყეზე პირობითად გამოყოფილ 4 კვადრატზე.

**მარცხენა ქვედა კვადრანტი** – მაღალი დონის სარგებელი /რთულად განსახორციელებელი;

**მარცხენა ზედა კვადრანტი** – მაღალი დონის სარგებელი/ადვილად განსახორციელებელი;

**მარჯვენა ქვედა კვადრანტი** – დაბალი დონის სარგებელი/რთულად განსახორციელებელი;

**მარჯვენა ზედა კვადრანტი** – დაბალი დონის სარგებელი/მარტივად განსახორციელებელი.

კვადრანტი პირობითად დაყოფილია 4 სივრცედ – მრუდეების სახით. თუ ექსპერტები თანხმდებიან, რომ ინდიკატორი თავსდება კვადრატის მარცხენა ზედა სივრცეში, მრუდის ზემოთ (**Priority**), მაშინ ინდიკატორი უნდა ჩაითვალოს, როგორც პრიორიტეტული და შეზღუდული რესურსის პირობებში პირველ რიგში ამ ინდიკატორების შექმნა უნდა უზრუნველყოთ.

მსგავსი პრინციპით – ზემოდან მეორე მრუდის სივრცეში (**Action**) განთავსებული ინდიკატორების შეფასება სასურველია და აქტიურად უნდა იმოქმედოთ, რომ ადეკვატური რესურსები მოიძიოთ მათ შესაქმნელად.

<sup>31</sup> [https://www.niu.edu/facdev/\\_pdf/pace-prioritization-worksheet.pdf](https://www.niu.edu/facdev/_pdf/pace-prioritization-worksheet.pdf)

ზემოდან ქვემოთ, მესამე რიგის მრუდში (**Consider**) განთავსებული ინდიკატორები შეიძლება, განიხილონ სთეიქჰოლდერებმა; ისინი ნაკლებად პრიორიტეტულია, თუმცა, თუ რესურსი შეზღუდული არაა, ამ ინდიკატორების საშუალებითაც შეიძლება საინტერესო ინფორმაციის გენერირება.

ქვევით და მარჯვნივ არსებულ მრუდში (**Eliminate**) განთავსებული ინდიკატორებისთვის რესურსის დახარჯვა გაუმართლებელია, მათი ნაკლებად 'ინფორმაციული ღირებულების' და განხორციელების სირთულის გამო.